ეთნოგრაფიულად, დამხედური კულტურის მფლობელი — ბახტიარები — წარმოდგენენ ჭრელ მოსახლეობას. ისინი მიჩნეულია მომთაბარე ხალხად, რომელიც ნაკლებად ერევა სპარსეთის ბოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქართველების იქ ჩასახლება შაჰ-აბაზმა იმიტირაცე არჩია, რომ ამით სურდა, შეეკავებინა ეს „ველური“ ტომები, ხოლო მეორე მხრით მათი საშუალებით ერთგვარი კულტურა შეეტანათ ბახტიარებში. (К. Смирнов, Этнографический очерк Персии, 1917, გვ. 21-53).

ამ მიმართებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული საკრავი, რომელიც დამოწმია იქ 1911 წელს მოგზაურმა პანრი რენე დალმანმა, ბახტიარებისათვის კი არ იყოს დამახასიათებელი, არამედ იგი სხვა მოდემის ხალხთა მიერ იყოს იქ მიტანილი. კერძოდ, საფიქრებელია, რომ აქ საქმეში წვლილი ჰქონდათ სწორედ ქართველებს, რომენიც კულტურული მისიის შესასრულებლად იყვნენ ჩასახლებულნი ბახტიართა მიწა-წყალზე.



ქ. რუსთავის ცეცისა და სიღერის ანსამბლი





ფოტოსახელოვანი ტორი

არჩილ კოკილაშვილი

არიან ადამიანები, რომლებიც არ ხმაურობენ, მაგრამ თავიანთი ჩემი, უპრეტენზიო მუშაობით დიდ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეს აკეთებენ, მუდამ იმის ცდაში არიან, რომ თავიანთი შრომით მცირედდენი წვლილი მანაც შეიტანონ ახალი კომუნისტური სამყაროს მშენებლობის კეთილშობილურ საქმეში. შეიძლება მათ შესახებ არ იწერებოდეს მოხდენილი პუბლიცისტური ნარკვევები ან მხატვრული ნახატები, წერილები ან რეპორტაჟები, მაგრამ მათ მინც იცნობს ხალხი, იცნობს საზოგადოებრივი საქმიანობის თავდადებული შრომით. ხალხი ყველაფერს ხედავს: კარგსაც და ავსაც. ხალხს პირობით-ნებია არ სჩვევია, თავის დროზე ყველას თავისას მიუხედავს.

არ შევცდებით, თუ ასეთ ადამიანთა რიცხვს მივაკუთვნებთ საზოგადოებრივ ასპარეზზე დიდი ხნის მომუშავეს, ღვაწლ-მოსილ ფოტოსახელოვანს ისაკ ტორს (ისაკ იოსების ძე ტერტრაშვილს).

ისაკ ტორი თავისი ფოტოშემოქმედებით ახლა ცნობილია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მან ფოტოსახელოვანის დონემდე ასვლას ხანგრძლივი ძიებისა და დაძაბული შრომის შედეგად მიაღწია. იგი ადრევე ოცნებობდა ხალხისათვის სასარგებლო კაცი გამხდარიყო. იოლი როდი იყო, მხატვრობით და ფოტოსახელოვნებით გატაცებულ ტახუკს, ცარიზმის შავინელ პირობებში ხორცი შეესხა

თავისი ოცნებისათვის! მის მშობლებს ოცდაშვიდი შვილი ჰყოლიათ. თვითონ ისაკი მეთექვსმეტე ყოფილა. მის დედას, ანა ივანეს ასულს, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებულს, შვილებისათვის თვითონვე შეუსწავლებია ქართული წერა-კითხვა. ისაკს წილად ზედმთა ბედნიერება, როცა იგი მშობლებს სასწავლებლად მიუბარებიათ თელავის სამოქალაქო სასწავლებელში.

ისაკის მამა იოსებ იასეს ძე სოფლის მღვდელი ყოფილა — თელავის მავრის სოფელ მატანში (ამჟამად ახმეტის რაიონი) იგი მოწადინებული ყოფილა შვილებისათვის მიეცა განათლება, მაგრამ, როგორც ისაკი თვითონვე შენიშნავს, ერთი სკოლა მარტო ჩვენთვის იყო საჭირო, იმდენი ვიყავით და ამა ვინ შესძლებდა იმ გაჭირვებულ დროს ყველა შვილისათვის ესწავლებინა.

ასე იყო თუ ისე, ისაკს დაუმთავრებია თელავის სამოქალაქო სასწავლებელი და მაშინვე თბილისისათვის მიუშურებია სამზარეულო ან ფოტოსაქმის შესასწავლად. კარგა ხნის სტუდიის შემდეგ, როგორც იქნა, მოწყობილა შვიერდად „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის“ ფოტოგრაფიაში, რომელსაც იმ დროს საკმაოდ ცნობილი ელვარდ კლარი განაგებდა. თავისუფალ დროს ისაკი სხვადასხვა გრაფიკულ ჩანახატებს აკეთებდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია კლარს და როცა მისი ნამუშევარი გაუსინჯავს, ისაკისათვის უთქვამს:

— შენ, ყმაწვილო, ხატვის ნიჭიც გქონია. ახლა მიგაწერ წვილის ჩემს მეგობარ ისკარ შერლინგთან და სამხატვრო სასწავლებელში უშვებულად მიგიღებს.

ისაკი, მართლაც, ჩაურჩხავთ სამხატვრო სასწავლებელში. მას სურვილი გამოუთქვამს მოქანდაკეობის განყოფილებაზე სწავლისა. აქ მასწავლებლად ყოფილა იაკობ ნიკოლაძე. სამხატვრო სასწავლებელში მეცადინეობა საღამოობით ტარდებოდა. ისაკი კარგად ათავსებდა დილით კლარის ფოტოსტუდიაში მუშაობას, საღამოს კი სასწავლებელში სწავლას. ექვსი თვის შემდეგ, როგორც კარგ რეპტუშორს, კლარამ ისაკს ხელფასი დაუნიშნა. საქმეს თითქოს კარგი პირი უჩანდა. ისაკი თან მუშაობდა, თან სწავლობდა და მომავლის გეგმებს აწყობდა, მაგრამ...

იფეთქა პირველმა მსოფლიო ომმა და ისაკის საოცნებო გეგმებიც ჩაიფეთქა. მას დარჩა მხოლოდ ერთი გზა — დოსტატებულყოფ ფოტოსაქმეში. ელვარდ კლარი გერმანელი იყო და ამის გამო მისმა სტუდიამ ვეღარ იარსება. მისთვის რეკომენდაციით, ისაკი თავისთან საშუალო მიუწვევიათ ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი ახალსენაკში ლადო ჭივილის, რომელიც აქტიური სკეინისმოყვარეც ყოფილა და ლიტერატურული საღამოების ორგანიზატორიც.

— ამ საღამოებსა და წარმოდგენებში, — გვიამბო ისაკმა, — მეც ვიღებდი მონაწილეობას. ჭივილს გარდა, ამ დრამატულ დასში მუდმივად რეჟისორობდა ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდა აკაკი ხორავა...

1919 წლიდან ისაკი თელავში დაბრუნდა და მთლიანად მისცა თავი ფოტოგრაფიაში მუშაობას, ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა იმ დროს თელავში არსებულ რუსულ და ქართულ დრამატულ დასში.

— იმ დროს, — გვისჩვენა ისაკმა, — თელავის ხშირი

სტუმრები იყვნენ გამოჩენილი ქართველი აქტიორები და ქართული თეატრალური ხელოვნების ქურუმები ლადო მესხიშვილი მუღლთი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვ. ისინი ადგილობრივ თეატრში სცენისმოყვარეებთან ერთად, როგორც იყვნენ დავით აწყურელი, ბეგლარ აბოსარიელი, ვანო კაკაბაძე, ძმები კოტე და შაქრო ჭელიძეები, ანსამბლური და სხვები, საინტერესო საექტაქლებს მართავდნენ. მეც მათ ირგვლივ ვტრიალებდი, ყურებდაცქვეტილი ვიყავი, ოღონდ თუნდაც უბრალო სტატისტიკის ან სცენის მუშის მოვალეობა შემოთავაზებინათ. ამაზე მეტი მაშინ არა მინდოდა. მათი საუბრის მოსმენა ჩემთვის ცხოვრების დიდი სკოლა იყო. ესარგებლობდი რა იმით, რომ ასეთ გამოჩენილ ადა-მიანებთან ახლოს ვიყავი, ხშირად მათ სურათებსაც ვეღებდი ხოლმე. ამას ძალზე მორიდებით ვაკეთებდი, ვცდილობდი, ზედმეტად არ შემეწუხებინა ისინი, რომ მათთან ბედნიერი შეხვედრის გზა არ დამშობოდა შემდეგისათვის. ერთხელ, სურათი რომ გადავუღე ჯგუფს, ვალერიან გუნიათ მიხიხრა: „ყმაწვილო, ფოტოგრაფიაც ხელოვნების განწყვეტელი ნაწილია, თუ მაგ საქმეს კარგად დავეუფლები, შეძლება გამოჩენილი ფოტოგრაფი გახდე და შენი სურათების სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდვით საქვეყნოდ სახელი გაითქვას“. მე ვგონად, დამცინის მეთქი. სურათები და ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდება?! — ვკვირობდი, სადა მაქვს მაგის ფული, რომ რედაქციებს გადაუხადო სურათების ბეჭდვაში მეთქი. ამის შემდეგ კი დიდ დროს არ გაუვლია, რომ იოსებ იმედა-შვილმა მომწერა: „შენ რომ ჩვენი თეატრალური ტრუპის სურათი გადაიღე, გამოგვიგზავნე, ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ უახლოეს ნომერში დასაბეჭდად“. მაშინ ვიგრძენი პირველი სიხარული ჩემი პროფესიისა. თუმც იმ დროს მხოლოდ ფებს ვიდგამდი ამ დარგში დაოსტატების გზაზე...

ისაკ თავისი თავი საოპერო ხელოვნებაშიც უცდია. ეს ასე მომხდარა. 1919 წლის დამლევს მენშევიკურ ჯარში გაუწვევით და გაუწვევებთან ნათულღში, სადაც შტაბში მწერლად დაუნიშნავთ. აქვე საშხედრო სამსახურში ყოფილა ვალერიან ჭამაკაშვილი (ჭაშელი), რომელიც შესანიშნავად მღეროდა. მისი რჩევით, ისაკაც, როგორც საოპერო ხელოვნებისათვის კარგი მონაცემების მქონეს, გადაუწყვეტა დაუფლებოდა მომღერლის როლზე ხელოვნებას და, ჭამაკაშვილის ხელშეწყობით, სიარულიც დაუწვია საოპერო სტუდიაში რიადნოვთან. მაგრამ ვითარება შეცვლილა, უმაღლესი შტაბის ბრძანებით ისაკი თელავის საშხედრო ნაწილში გადაუზღავნათ და ამის გამო განუზოცილებელი დარჩენილა მისი ოცნება — მომღერალი გამხდარიყო...

რომელიც ერთი გაიხსენოს კაცმა. ისაკ ტორის ფოტოარქივს რომ გავეცნოთ, დღეები, კვირები და თვეებია საჭირო. მის არქივში კი... ამის შესახებ ცოტა უფრო ქვემოთ.

ისაკ ტორი, 1924 წლიდან დაწყებული 1940 წლამდე თელავის სხვადასხვა სკოლებში განუწყვეტლივ იყო ხატვა-ხაზვის მასწავლებლად. ამასთან დაკავშირებით მასხენდება ერთი ასეთი მომენტი.

1922 წლიდან თელავში მეორე შრომის სკოლაში ვსწავლობდი. სკოლის დირექტორი იყო მეტად განსწავლული ქართველი პედაგოგი კოტე გიორგის ძე გვეგლიძე. ადრე ხატვას

გვასწავლიდა ვალერიან სიღამონ-ერისთავი, მის შემდეგ კი კ. გვეგლიძის ცოლის და სახელად ნადია (გვარი ვერ გავიხსენე), იგი მეტად ნიჭიერი მხატვარი და კარგი პედაგოგი იყო, ბევრ ჩვენს მოსწავლეს ადუძრა ინტერესი სამხატვრო ხელოვნებისადმი. 1924 წლიდან კი ჩვენს კლასში ხატვის მასწავლებლად მოვიყვანეს ახალგაზრდა კაცი და გვითხრეს:

— ამიერიდან ხატვას განსწავლით ისაკ ტორი, პატივი ეციტ და შეიყვართ.

ჩვენ მის შესახებ მაშინ გაგონილი გვექონდა, კარგი მხატვარი და კარგი ფოტოგრაფიაო. მართალი ვიხსენებ, გვეუცხოვა მისი მასწავლებლობა ხატვაში და ამიტომაც ერთდერთმა კომკავშირელმა მთელ ჯგუფში ასეთი შეკითხვა გავუბეღე:

— ამხანაგო მასწავლებელო (მაშინ ასე მივმართავდით „პატივიცემულ მასწავლებულებს“ მაგიერ), შეიძლება რომ ერთდროულად კაცი ხატვის მასწავლებელიც იყოს, მსახიობიც და ფოტოგრაფიც?

თანაკლასელმა გოგო-ბიჭებმა სიცილი დამაყარეს. ისაკს თუმცა სიხარვისაგან სახე აელღვა, მაგრამ მაინც მოთმინებით განმარტა:

— აქ ახლა კომკავშირის კრება არ არის, რომ ამაზე ვისაუბროთ. ისე კი მოკლედ გეტყვით. ეს რა არის, სამჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლება უფრო მეტიც. ძველ დროში რომ ამდენი რამ გვესწავლა, ფული უნდა გადაგვეხადა, თქვენი კი სამჭოთა მთავრობა ახლა ყველაფერს უფასოდ გასწავლით,

ლადო მესხიშვილი





კოტე მარბანიშვილი

მარტო თქვენ კი არა, თქვენს მოძობლებსაც, ვინც წერა-კითხვა არ იცის. ახლა კი საქმეს შევედგეთ...

როგორც ზემოთაც ითქვა, ისაკი აქტიურად მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა დრამატულ კოლექტივებში, ხოლო როცა 1932 წლიდან თელავში შეიქმნა სახელმწიფო დრამატული თეატრი, ისაკ ტორი ამ დასის თვალსაჩინო წევრი გახდა. თითქმის თელავის სცენაზე არ დადგმულა სპექტაკლი, რომელშიც მას არ მიეღოს მონაწილეობა. ი. ტორის სხვადასხვა როლი განუსაზღვრებია ბიესებში: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ცხმბირელი“, „სულელი“, „ანზორი“, „ამერიკელი ძია“, „სატკიპა“, „როგორ“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „გაყარა“, „გიქორი“, „ქრისტინე“, „არსენა მარბაძელი“, „სურამის ციხე“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ცხვირის წყარო“, „დრონი ჩვენი ცხოვრებისა“, „ნაბიჭვარი“, „არშინ მალ-ალან“, „ლოუბოვ იაროგაია“, „რდევვა“, „დაძმა“, „მეფე-ერკლე“, „ორი ობოლი“ და სხვ. თუ როგორ ანსახებრებდა ტორი მასზე და-კისრებულ როლებს, მასზე კარგად მეტყველებენ ის რეცენ-ზიები, რომლებიც მიუძღვნა თელავის თეატრის იმდროინდელ დადგმებს.

ისაკ ტორი თავისი მოწოდებით და პროფესიითაც მაინც ფოტოხელოვანია, შეიძლება შედარებით პატარა მასშტაბის, მაგრამ ეს სულ ერთია, იგი თავის პროფესიას ეროვნულად ემსა-

ხურებოდა და ახლაც ემსახურება. საკმარისია ითქვას, რომ არა მარტო თელავის, არამედ კახეთის უმრავლეს რაიონებში არ მომხდარა ისეთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელიც ტორის ფოტოფირზე არ აღებუქდოს. და ამას იგი აკეთებდა არა ვისიმე დავალებით, არ რაიმე ანგარებით, არამედ თავისი პროფესიის სიყვარულით, ხალხისა და საზოგადოების წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნებით. ისაკ ტორი 1927 წლიდან „საკატაგის“ (შემდეგ საქედისის) და საედისის ფოტოკორესპონდენტად ითვლებოდა, ამასთან ერთად თავისი ფოტოილუსტრაციების ბეჭდვით აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენი რესპუბლიკის წამყვან გაზეთებსა და ჟურნალებში. ჩვენს ისაკს იაივის საუცხოო ილუსტრაციებით არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საკავშირო ფოტოგამოფენებში, რითაც ღირსეული ყურადღება დაუმსახურებია და მაღალი შეფასება მიუღია.

ისაკ ტორის მიერ შექმნილ მრავალფოტოსურათს თუ ფო-ტოტიუდს არაერთი მნახველი მოუხიბლავს თავისი ექსპოზიცი-ციით, გააზრებით და მაღალმხატვრული შესრულებით. აი სწორედ ახლა შეიძლება ზემოთ დაწვეული გაგვარძლოთ. თავის ფოტოარქივში ისაკს შემონახული აქვს მდიდარი ისტო-რიული მასალა, რომელშიც მრავლადაა, როგორც ძვირფასი რელიქვია, საქართველოში კომუნისტური მშენებლობის პირ-ველი ნაბიჯების ამსახველი სურათები.

აღსანიშნავია, რომ თავის ფოტოშემოქმედებაში ი. ტორს ძირითადი ახასხული აქვს საქართველოს კურთხეული მხარის—კახეთის მშრომელთა ბრძოლა სოციალიზმის განმტკიცებისა-თვის, ამ მაღლიანი და ბარაქაინი კუთხის აღორძინება-აყვა-ვეებისათვის. მის ფოტოლენუქმენტებში თქვენ ნახავთ პირველ ორდენისნებს კახეთიდან — საქვეყნოდ განთქმულ თუშ მეცხ-ვარეებს ლავაზიძეს და ბორძიკიძეს, წინანდალეულ მევენახეს მეფუაშვილს, ალვანელ დავაწმოსილ პედაგოგს მარო ბახუ-ტაშვილს, ამასთან ერთად, საკოლმეურნეო წარმოების ბევრ შესანიშნავ ორგანიზატორს, ახალი, კომუნისტური შრომის დამკვირვლებს, ახლა რომ შეუქურებად იწოდებიან. დღეს ეს უბრალო, რიგითი შრომის ადამიანები ისტორიასდა ეკუთვნიან. ზოგიერთი მათგანი ისტორიული ბედუქუდმართობის მსხვერპ-ლი გახდა, ზოგიც დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაეცა, ზოგიერთი მათგანი საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში კლასობრივი მტრის მსხვერპლი გახდა, ზოგიც ახლა ღრმა მოხუცებულა და განვლოლ დღეთა ბრძოლისა და შე-ნების ამბავს გადასცემს თავის ნაწიერს. ამ საარქივო ფოტო-ლენუქმენტებს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და ისინი სერიოზულ შესწავლა-დამუშავებას მოითხოვენ. და განა მარტო ეს?!

ისაკ ტორს თავისი ფოტოხელოვნებით შექმნილი აქვს შეუდარებელი პორტრეტები გამოჩენილი ქართველი მოღვა-წეებისა, რომლებთანაც ბედნიერი შეხვედრის შესაძლებლობა ჰქონია თელავში თუ კახეთის რომელიმე სხვა რაიონში. ტორის ფოტოგალერეაში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ უნიკალური ფოტოები ქართული კულტურის, მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწეებისა, მათ შორის კოტე მარბანიშვილისა და მანდრო ახმეტელისა, ნატო ვარჩანის და ვერეკო ავაჯაშვირისა, ნიხილ ჭიაურელის და ნიკოლოზ მუსხელიშვილისა, გიორგი ჩუბინა-შვილის და ივანე ბერიტაშვილისა, მიხეილ ველოვანის, ვასო გომიაშვილის, სერგო ზაქარაძის, პეტრე ამირანაშვილის,

ისებ გრიშაშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ნიკოლოზ ტხიხიშვილის, თამარ ჭავჭავაძის, ნინო რამიშვილის და ილიკო სუნიშვილის და სხვა გამოჩენილ ქართველ თუ მოძმე ხალხთა ღვაწლმოსილი ადამიანებისა. რა შესანიშნავია ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის პორტრეტები კახური ქუდით ან ჩვენი კინოვარსკვლავი ნატო ვარნაძე მავნოლით.

ნატო ვარნაძის ამ პორტრეტს — თავისი ისტორია აქონია. აი რა გვამბო ისაკმა:

— ნატო ვარნაძე 1952 წელს ეწვია თელავს, სადაც მისი მონაწილეობით 1948 წლის ზაფხულიდან სისტემატურად იმართებოდა კონცერტები. თელაველები კვლავ აღტაცებულნი შეეგებნენ ჩვენი ხელოვნების მშვენიებას. განსაკუთრებული სიხარული მხვდა წილად, როცა ნატო საკუთარ ოჯახში მეწვია. მისი მოსვლა და სახლის ხალხით ავსება ერთი იყო. ყველას უნდოდა ახლის გასცნობოდა ცნობილ კინოვარსკვლავს, სურდათ ძვირფას სტუმართან სურათების გადაღება. ნატოც ასრულებდა მათ სურვილს.

ჩადგებოდა ჯგუფში თუ არა ნატო, ეშხითა და ლაზათით ავსებდა ყველას. როდესაც აურზაური მიწყნარდა, ნატომ ცალკე მოინდომა სურათის გადაღება, ის იყო სიხარულით მოვიმარჯვე აპარატი და ნატოს აღტაცებული ხმაც მოისმა:

— თი, რა მშვენიერია!

კარგში იდგა გოგონა, რომელსაც ხელში მავნოლიების დიდი თაიგული ეჭირა და ნატოს გაოგნებულს შესცქეროდა. ყვავილები წინანდლის ბაღის დეკორატორის ირაკლი ხმალადის გამოგზავნილი აღმოჩნდა. აპარატს თავი მივანებე, მავნოლიის ერთი ყვავილი თაიგულიდან ამოვადრე და ნატოს მივართვი, ამის შემდეგ კი აპარატი მოვიმარჯვე.

მამინ კი, როცა ყვავილი ყვავილს მიეფერა, როცა ძნელად გაარჩევდით, ვინ ვის მატებდა სინაზეს, ნატოს სახე ფოტოფირზე აღებეჭდე...

შემდეგ ხშირად მეტყოდა ხოლმე ნატო — ჩემს მრავალრიცხოვან ფოტოსურათებს შორის სურათი „მავნოლით“ ფუნოქონია.

ძნელად თუ მოიპოვება ქართული თეატრის თუ კინოს თელასანინო მოღვაწე, რომელიც ფოტოფირზე არ აღებეჭდოს ისაკ და ამით არ დაემშვენებინოს თავისი ფოტოგერტინები, ალბომები, ამა თუ იმ ქურნალ-გაზეთის გვერდები.

ჩვენმა ისაკმა უკან მოიტოვა თავისი სიცოცხლის ექვსი ათეული წელი და კვლავ ჩვეული ხალხით მიაბიჯებს მეშიდე ათეული წლების აღმართზე. ისაკ ტორი ახლა პენსიონერია, მაგრამ სახლში რა გააჩერებს?! იგი ერთი დღითაც არ ეთიშება საზოგადოებრივ საქმეს. ისაკი ითვლება თელავის სარაიონთა-შორისო გაზეთის „ალაზნის განთიადის“ რედაქციის შტატგარეშე საილუსტრაციო განყოფილების გამგედ, ამავე დროს აქტიურად თანამშრომლობს რესპუბლიკურ პრესაში.

ღვაწლმოსილი ფოტორეპორტიორი თავისი უანგარო შრომისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაიდილოებულია მედლითა და საპატიო სიგელებით.

— კვლავაც ვეცდები ასევე ერთგულად ვემსახურო ჩემს ხალხს, ჩემს ფოტოილუსტრაციებში კვლავაც სრულყოფილად ავსახო საბჭოთა ადამიანების გმირული შემართება კომუნიზმის ახალ-ახალი მწვერვალების დასაპყრობად.



ნატო ვარნაძე

გვეყრა, რომ ჩვენი ისაკი სიტყვას არ უღალატებს, კვლავ არაერთხელ გაგვახარებს თავისი საუცხოო ფოტოგერტინებითა და კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა პორტრეტებით.

ელისაბე ჩერკეზიშვილი და ვასო აბაშიძე





ზურაბ კიკალეიშვილი

ნელი ჩაჩავა

ძნელი სათქმელია, რამ მისცა პირველი შთაგონება: ქვაში გაცოცხლებულმა მოქანდაკის გენიამ, რომელიმე ტანმოფარჯინის პლასტიკური მოძრაობებით აღმაფრენამ, თუ პირველად ნანახმა სახალეტო სპექტაკლმა. შეიძლება იყო ერთიც; მეორეც და მესამეც. პირველი ვატყვება, ალბათ, ეყრდნობოდა ხელოვნების ჯერ გაუცნობიერებელი იმპულსების უეცარ აფეთქებას... მერე დაიწყო გარკვეული მიზნის შეცნობა, საკუთარ თავში აღმოჩენილი ნიჭიერების, „სხეულის ნიჭიერების“ ძერწვა მოქანდაკის მოთმინებით. თვითონ ზურაბ კიკალეიშვილიც ვერ გეტყვით ზუსტად იმ თარიღს, როდის გაიღვიძა მასში მომეცავემ, პლასტიკური ხელოვნების ვენებამოპარებულმა ტრფილმა. იგი უბრალოდ დაწერა თავის ავტობიოგრაფიაში, რომ „საშუალო სკოლის პარალელურად მეცადინეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწის დავით ჯავრიანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ სახალეტო კურსებზე, რომელიც 1939 წელს დაამთავრა“. და ამას მოყვება სულ ერთ ფურცელზე ჩამოწერილი თარიღები, რომელიც გვაშინებს ხელოვნების ცხოვრებას ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს მთელი ოცი წლის მანძილზე. ცარიელი რჩება მანძილი თარიღიდან თარიღამდე: ყოველი წელი, ყოველი თვე და ყოველი დღეც კი აღსავსე იყო დაუცხრომელი ძიებით, ეძებვით, მოლოდინდელი მარცხით და უეცარი სიხარულით გამარჯვებული შემოქმედისა...

„ქანდაკება არის ქვა, რომელსაც ჩამოთლილი აქვს ყველაფერი გარდა თვით ქანდაკებისაო“, უთქვამს როდენს. ამ პარადოქსში განხილულია პლასტიკური ხელოვნების სირთულე, მისი საიდუმლო. და თუ ბალეტმაისტრის ცეკვა „ამოძრავებელი ქანდაკებაა“, სკულპტურისა და მო-

რაობის სილამაზის ცოცხალი სინთეზია, აქ ძალაში რჩება მოქანდაკის დაუცხრომელი ძიება გამოსახველობითი სიზუსტისა და შინაგანი ექსპრესიის მიღწევისა.

სპექტაკლიდან სპექტაკლში, როლიდან როლში გრძელდებოდა ეს სრულყოფა დახვეწილი პლასტიკის, მოძრაობის სიზუსტის მისაღწევად. სახვედრიოდ, ყველაფერი ეს მთელი ოცი წლის განმავლობაში ხდებოდა ჩვენი დროის უდიდესი ხელოვნის ვახტანგ ჭაბუკიანის გვერდით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, მისი ამოუწურავი ტალანტის გადაძღებ ატმოსფეროში.

მსოკვის დიდი თეატრის ქორეოგრაფიული სტუდია, გამოჩენილი ბალერინების და ბალეტმაისტრების გაცნობა. პირველი წარმატება, განუწყვეტელი ვარჯიში, 1943 წელს კვლავ შრობილიერ თბილისში დაბრუნება... აქაც ცოტას ამბობენ სიტყვები.

ცეკვა უფრო ადვილია, მაშინ როდესაც სცენა შრობილიერ ნიადაგს ვერცნობა. ამას უნდა გრძნობდე, როგორც ხე გრძნობს თავის ფესვებს. აქაა დამარხული უღვევლი ენერჯია მოძრაობის, ტრიალისა თუ ხტომის მანამდე უცნობი ხაზები, ჯერ გაუსხნელი ფორმები. ამას იმთავითვე გრძნობს ზურაბ კიკალეიშვილი.

იქნებ სიმბოლურაც იყოს პირველად სატირის როლში გამოსვლა. ქანდაკებიდან წამოსული ცბიერი, გამჭირდავი ღიმილი გადადის დეაფორული ბოროტების პირველ ჯერ კიდევ გაჩვენულად გამოუმტკავენებელ მოძრაობებში. („ფუსტები“). ბალეტში განსხვულდა ანტიკური ადამიანის გნებით შექმნილი მითოური სახე დაუფარავი ცბიერებისა. აქ პირველად მოიხიზა ზ. კიკალეიშვილის ტალანტის დამახასიათებელი თვისებანი: მსუბუქი იუმორი, ცეკვაში, სიარულში, ხტომაში გამოუმტკავენებელი ბოროტება.

პირველი ნახტომი ხელოვნების მწვერვალისაკენ გადულად გაკეთდა. ვალბურჯის ღამის ფეერიულ სანახაობაში გაელვარებულმა სატირის სახემ გაიარა მეტად რთულ ახალ პარტიზეში. ჯარჯი „მთების გულში“, ნურალი „ბახჩისარაის შადრევანში“, ბაზილი „დონ-კიხოტში“, პინიკი ზიგორიდი „გედების ტბაში“... ეს იყო ცნობილი სახალეტო ოსტატებთან დაჯერებული გაჯიზბებაც. ოსტატობის ახალი სიმაღლეების წვდომაც და საკუთარი ამბულის ოპონის რთული პროცესიც.

ყოველი ხელოვნის ცხოვრებაში ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როცა იგი ბოლომდე პოულობს თავის თავს. ასეთი მომენტია ზ. კიკალეიშვილის ცხოვრებაში ბალეტ „სინათლეში“ შესრულებული დავრიმის როლი. ქართული ბალეტში აქ კიდევ ერთხელ ემართება ფოლკლორის დაუწვრიტელ საუნჯეს. ავთანდილისა და დავრიმის სახეებში თავს იყრის ხალხის ცნობიერებაში შემონახული საუკუნოვანი კონვლენტიკი კეთილისა და ბოროტის, ნათელი სამყაროსა და ჯოჯოხეთური ქვესკენლის. ბალეტის ზღაპრული სამყარო, სანახაობითი ფორმებით ადამიანურ ფანტაზიაზე, დამყარებულ, ორგანულად შეეთვისა ნაციონალური ქორეოგრაფიის, თითქოს მანამდე უცნობ, თავისებურებებს. ზურაბ კიკალეიშვილი დავრიმის მეტად რთულ როლში ემყარებოდა ერთის მხრივ ადამიანური ცბიერების გაგრ-

ცელებულ ფორმებს ქართულ ზღაპრებში, გადამიანურ-ბული ბოროტი ძალის კონკრეტული ბუნების გამოძერწვას, მეორეს მხრივ, წმინდა ფანტასტიური მონაცემებით ემშაკების, ავი სულეების, ავი სისხლიანი ურჩხულების, როგორც ისევე და ისევე ადამიანურ ბოროტების ალგორითული ფორმების პლასტიურ ხაზებში წარმოდგენას. მისი ცხვირად მომხიბარო დავრიში ავთანდილთან დღეტში, თითქოს ერთგული მოდრეკილი მოჩრდილება, ადვილად ფარავს თავის თავში ბოროტებას. ადამიანურ სამყაროში იგი მეტად ძუნწად ამხელს თავის ზრახვებს. სამაგიეროდ, ქექსანელში, ბოროტ ძალთა საუფლოში, იგი თავისუფალი ბოროტების გამოვლენაში. აღფრთოვანებულ ხობტაში, წრილად მოძრაობებს და ემშაკისეულ მანჭვა-გრეხაში ზ. კიკაელიშვილის დავრიში ავოცხლებს ბოროტი ძალის ნამდვილ სახეს. და თუ ხელოვნებაში უარყოფითი მოვლენების მხილება ქეშმარიტი მხატვრობით არანაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე დადებითი ძალის გამოჩვენება, მაშინ ზ. კიკაელიშვილის დავრიშიც ნამდვილი ხელოვნებაა. ქართულ საოპერო ხელოვნებაში ფალიაშვილის გენიის შექმნილ მურმანის სახეს ბირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება დავრიშიც. აღრმავებს და ანვითარებს იმ საწყისების ხელოვნებაში გადატანის პროცესს, რომელიც ფალიაშვილმა დაიწყო გასულ საუკუნეში. ზ. კიკაელიშვილი დავრიშის როლში მაქსიმალურად იყენებს გარეგნული მოძრაობების ყველა ფორმას დაწყებული მზაკერული ღიმილით და გათავებული ემშაკისეული ფრთების ტრიალით. აქ მოძრაობა ცვლის სიტყვას, ფერს, და მუსიკალურ ბეგრებთან შეხამებით იქმნება პლასტიური სახე მხატვრული ნაზრებისა. ყოველი კუნთის მოძრაობით შეცვლდება მოხარხარე კაცთმოძულეა. ქეშმარიტად შემზარავი ბოროტების ზეიმი. ხოლო დავრიშის სიკვდილი, განწირული სიავის სასოწარკვეთილება, ბოროტი ძალეების უკიდურესი დამაბვა ისეთი ძალით არის ცქევაში განსახიერებული, რომ ესაა არა მხოლოდ დავრიშის დამარცხება, არამედ საერთოდ ბოროტების დათრგუნვა. უარყოფას, მუქ ტონებს, შავ ფერს თითქოს მეთი სიმკვეთრე, სიცხარე გააჩნია საერთოდ, მაგრამ ეს მეტად გარეგნული, მოჩვენებითი სიადვილეა. ნამდვილი ხელოვნება მუდამ ახლის აღმოჩენაა. ამის გარეშე არ ყოფილა „სინათლის“ წარმატება.

„სინათლის“ შემდეგ „გორდა“ იყო ახალი გამარჯვება ქართული ბალეტისა. აქ ზღაპრულ-პირობითი ელემენტები, ალეგორიებში გამოხატული კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ფილოსოფია პატრიოტულმა თემამ შესცვალა. ახლა უკვე ზ. კიკაელიშვილის წინაშე დადგა ამოცანა ცქევის ხერხებით გაეხსნა იერსახე მეშურნეობას, პატრიოტული აქოლილი ადამიანისა. „გორდას“ სიუჟეტი რამდენადმე მეცხრამეტე საუკუნისეულ პატრიოტულ მოტივებს ემყარება, მაგრამ ჭაბუკიანის სწრაფვა, იყოს მუდამ თანამედროვე, აქაც თავს იჩენს: პატრიოტულ სულს-კეთებასთან ერთად, მას წინა პლანზე გადამოაქვს ადამიანური ვნებები. კეთილშობილება, სამშობლოს, ოჯახის ერთგვარი სიყვარული აქ კიდევ ერთხელ წინ აღუდგება

შურიანობას, განდღების, პარადიულობის ბნელ სურვილეს და იმარჯვებს მასთან ბრძოლაში. ზ. კიკაელიშვილის მიერ გახსნილი მამიას როლი ისევე და ისევე შინაგანი სირთულით ხასიათდება და მისი დაფარული ბოროტება იოლად საძლევი როლია. აქაც ინტრიგის საფუძველი ერთსა და იმავე ქალის სიყვარულში მოცემული და რაყიფების ბრძოლა საერთო ეროვნულ მასშტაბში გადასულ შეჯახებად იქცევა. დ. თორაძის მუსიკაში ჭარბად გაღმოსული ხალხური ინტონაციები და მელიდები იძლეოდა შესაძლებლობას ქორეოგრაფიული მრავალფეროვნებისა და, ცხადია, გ. ჭაბუკიანი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა. მან ფართოდ გაუხსნა ფრთები ზ. კიკაელიშვილის აწ უკვე დაღუღებულ ოსტატობას და მოცეკვავის

ზურაბ კიკაელიშვილი — ავთანდილი (სინათლე)



ბუნებაში ახალი შესაძლებლობების გახსნას ხელი შეუწყობს რევისორობითაც და უზადლო პარტიზანობითაც.

იავოს სახის იმდენგვარი ინტერპრეტაცია არსებობს, რამდენ სიღის მსახიობს უთამაშა ეს როლი. ბალეტ „ოტელოს“ შემდეგ არსებობს ამ სახის კიკალევიზილის-ბუნებრივი ციკლისა და პანტომიმის ხერხებით. მის ტანსაცმელი მზატვარს ს. ვირსლიძეს შვი და ნაცრისფერი შეუხამებია, ამით კიკალევიზილი-იავოს ქვეწარმავალის სახე მიუღია და თავისი მოძრაობების ამოხსნაში ის შხა-ნიანობას, მცურავის მოქნილობას, გველურობას აყვავ-ნებებს. ქართულ თეატრში პირველად კოტე მარჯანიშვილმა დაამყვიდრა იავოს მიზანსაცნა, როცა იგი მტაცებელი ფრინველივით მკერდე დაადგება გონებადკარგული ოტე-ლოს. შემდეგ იგივე თავისებურად აკაკი ვასაძემაც გააკეთა მეორე მოქმედებაში, ვულზე ფეხი დაადგა გონიხილი ოტელოს და ბოროტად შესძახა: „გასკრებ, ვასკურ ჩემო წამალო, ასე გააბამ შენს მახვილ სულელებს და ალაღ-მართლებსა“. ზ. კიკალევიშვილმა ბოროტების უფრო მეტი „გარეგნული“ ხაზგასმისთვის იავო მცურავ გველს დაამ-გვანა. გველი კი მულამ შემაზრუნია თავისი აუწყრელი სილამაზითაც კი. სახის ამგვარი გახსნა ითვალისწინებს მოძრაობათა მანამდე გამოყენებულ ხაზებს, რაც ბორო-ტების აზრს მისი შემაზრუნეი ბუნების წმინდა შექპირი-სული სისრულით წარმოგვიადგენს.

თანდათანობით, შემპარავად ჩნდება ბალეტში იავოს ფიგურა. იგი, ჯერ თითქმის მასაში „გათყვეფილი“, უცებ ამოიხრება მზავკრული თვლებით და გამაღიზიანებელი, ავკაცური სიარულით, ხოლო ექვიანობის გავლივებისა და ბოლოს ფიცის სცენაში ვირტუოზობამდე აღის. იშვიათი სიზუსტით არის მონახული ბოროტი ზრახვებით შეპყრო-ბილი ადამიანის მოუსვენრობა, მაგრთან მისი მოჩვეუბითი მიჩრდილება, მკუთამოკლე როდერიგოსთან წამქეზებულური დილომატობა. კასისთან ცრუ მეგობრობა და მეულეს-თან ამპარტავანი ქმრის ქედბადლობა და ცინიზმი, სრულ-ღიად შეუფერებელი ვენეციელი არისტოკრატისთვის. ზ. კიკალევიშვილი ამ როლებშიც ცვეკვრად მსუბუქად, მოძ-რაობაში აზრის გამოხატვის დიდი სიყვადით პორტრეტისა და ფსიქოლოგიური ნიუანსების ფაქიზად გადმოცემის გრანძობით. მას არ დასჯავს იავოს კასითა ჩვეულებრივ ინტრიგანობამდე, ამ პატემიყვარე კასში გაღვივებულ ბოროტ ვნებებს ჭეშმარიტი დემონორობით მსჭვალავს. ასე ამოიტანა შექპირის საწყარო და წმინდა რენესანსული აზროვნების სიღრმე ქართულ ბალეტში „ოტელოს“ დაღ-გვამს. იგი სიმართლით დაუკავშირდა დღევანდელ ადამი-ანს განცდებს.

და, ალბათ, იშვიათა უცხოელი, რომელიც თბილისში ჩამოსულიყოს და ა. მაშვეარიანის „ოტელოს“ ნახვით არ დაინტერესებულყოფს, კიკალევიშვილის უზადლო ნიჭიერ-ებისათვის სკადრისი ქება არ ეთქვას და შექპირის გვი-რების გამოჩენილ შემსრულებლებთან პარალელი არ გავე-ლოს. დიდს, მართალ ხელოვნებას მიზიდულობის გრან-დიოზული ძალა გააჩნია. ამიტომაც ქუხდა ქართული ბა-ლეტის სახელი მისკოვში. დეკადის დღეებში ამიტომაც

აღვრთოვანებით წერდა „პრავდის“ ფურცლებზე ცნობილი ბალერინა ულანოვა ვ. ჭაბუკიანის, ზ. კიკალევიშვილის, ვ. წიგნაძის მაღალი ხელოვნების გულწრფელ ხიბტას. ბუნებრივად „განდა ბალეტ „ოტელოს“ ეკრანიზაციის მოთხოვნაც და ამ დიდებულმა სანახაობამ მსოფლიო ეკრანები ჩამოიარა. დიდ ხელოვნებას შორი გზა აქვს. 1947 წელს ზ. კიკალევიშვილი პრადამი ცვეკვრად. მსოფ-ლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდობის ფეს-ტივალზე. ტლანტების, სილამაზის, მეგობრობის ზეიმზე მან თავისი ხელოვნებაც მიიტანა და... — პრადის გაზრ-წყინებულ ქუჩებზე პირველი მოცვეკვის სახელიც დაიარსა. ორი წლის შემდეგ ფესტივალი ქუხდა ბუდაპეშ-ტის ქუჩებში. ზ. კიკალევიშვილი კვლავ აჩვენა თავისი უზადლო ისტატობა. ბუდაპეშტიდან ლუბერატის საპატოო წოდებით დაბრუნდა იგი. უჩვეულოდ გაფართოვდა ზ. კი-კალევიშვილის რეპერტუარი. ოციოდე წლის განმავლობაში მან ოცო რეპერი ითამაშა და ყოველთვის წარუშლელ შთა-ბეჭდილებას ტოვებდა მაყურებლებზე. ალბერტი — „ვი-ზელი“, ბაზილი — „დონ-კიხოტო“, ფრონდისო — „ლაურენსიაში“, სერგეი — „მშვიდობისთვის“, ვაცლავი და ნურალი — „ბახჩისარაის შადრევანში“, გრენუა — „ესმერლდაში“, და ბოლის დემონი — „დემონში“. დე-მონს ზ. კიკალევიშვილი ჭაბუკიანის შემცველად ცვეკვს. ზ. კიკალევიშვილი აქ, კიდევ ერთხელ თავისი ავტოელი ამპლუსის სფეროში აღმოჩნდა. განდგომილი შეურაცხყო-ფილი დემონის გაბოროტებულ ბუნებაში გამოიყვანდა მისი რომანტიკულობის მომხიბლავი, ამ გაიჭრეულ არ-სებაში ღრმად ადამიანურ ვნებათა დღევანი ტემპერა-მენტის გამოყენების უდიდეს შესაძლებლობას იძლეოდა და ცვეკვაში სამხრეთის მზის მსურველად შექპილიდა.

შორს წავიდა ზ. კიკალევიშვილის სახელი. ბოლის სა-ხელს თვითონ გააცვა, სამხრეთ ამერიკის ცის ქვეშ გაუ-ჩოების გიტარებით ახმაურებულ დამეებში „ქართული მოცვეკვის ემზი და ლაზარი მიიტანა, რით დე-კანერიოს, ბუნენს-აირესის მკვიდრთ, ალბათ, დიდხანს ემასსორე-ბათ ნაწყვეტები ბალეტებში „ოტელო“, „გორდ“, „სი-ნათლუ“. მწერალი კორეი ამაღლ აღტაცებით ულოცავდა ქართველ აქტიორებს დიდ გამარჯვებას. ბრაზილის, არგენტინის და ჩილის ქალაქებში ქართული ხელოვნების გაბრწყინებაში ზ. კიკალევიშვილმაც თავისი წვლილი შეი-ტანა და სამშობლოში დაბრუნებისას მაყურებლის ტანს-ცემა და მიწონების დიმილი თან გამოიყოლია.

ახლა გასტროლომი ვენაში, კლასიკური ბალეტის და ელსების ქალაქში... ვენა ხომ ცნობილია საბალეტო კულ-ტურის მკაცრად ტრადიციული სტილით. ვ. ჭაბუკიანი, ზ. კიკალევიშვილი, ვ. წიგნაძე, ეიერ ჭაბუკიანი ახერხე-ბენ მეტად მკაცრი ვემონების მქონე ვენელი მაყურებლის მოჯალოებას. მსოფლიოში მსოფლიოში მსოფლიოში მსოფლიოში ქალაქში ქართული ბალეტის გასტროლომის წარმატება ახალი სიხარული იყო ზ. კიკალევიშვილისთვისაც. გაზეთი „ფოლკსტიმე“ წერდა: „დაუვიწყარი არან ოტელოს როლში ვახტანგ ჭაბუკიანი, იავოს როლში ზურაბ კიკა-ლევიშვილი, ვერა წიგნაძე — დეზემონა და მომხიბველი

ბიანკა — ეთერ ჭაბუკიანი "... ხოტბა შეასხეს ავსტრიელმა ხელოვნების მოღვაწეებმა ქართველ აქტიორებს და ერთხმად აღნიშნეს გემოვნების, ოსტატობის მაღალი დონე.

მაყურებელმა შეიყვარა ზ. კიკალიშვილის მართალი ხელოვნება. ოცდათორმეტი წლისა იგი უკვე საქართველოს სახალხო არტისტია. 1952 წელს „გორდამი“ მონაწილეობისთვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ხდება, 1958 წელს, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს, იგი დააჯილდოეს ლენინის ორდენით. ნამდვილი ხელოვანისთვის არ არსებობს კმაყოფილების ზღვარი. არც ზ. კიკალიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია ჩაეტევა თარიღების ფარგლებში. როდესაც ამ სტრიქონების დასა-

წერად მივედი მასთან, ზოგიერთი ცნობის მისაღებად, მხოლოდ მოკლედ დაწერილი (რაც ერთ გვერდზეა) ავტობიოგრაფია და შესრულებული როლების სია შემომთავაზა. ალბათ, სიტყვიერი ინტერვიუ არ ეხერხება, რადგან ასე შეეჩვია ყველაფრის თქმას ციკით. ცეკვა მისთვის ისეთი ბუნებრივი მდგომარეობაა, როგორც თევზისთვის წყალში ცურვა. „მთელი სხეულით“ საუბარი მაყურებლებთან მას ისე მოხდენილად ეხერხება, რომ აჭარბებს სიტყვასაც. ახალგაზრდობაშივე სახელოვანი ხელოვანი ბევრს შრომობს ახალი სიტყვის უსიტყვოდ თქმისათვის და მუდამ შემართული მაძიებელი ჯერ განუხორციელებელ როლზე ოცნებებით არის შთაგონებული.

ზურაბ კიკალიშვილი — იაგო, ვახტანგ ჭაბუკიანი — ოტელო





გ. სვანიძე თავის მოწაფეებთან

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი სვანიძე

ნონა მუსხელიშვილი

საუუნის მეოთხედი გვაშორებს იმ დღეს, როცა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მუსიკოსმა გივი სვანიძემ პირველად შეაღო მუსიკალური სასწავლებლის კარი, როგორც პედაგოგმა და დღემდე დაუღალავად ემსახურება ნორჩი მუსიკოსების აღზრდის ამ უაღრესად საბაბუნსმგებლო და კეთილშობილურ საქმეს.

დაწყებითი და საშუალო მუსიკალური განათლება გივი სვანიძემ მელიტონ ბალანჩივიძის სახელობის ქ. ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში მიიღო, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის გ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაირიცხა პროფესორ ა. ი. თულაშვილის კლასში.

...რა შინაარსიანი და საინტერესო გაკვეთილები ჰქონდა ანა ივანეს ასულს, — ხშირად ივონებს გივი სვანიძე თავის საყვარელ პედაგოგს, — კონცერტისათვის იგი განსაკუთრებულად გვაზადებდა და ესტრადაზე გამოსვლის წინ, გასამზნეველად, შეგვადარებდა ხოლმე რომელიმე გამოჩენილ მუსირულეებელს... ამით თითქოს რაღაც ძალას ვაძაბტვდა“...

სახელოვანი პედაგოგის ნიჭიერმა დავკირებულმა მოწაფემ თავისი მასწავლებლისაგან ბევრი რამე სასარგებლო შეითვისა, რამაც ხელი შეუწყო მის მხატვრულ ზრდას, გემოვნების განვითარებასა და დაოსტატებას. შემდგომში, გივი სვანიძემ თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგა ყოველივე ის, რაც განსაკუთრებით იყო დამახასიათებელი ანა თულაშვილის საფორტეპიანო სკოლისათვის. მსგავსად თავისი პედაგოგისა, გივი სვანიძეც ყოველთვის მოწაფეს დამოუკიდებელ შემოქმედებას აჩვენებს და ხელს უწყობს მათი ინდივიდუალური ნიჭის ზრდას. ყოველი ნაწარმოების შესწავლას მოწაფესთან იგი იწყებს ამ ნაწარმოების მხატვრულ შინაარსში ღრმა წვდომით, ამხებილებს

ყურადღებას მუსიკალური შინაარსის და ფორმის საკითხზე. ნაწარმოების შესრულებისას გივი სვანიძე ყურადღების ცენტრში აყენებს გამომსახველ ბგერას, ნაწარმოების გააზრებულ შეგნებულ შესრულებას.

კონსერვატორიის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ გივი სვანიძემ ასპირანტურაში განაგრძო დახელოვნება. ბევრი რამე შემატა სწავლას დაწაფებულ ახალგაზრდა მუსიკოსს გამოჩენილმა რუსმა პიანისტიმა-პედაგოგმა პროფ. კ. ნ. ივზუმოვმა, რომლის გაკვეთილების მოსასმენად ყოველწლიურად იგზავნებოდა მოსკოვის კონსერვატორიაში მომავალი ქართული შემსრულებელი და პედაგოგი.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ გივი სვანიძე წლების მანძილზე ნაყოფიერი სამუსირულელო მოღვაწეობის ეწეოდა. იგი მონაწილეობას ღებულობდა კონცერტებში როგორც სოლო გამოსვლებით, ისე სხვადასხვა სასამლეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოსვლები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საფორტეპიანო ტრიოში, რომელიც წლების მანძილზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებაში. მუსიკის მოყვარულებს დღესაც კარგად ახსოვთ გივი სვანიძის გამოსვლები, საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით. ცენტრალური პრესა არერთხელ გამოიხმებოდა ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტის დაკრას. მაღალი შეფასება მიიღო ნიჭიერი მუსიკოსის მიერ ლისტის I კონცერტის შესრულებამ გამოჩენილი დირიჟორის პაულ-ჰელსის ხელმძღვანელობით და ჩაიკოვსკის I კონცერტის შესრულებამ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შავა აზმაიფარაშვილის ნიჭიერობით. გივი სვანიძის დაკრასში მსმენელს ხშირად აღაშაფრთხილებს, ღრმა, გამომსახველი ბგერა, უშუალოდ, შესრულების კეთილშობილური მანერა და ამავე დროს ესტრადულობა (ეს უკანასკნელი პროფ. თულაშვილის თიქმის ყველა მოწაფეს ახასიათებს).

საშემსრულებლო მოღვაწეობას გივი სვანიძე ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ მუშაობას უთავსებს. ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში იგი სათავეში ედგას სხვადასხვა მუსიკალურ სასწავლებლებს. წლების მანძილზე გ. სვანიძე ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სასწავლო დაწესებულების და კადრების განყოფილების გამგედ მუშაობდა. ხოლო 1949 წლიდან დღემდე თბილისის ზ. ფილაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლას ხელმძღვანელობს.

კეთილსინდისიერი, სეტაკი, საზოგადო საქმისათვის თავდადებული ადამიანი — გივი სვანიძე დიდი ავტორიტეტით და ღრმა პატივისცემით სარგებლობს თანამშრომლებსა და მეგობრებს შორის.

როგორი მშობლიური მზრუნველობით და სათუთი გულსინხიერებით აღეგნებს იგი თვალყურს ცენტრალური მუსიკალური სკოლის ნიჭიერი მუსიკოსთა მხატვრულ ზრდას და მომწიფებას, რამდენი შესანიშნავი შემსრულებელი აღიზარდა გივი სვანიძის ხელმძღვანელობით ამ ნიჭიერ ბავშვთა კოლაში. ვინ მოსთვლის, ამ ხნის განმავ-

ლობაში რამდენმა ასახელა თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლა და გაუთქვა მას სახელი ჩვენი საშობლოს ფარგლებს გარეთაც კი.

გივი სვანიძის პედაგოგიური მოღვაწეობა უმთავრესად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიშალა. 1945 წლიდან მან გამოჩენილი ქართველი პიანისტის და პედაგოგის საქ. სსრ სახალხო არტისტს პროფ. ა. დ. ვირსალაძის ასისტენტად დაიწყო მუშაობა (ამ წლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნიჭიერი მუსიკოსის შემდგომი დაოსტატების თვალსაზრისით), ხოლო 1950 წლიდან — დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად სპეციალურ ფორტეპიანოს კათედრაზე.

ამას წინათ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, გაიმართა გივი სვანიძის კლასის სტუდენტთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო I კურსის სტუდენტმა ლია ქურციკიძემ, III კურსის სტუდენტმა ნუნუ ბერძენიშვილმა და გულნარა კობახიძემ, IV კურსის სტუდენტმა ალა ბელკინამ და V კურსელმა მარინა გლიჩიანმა. ახალგაზრდა შემსრულებლები მსმენელთა წინაშე წარსდგნენ საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი პროგრამით და გამოავლინეს მაღალი პროფესიონალიზმი, ნაწარმოების სტილის შეგრძნებისა და მისი მხატვრულ შინაარსში ღრმად წვდომის უნარი.

კონცერტის ბრწყინვალე წარმატებამ, რომელიც მეტყველებდა გივი სვანიძის, როგორც პედაგოგის შესანიშნავ მუშაობაზე, სასიხარულო შთაბეჭდილება დატოვა

დამსწრე საზოგადოებაზე და პრესის მაღალი შეფასება დამსახურა.

საშემსრულებლო, პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ მოღვაწეობას გივი სვანიძე მეცნიერულ მუშაობასაც უთავსებდა.

მას საინტერესო მოხსენებები აქვს გაკეთებული ლისტისა და ჩაიკოვსკის I საფორტეპიანო კონცერტების შესახებ. საქართველოს მუსიკონდმა გამოსცა გივი სვანიძის მიერ რედაქტირებული ლ. შიტეს „25 ადვილი ეტუდი“ და ი. ს. ზახის „პატარა პრელუდიები და ფუგები“. მასვე ეკუთვნის რეცენზია, დაწერილი პროფ. ვ. ნ. შიუკაშვილის მიერ ა. ბალანჩივაძის II საფორტეპიანო კონცერტის რედაქციაზე. რეცენზიაში, რედაქციის ღირსეულად შეფასებასთან ერთად, გივი სვანიძე მთელ რიგ საინტერესო და სასარგებლო მითითებებს იძლევა.

ამჟამად გივი სვანიძე დიდი გატაცებით მუშაობს მისი საყვარელი პედაგოგის პროფ. ა. ი. თულაშვილის მონოგრაფიაზე.


ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გივი სვანიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.


გივი სვანიძე შემოქმედებითი ძალების გაფორმების ხანაშია, იგი კვლავაც ბევრ სასარგებლოს შემატებს ჩვენს მშობლიურ მუსიკალურ ხელოვნებას.



ვ. კაიდარაშვილი

საკურაო აუზის მშენებლობა ვაკეში





პორფირიო — ბ. კულაძე („ალკაზარი“)

ალბათ ხშირად შეხვედრიხართ თბილისის ქუჩებში მალალ, წარმოსადგე კაცს. გურიაში დაბადებული. თბილისში გაზრდილი. კახურ ქუდს ატარებს მუდამ. ზოგი მასში საყვარელ მსახიობს შეიცნობს და მის დანახვზე ტბილი ბავშვობა აგონდება. ეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი და დამსახურებული მასწავლებელი ბიძინა წულაძეა.

ნიჭიერი მსახიობი და ღვაწლმოსილი პედაგოგი დაიბადა ქალაქ მახარაძეში 1897 წელს, ცნობილი ქართველი მეფეტვრის აპოლონ წულაძის ოჯახში. აქ, საქართველოს ამ უშუშენიერესი კუთხის პატარა ქალაქში, ჩაენერგა ბიძინა წულაძეს ქართული ბუნებისა და თეატრალური ხელოვნების დიდი სიყვარული. უსაზღვროდ უყვარდა ყვეალები, შრომისმოყვარე და მუდამ მოფუსფუსე ფუნტკეზი. ბიძინა წულაძე, ალბათ, მამის კვალს გაჰყვებოდა, თეატრალური ხელოვნება, სცენა, რომ ამ შეყვარებულად.

ქ. მახარაძეში მრავლად იმართე-

შეიტანა ჩვენი ეროვნული თეატრის ახალ ნიადაგზე გადმონერგვის, მისი განმტკიცებისა და შემოქმედებითი ნივსელის საქმეში.

ნიჭიერი მსახიობი ბევრს მუშაობდა, მონდობებითა და ხალისით ეკიდებოდა ყოველ ახალ როლს. სწორედ ამიტომ მიიღო ასე კარგად მასწავლებელმა მისი გარსევანი („სალტე“) და მასში ტიპიური საშუალო გლეხის სახე დაინახა. ასევე სრულად გახსნა მსახიობმა მაქსიმოლიან მოთრის („ყაჩაღები“), რთული სახე.

ბიძინა წულაძის სახით თეატრს მღვდელ პორფირიოს („ალკაზარი“) მშენიერი შემსრულებელი ჰყავდა. როლს როლი მოჰყვებოდა და წულაძე-მსახიობი ყოველ ახალ როლში მასწავლებელს კიდევ უფრო დასრულებული და გაზრდილი ევლენებოდა.

ბიძინა წულაძემ თავისი სასცენო მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 84 პიესაში: რაბული — „ლამ ა რ ა“, დარისპანი — „შემოდგომის აზნაურები“, შერმანდინი — „ნაბიჭკარი“, სიტნიკოვი — „ეკვიქი“, ამერიკელი ძია და სხვ.

1943 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისთვის ბიძინა წულაძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭა.

დამაბული შემოქმედებითი მუშაობის მიუხედავად, ბიძინა წულაძე არ ივიწყებს თავის მეორე საყვარელ საქმეს. პარალელურად, 1920 წლიდან მოკიდებული, იგი თბილისის სკოლებში მუშაობს სიმღერის მასწავლებლად. ათი წლის განმავლობაში (1942-1953) ხელმძღვანელობს პიონერთა სასახლის გუნდს. მის აღზრდილებს შორის არიან ისეთი ცნობილი ვოკალისტები, როგორცაა: მ. ნაკაშიძე, დ. გამრეკელი, ნ. ხარაძე.

1947 წელს ბიძინა წულაძე ჩამოშორდა თეატრს და უფრო მეტი ენერგიით მოკიდა ხელი ბავშვთა მუსიკალურ აღზრდის საქმეს.

36 წლის პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ბ. წულაძეს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის მაღალი წოდება მიენიჭა.

ბ ი ბ ი ნ ა წ უ ლ ა ძ ე

ლალი გოგიშვილი

მაქსიმოლიან მოთრი — ბ. წულაძე („ყაჩაღები“)



ბოდა კონცერტები, საღამოები. სახლიდან უჩუზრად გაპარული პატარა ბიძინა ხაზრად უსმენდა მსახიობებს. ყოველდღიურად სულ უფრო იმსჯელებოდა ხელოვნების სიყვარულით, ოცნებობდა მსახიობი გამხდარიყო.

1920-23 წ. წ. ბიძინა წულაძე სწავლობს კონსერვატორიაში ვოკალურ დარგზე (პროფ. კირილიოვსთან). მაგრამ თეატრი მოსვენებას უკარგავდა. ახალი საბჭოთა ქართული თეატრის დაბადების პირველსავე წლებში მოვიდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ბიძინა წულაძე. 1924 წელს იგი შედის დასახელებულ თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში, რომელსაც 1926 წელს ამთავრებს და მსახიობად ირიცხება დასში. იმ დღიდან მოყოლებული ბიძინა წულაძემ 27 წლის მანძილზე, სხვა ქართველ მოღვაწეთა მხარდახმარ, თავისი წვლილი

„მოგზაურობა თურქეთის საქართველოში“

მ. და ნ. ტიერი

(იბეჭდება მცირელი შემოკლებით. ტექსტი და ფოტოები ავტორების)

1959 წ. ფრანგულ ეურნალში „Revue de Karthvelologie“ გამოქვეყნდა მ. და ნ. ტიერების სტატია „მოგზაურობა თურქეთის საქართველოში“, რომლის თარგმანი ქვემოთ იბეჭდება და რომელიც მეტად საინტერესო ცნობებს გვაძლევს მათ მიერ დათვალიერებული ძეგლების შესახებ. სტატიაში, თუმცა ტაო-კლარჯეთის მხარეების მცირე ნაწილია მიმოხილული, მაგრამ ჩვენთვის ესეც მეტად ძვირფასი და საინტერესოა. ტერებს ურალდება გუმბათოვანი უმნიშვნელოვანეს ნაგებობებზე, როგორც არის ბანა, ხახული, ოშკი, იშანი, ოიხა, დანარჩენი ნაგებობანი, რომელიც მათ მოგზაურობის დროს შეხვდა, სტატიაში ორივე სიტყვით არის დასახსიანებული.

სტატია სხვა მხრივაც არის საინტერესო: ავტორებს გულდასმით შეუწავლიათ ტაო-კლარჯეთის ისტორია და თვითური ძეგლის შესახებ არსებული და მათთვის ხელშისაწვდომი ისტორიული წყაროები და სხვა ლიტერატურა. ისინი ვარგად იცნობენ ცხუშტის, მ. ბროსეს, ე. თაყაიშვილის, ი. ბაღატურაძის, მიქლს და სხვათა ნაწარმოებებს ტაო-კლარჯეთის ისტორიული წარსულის შესახებ და მათი სათანადო ადგილზე გამოყენებით სრულფასოვან გამოკვლევას გვთავაზობენ.

მაგრამ ამავე დროს ავტორები არ იცნობენ ქართული ისტორიო-გრაფიის და ხელოვნებაშიცოდნების უკანასკნელი ხანის მნიშვნელოვან გამოკვლევებს. ამის გამო ძველი ავტორების ზოგიერთი შეფასებები მათს სტატიაშიც შეორდება. ჩვენ შევეცადეთ, უპირველესად გამოკვლევებზე დავყრდნობით. ავტორებს ზოგიერთი მოსახრება სათანადო კომენტარით განვუმარტა, რაც უფოთო საჭირო იყო. აქვე უნდა დავუმათოთ, რომ ავტორები მიმოხილული ძეგლების ზოგიერთ ღატრას უმართებულად ბიზანტიურ ან სასანიდურ აბასიდურ სტილში შესრულებულად თვლიან, რაც ქართული ხელოვნების ღრმა ინდივიდუალურობის გათვალისწინებლობის შედეგია. ქართული კულტურის განვითარების ისეთ ეტაპზე, როდესაც იმწინებოდა ბანა, ოშკი, ხახული და სხვა დიდებული ძეგლები, რაიმე გარეგან გავლენაზე ავტორებისეული სიმკვეთით მსჯელობა, ცხადია, საფუძველს მოკლებულია. თუმცა ისეთი ინტენსიური ურთიერთობის დროს, როგორც ჰქონდა საშუალო საუკუნეებში საქართველოს მუზონულ ქვეყნებთან, სრულიად ბუნებრივია ქართულ ხელოვნებაში მათი ტრადიციების კვალი შემოჩნდეს, ისევე — როგორც ბიზანტიურ ან სომხურ ხელოვნებაზე ქართული ხელოვნების გავლენა არ არის გამორიცხული.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში ვხვდებით, გზების, ბუნების, მოსახლეობის დღევანდელი ცხოვრების პირობების და სხვა ეთნოგრაფიულ თუ სამხარეთმცოდნეო ცნობებს, რომელიც სტატიას უფრო საინტერესოს ხდის.

შია მგალობლიშვილი
თამაზ საინიკიე

* * *

1959 წელს, თურქეთის აღმოსავლური პროვინციების დათვალიერების ნებართვა მივიღეთ. ჩვენს მიზანს შეადგენდა თურქეთის სომხეთში გამგზავრება, მაგრამ შემთხ-

ვეით ვისარგებლეთ და მოვიარეთ ჭოროხისა და მტკერის ხეობები, რომლებიც საშუალო საუკუნეებში ტაო-კლარჯეთის სამეფოს ნაწილს შეადგენდა.

ეს მხარე მეტისმეტად მთავორიანია; შედგება ბონტოს ალუბის კლდოვანი ქედებისაგან, რომლებიც პარალელურად მისდევენ ერთმანეთს გვერდიგვერდ და ხშირად სიმაღლით 3500 მეტრს აღემატებიან.


უკანასკნელ წლებამდე უგზოობის გამო, ამ ადგილებში მიმოსვლა შეუძლებელი იყო. დღესაც გზები კვლავ ცუდი და სახიფათოა, მაგრამ მოგზარობა ასე თუ ისე მაინც შეიძლება.


ძეგლები, რომლებიც ჩვენ მივიხილეთ, ყველა ცნობილია, კერძოდ, ბროსეს, თაყაიშვილის და ზდანევიჩის შრომების მიხედვით. ისინი IX-XI საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ¹.

ნებას მივცეთ თავს, სტატიას ჩვენს მიერ დათვალიერებული მხარის მოკლე ისტორიული მიმოხილვა წავუძღვარებოთ. არაბთა შემოსევით გამოწვეული განადგურების

¹ ავტორების მიერ დათვალიერებული ძეგლების თარიღები ამ ფარგლებს ცდება (იხ. მუნიშვნები ცალკეულ ძეგლებზე).

ოიხა





ხანა

შემდეგ, ბაგრატიდების გვარის ერთი შტო იძულებული იყო ქართლის სამეფოს გასულიყო და ძნელად მისადგომი პოლიტიკისათვის შეეფარებინა თავი. მათ არტანუჯის ირგვლივ შექმნეს პატარა სამეფო და ბიზანტიის დახმარებითა და არაბ ემიროთა შორის არსებული შედეგის წყალობით გაზარდეს ქვეყნის საზღვრები არდაგანისა და ტაოსაკენ.

ამოტ I-ს ხალიფამ მეფის ტიტული, ხოლო ბიზანტიის იმპერატორმა კურაპალატის წოდება უბოძეს. მან თავისი ტერიტორია ჩრდილოეთისაკენ გაზარდა, სადაც დააარსა ოპიზის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია². მისი შვილი ბაგრატ I (826-876 წ. წ.) თავდაპირველად იძულებული იყო გაეერთინებინა მამის სამფლობელო, რომელიც მის ძმებსა და მას შორის იყო დანაწილებული, ხოლო შემდეგ ხელი მიჰყო ნანგრევების აღდგენას, რომლებიც არაბებმა დატოვეს უკუქცევის შემდეგ. მან მრავალი ძველი ეკლესია განაახლა და მათ შორის იზნაიცი. მისი შვილიშვილი ადარნასე II-ც (881-823 წ. წ.)³, იძულებული იყო ბრძოლა ეწარმოებინა მტრების წინააღმდეგ. მას მიაწერენ ხანას მშენებლობას.

ადარნასე II-ის მემკვიდრეების ხანა ნაკლებად არის ცნობილი, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ X საუკუნის შუა ხანებში სამეფო დინასტია რამდენიმე წლით საერთოდ

შეწყდა⁴. თუმცა ამ პერიოდში მშვიდობიანობა არ დარღვეულა. აშენდა მრავალი ეკლესია, დიდად გაიზარდა სამონასტრო ცხოვრება. სწორედ ამ ეპოქაში ტაოს სამთავრომ (თორთუმისა და ოლთუს⁵ ხეობები) დიდი მნიშვნელობა მოიპოვა; ხოლო დავით დიდი ტაოელის (გარდაიცვალა 1001 წ.) დროს მან თავის აბოგავს მიაღწია. დავით დიდი მიხვრებულად ეწოდება ბიზანტიის საქმეებში და თავისი სამფლობელო ვანის ტბამდე განავრცო. მისი მეფობის დროს აშენდა ხახულის ლეთისმშობლის და ეომკანქის (ოშის) ეკლესიები. დავითის სიკვდილის შემდეგ ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო, რომლის საზღვარი ოლთუჩაისა და კოროხზე გადიოდა. აღმოსავლეთი ნაწილი გაერთიანებული საქართველოს სამეფოში შევიდა და მრავალი წლის მანძილზე, თამარის მეფობის დასასრულამდე (1213 წ.) მშვიდობიანად ვითარდებოდა. დასავლეთის ბიზანტიურ პროვინციებს კი თურქ-სელჯუკნი დაეპატრონენ.

1226-1410 წლებს შორის ეს მხარე მონღოლებმა და თურქმანებმა რამდენჯერმე დაარბიეს. მაგრამ ეს დროებითი შემოსევები იყო და მონასტრების უმრავლესობა უვნებლად გადარჩა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ადგილობრივი მმართველები მშვიდობიან პოლიტიკას ეწეოდნენ. მონღოლების დასუსტებასთან ერთად, აქურბამ მმართველებმა, ჯაყელების სამეფო გვარიდან ათაბაგობა მიიღეს. XV-XVI საუკუნეების განმავლობაში ისინი თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ თურქულ-სასრუსის მტკიცობას. ამავე დროს სულ უფროდაუფერო ჩამოსდიდნენ ქრისტიანულ საქართველოს და იქამდეც კი მივიდნენ, რომ რელიგიური კავშირი გაწყვიტეს მასთან და ანტიოქიის პატრიარქის გავლენის ქვეშ მოექცნენ. ძლიერდებოდა ოტომანთა გავლენაც. 1625 წელს ჯაყელებმა ისლამი მიიღეს და ხელი მიჰყვეს მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანებას. მხოლოდ 1828 წელს რუსეთმა გაათავისუფლა ეს ტერიტორიები მუსულმანთა ბატონობისაგან; მაგრამ 1921 წელს თურქებმა კვლავ მოახერხეს ამ მიწების მიტაცება.

დღევანდელი მოსახლეობა ადგილობრივი გამაჰმადიანებული ქრისტიანების შთამომავალია. სომხური ენა აქ სასუბოთი მივიწყებულია, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილია რამდენიმე სოფელი, სადაც ქართულად ლაპარაკობენ.

მოგზაურობა დავიწყეთ ერზურუმიდან და ოლთუს

² ამოტ I ოპიზის მხოლოდ გამაჰმადიანებულია და არა მშენებელი (იხ. შენიშვნა ქვემოთ).

³ ტექსტში საუბრობი სახელებისათვის ავტორები იყენებენ ფონეტიკურ ორთოგრაფიას, რაც შეესაბამება ამჟამად ხმარებულ სახელებს ან მხარეში (ფრაგმენტი ეფრასიოს სარადფიციო შენიშვნა).

⁴ ქართლის ცხოვრების¹ მიხედვით ამ წლებში მეფობდა ადარნასე I-მე დავით ქართველთა მეფე და კურაპალატისა. (იხ. პ. ინგოროვა ვიორი მერჩულე, იბ, 1954, გვ. 104).

⁴ გაუქმდა მხოლოდ მეფობის ინსტიტუტი 937-954 წ. წ. ბაგრატ მაგისტროსისა და ამოტ II კურაპალატის დროს, რაც გამოწვეული ყოფილა ბიზანტიისა და ქართველთა სამეფო პოლიტიკური ურთიერთობის გათოვლებით. ბიზანტიამ ამ კონფლიქტში პოლიტიკური მარცხი განიცადა და შერისიკება მხოლოდ ქართველთა მეფეების არცნობით ცდილობდა. იმისათვის, რომ მეფედ არჩეულს განეპტკიეცხნა თავისი ტიტული, მას უნდა მიეღო სენათმორისის ცნობა მეზობელ ქვეყნებისაგან და პირველ რიგში, სხადია, ბიზანტიისაგან. მეფედ ცნობა ეს იყო არა უბრალოდ ტიტულატურის საკითხი, აიამედ ეს იყო ამავე დროს ქვეყნის სუვერენიტეტისა და მთავრობების ცნობის (ყავიძე). მეფობა აღდგენილ იქნა სუმბატ I კეროპალატის დროს (1954-958 წ. წ.) (იხ. პ. ინგოროვა ვიორი მერჩულე, 1954, გვ. 108-109; ვ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის რეპორტი საქართველოში, 1960, გვ. 22).

⁵ შლ. ოლთისი.

ხეობის გავლით ავედით ამწვანებულ აუზში მდებარე პატარა ქალაქ ოლთუში⁶. აქვეა ცხოველბატული იერის, შუასაუკუნის ციხე-სიმაგრე უქუიცი რომლისთვისაც XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორი ბასილი და ვაერითიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III ერთმანეთს ეცილებოდნენ. ოლთუდან ოლთუჩაის ვაკეზე იყავი კვამის მიდის, ხოლო შემდეგ ქვიშითა და ღორღით დაფარული მისი შენაკადის ვრცელი, მიეზით გარშემორტყმული ხეობა იშლება. სწორედ აქ, ხეობის დასაწყისთან, ბანას მრგვალი ეკლესია დგას. რომელიც გზიდან 20 წუთის სავალზეა და ადვილად მისასვლელია.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, ეს ეკლესია, კვირიკე ეპისკოპოსის აშენებია ადარნასე II კურაპალატის ბრძანებით⁷. იგი სამეფო სამარხი და XVIII საუკუნემდე ეპისკოპოსთა საჯდომი იყო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ეკლესია ჯერ კიდევ უნებებლად იდგა, მაგრამ 1855-1877 წლების რუსეთ-თურქეთის ომების დროს იგი ციხე-სიმაგრედ გამოუყენებია და ეკლესიის დიდი ნაწილი დაწვრიულა. ეკლესიის გეგმა წარმოადგენს ტეტრაკონქს, რომელიც გარშემორტყმულია ორი წრიული სამაგრი სარტყლით და შთაგონებულია VII საუკუნეში ნერსეს III-ის მიერ აშენებულ ზვარტნოცის ცნობილი მრგვალი ეკლესიით⁸. ტაძრის აზიდული პროპორციები განსაკუთრებით ორიგინალურია. გუმბათი აღმართულია ოთხ ბურჯზე, რომელიც ერთმანეთისაგან სვეტები ჰყოფს. ამ ბურჯებთან და დაკავშირებული წრიული კედელი გამოიყვანილია განმზღვენი ძალის შესამსუქუქებლად, აფსიდული ყერდნობა ნალისებური თაღებით პაერთიანებულ კოლმანდას. გარე წრიული კედელი გახსნილი იყო ოცდაერთი, ამჟამად ამოვსებული პატარა ფანჯრით: თითოეულ ფანჯარაზე დეკორატიული თაღი გადადის, რითაც გახალისებულია მაღალი, მრგვალი კედლის სიმაკრე. დღევანდელ ნანგრევებში მრავალი არქიტექტურული დეტალია შემორჩენილი: მათ შორის ოთხი ჯერისებურად განლაგებული აფსიდი და შემოსაველი, რომელიც იქმნება აფსიდების კედლებითა და გარე კედლებით. მაგრამ ამჟამად, მხოლოდ აღმოსავ-

ლეთის აფსიდის კოლონადა წარმოადგენს ნამდვილად მშვენიერ ანსამბლს. საუცხოო ტექნიკით შესრულებული კაპიტელები, კუთხეებში ორ-ორი ხვეული ოინისი გვაგონებს, მაგრამ მათი ორიგინალობა გამოხატულია წნული დეკორით შეკმულ დიდ ასტრაკალით, რომელიც წარმოადგენს კალათისებური კაპიტელების უფრო არქაულ გამოხატვას. ჩვენი ყურადღება შორისაგან მდებარე სხვა ძეგლებზეც მიიპყრო, მაგრამ მათ დასათვალისწინებლად დრო აღარ დავტარა. სახელდობრ, ბანას ჩრდილოეთით ორი კილომეტრის დაშორებით დავინახეთ ქაჯის-ციხის ეკლესია, რომელიც დღესაც დაუნგრეველი ჩანს⁹. მისი დათვალისწინება ვერ მოვახერხეთ. რადგანაც თორთუმის ხეობა გვექონდა გასავლელი და ართვინის გზას უნდა ვაკეოლოდით ჩრდილოეთით.

თორთუმიდან 24 კილომეტრის დაშორებით ხახულის ხეობა იშლება.

მდინარის ვაკეზე კარცა გზა მიდის, რომელსაც ტყე და ხეილის პაღები მიყვება. ორი საათის სიარულის შემდეგ, უზარმაზარ ხეებში ჩაფლულ ხახულის მონასტრის მივალწვით. X საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული ღვისმშობლის ტაძარს, დღეს მოსახლეობა მეჩეთად იყენებს. ტაძის მონასტრებს შორის ხახული ყველაზე ცნობილი იყო. XI-XIII საუკუნეებში იგი მნიშვნელოვან რელიგიურ კერას წარმოადგენდა. ბერები დოქსტატებულნი იყვნენ წმიდა ტექსტების თარგმანში, ცნობილ ხელნაწერთა გადაწერაში და საღვთისმეტყველო წიგნების ოქრომჭედურ გაფორმებაში.

⁶ ეტუბოა, ავტორებს ქაჯის-ციხედ სხვა რომელიც ძველ მიუნეიეთი (თუ გაითვალისწინებთ მათ მიერ დასახლებულ მანძილს ავტორებს შეიძლება გელისმხოვენ ციხე ზუდარტს). «ქაჯის-ციხე ან ქაჯთა-ქალაქი კი უფრო შორს, ჩრდილოეთით, მდ. მტკვრისა და მისი შენაკადის ფარასუს შესაყართან მდებარეობს.


ბანა



⁴ ქ. ოლთუ არის საშუალო საუკუნეების საქართველოში ცნობილი ქალაქი ოლთისი.

⁷ ავად, გ. ჩუბინაშვილის აზრით, ბანა VII ს. შეაწულებია აგებული და თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით უფროდ უკავშირდება ამ საუკუნის ქართულ და სომხურ ძეგლებს (იხ. მისი «ქართული ხელოვნების ისტორია», 1936, გვ. 169-176 და მისივე რეცენზია ე. თაყაიშვილის შრომებზე, — «ქართული ხელოვნება» ტ. V, გვ. 257. ა. თაყაიშვილი ბანას IX ს. დასასრულისა და X საუკუნის დასაწყისის ძეგლად თვლის (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში, 1907 წელს, პარიზი, 1938 წ. გვ. 19, აგრეთვე E. Такайшвили, Материали по археологиии Кавказа, вып. XII, 1919, стр. 88-117).

⁸ ბანას ტაძის ძეგლებს შორის უპირველესია იზნის თავდაპირველი ნაგებობა, და ამდენად, როგორც ბანა, ისეც სომხური ძეგლები, ზვარტნოცი VII ს. მეორე ნახევარი და გაგიკი უფროდ იზნას უკავშირდება. ამავე დროს ბანა, ამ ტაძის ძეგლების ზემოთაზოვნილ ვარიანტებს შორის, ყველაზე სრულყოფილი აღმოჩნდა ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, რაზედაც მიუთითებს მისი გამოკლება (XIX ს. დაანგრიეს), მაშინ, როცა სხვა ძეგლებმა ორივე საუკუნეც ვერ გაძლეს.




ოშკი

ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამბობს: „ამ ქვეზედ, შიფაქულს მთის კალთას, არს ეკლესია-მონასტერი ხახულისა, ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-მშვენიერად გებული, მშვენიერს, კარგს ადვილს. ეს აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან“. იგი დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს გაუმშვენებიათ¹⁰.

ეკლესია წარმოადგენს სამნავიან დიდ ბაზილიკას გუმბათით, ნაგებია კირქვის თლილი და ერთმანეთზე კარვად მორგებული დიდი კვადრებით. ნაგების პირველი მალი ტრანსეპტს წარმოადგენს, რომლის გვერდით მცირე აფსიდებია ჩასმული. ტრანსეპტის სიმაღლეზე, ცენტრალური

¹⁰ დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ გაამშვენეს არა ტამარი, არამედ ხახულის ღვთისმშობლის კარული-ხატი, რომელიც შემდგომ კვლავში იქნა ვაძმოტინალი (იხ. ვახუშტი, გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 146).

ომხანი



ნავის ზემოთ, აღმართულია გუმბათი თორმეტწახნაგა ყელით¹¹. აღმოსავლეთით იგი ეყრდნობა ცენტრალური აფსიდის ტრიუმფალურ თაღს, ხოლო დასავლეთით ორ უზარმაზარ ოთხკუთხა ბურჯს. ბურჯების აღმოსავლეთ პირზე ამოკვეთილია ოდესღაც მონასტრის წინამძღვართა-თვის განკუთვნილი ორი დიდი უბე. ამ ბურჯებზევე შემორჩენილია საუცხოო ფრესკების ნარჩენები. გუმბათში ლამაზ ცისფერ ფონზე ბერძნული ტიპის დიდი თეთრი ჯგარი გამოიყოფა; ხოლო ცენტრალურ აფსიდში, მცირე სიღრმის მაღალი ნიშების წყების ზემოთ, ცისფერსავე ფონზე, X-XI საუკუნეების ბიზანტიურ სტილში წმიდანების რიგია დახატული. მათ შორის არიან: იოანე, მათე, იოანესი და ბართლომე.

ექსტერიერის კედლები სადაა და აღმოსავლეთის ოღუეი ფსადი არ გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ სამი აფსიდი. ეს უსადი ერთი სარკმლით არის შემკული, რომლის სარკმელი გაკეთებულია წითელი და თეთრ ქვების მონაცვლეობით. ამგვარივე სარკმელი გადადის პატარა ორმაგი სარკმლის ზევით რომელიც ტრანსეპტს სამხრეთის მხრიდან ანათებს. ეს სარკმელი დავიკრვენიებულია ნაქერნი ჩუქურთმებითა და ბარელიეფებით. პატარა სვეტები, ბირთვისებური ფორმის ასტრაგალიანი ოლთოსის-მაგვარი კაპიტლები, ფთოლოვანი ტოტეპითა და პალეტებით შემკული ორი პატარა შეწყვილებული თალი, დაბოლოს მათ ზემოთ, პორელიეფური არწივი და მიწაზე გართხმული ფურიჩები — აესტენ ამ ფანჯრების მიღერულ დეკორს. ფანჯრების მოჩარჩოებაში ნათელი და მუქი ფერების მონაცვლეობა და ბარელიეფური ჩუქურთმები, რომლებიც უპირისპირდებიან წმიდანთა პორელიეფურ ფიგურებს, ამ მხარის ეკლესიებისათვის მეტად დამახასიათებელია.

XIV საუკუნის მშვენიერი კამაროვანი გალერეის კარბზე, რომელიც ეკლესიას გვერდიდან ეკვრის, ბარელიეფებითაა მორთული, რომლებიც, სამწუხაროდ, მეტად სავალალო მდგომარეობაშია — ნაწილი ქვარტილითაა დაფარული. მარცხნივ, შესასვლელის მთელ სიმაღლეზე, გვერკიდევ შეიძლება გავარჩიოთ წმიდა გიორგის მიერ კერულ შაბის ვანგმირების სცენა, ფასკუნჯი პორტ-სასანიდურ სტილში და ხართან მებრძოლი ლომი. მარჯვნივ მოთავსებულ წმიდანს გაურკვეველი საკანი უჭირავს ხელში: შესაძლებელია, ეს საკანი ვასალებია (მამინ — იგი წმ. პეტრე იქნება), ან ღვთისმშობლის ქამარია (ამ შემთხვევაში იგი წმ. თომაა). ქვემოთ, უცნაური ცხოველი გემაპისმაკვარი თათებით პირიდან აგდებს მის მუცელში დილინის ყოფნის შედეგად შიშველ და გაემლოტებულ იონას ტრადიციული იკონოგრაფია სწორედ ამგვარად გვინატავს იონას სახეს. კომპოზიციას მშვენიერი დეტალი ახლავს — ორი თევზი უახლოვდება და ოდნავ ეხება ადამიანის თავს. ქრისტეს აღდგომის ამ სიმბოლოს ქვეშ, სასანიდურ სტილში გამოსახულია ბავთით მოკაზმუ

¹¹ ე. თაყაიშვილის მიხედვით, ხახულის მთავარი ტაძრის გუმბათი თექვსმეტ წახნაგაა („1917 წ. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, 1960 წ., გვ. 62).


ლი მამალი და ლომი მოძრავ პოზაში, რომელიც ზემოთ ხსენებულის მსგავსია ე. ი. უმკეულია, აბასიდური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი, მრავალი კომიკური ნიღბით, რომელსაც დიდი ღია თვალები და ორივე მხრიდან გამოკვეთილი გრძელი ცხვირი აქვს.

ამ ფიგურათა უწყსრიგო განლაგება, მათი არქაული სტილი გვაფიქრებინებს, რომ ძველი, შესაძლებელია მამიკონიანების¹² მიერ VII-VIII სს. აშენებული¹³, ეკლესიის ზოგიერთი დეტალი ხელახლა იქნა გამოყენებული. ამავე სტილით არის შესრულებული ზოგიერთი სხვა დეტალიც: კარის გლუვი ხლართული ორნამენტი, ტიმპანში ძნელად გასარჩევი ჯვრის ამალღების რელიეფური გამოსახულება (ჯვარი ოთხ ანგელოს უჭირავს), და პატარა კაპიტელი, რომელზედაც ირემთან მეგრძოლი ლომია გამოსახული. სამხრეთის სტოას მიწუნების ღრის დამატებული პორტიკი, ფარავს ტიმპანის მარჯვენა ნაწილს და კაპიტელს. ამ კარებთან, ტრანსეპტის დასავლეთ კედელზე, თაღებქვეშ, შეიძლება გაეარჩიოთ აგრეთვე თეოტოქოსი გვერდებზე ორი ანგელოზით: ეს ფიგურებიც იგივე გულუბრყვილო სტილით და დაბალი რელიეფითაა გამოკვეთილი.

ეკლესიაშ 1917 წლის შემდეგ (თაყაიშვილი — ზდანევიჩის ქართული ექსპედიციის თარიღი), მცირე ცვლილება განიცადა. დანარჩენი სამონასტრო ნაგებობანი მოსახლეობის მიერ ნაწილობრივ დანგრეულია. კერძოდ, აღარაფერი დარჩა სამხრეთ-აღმოსავლეთ კაპელისაგან, სხვები კი ძლიერ დაზიანებულია. გამოწავლის შეადგენს დავით პირველის კაპელა. იგი დამახინჯებული იყო გვიან მიშენებული პორტიკით, რომლის ჩამონგრევამ გაათავისუფლა IX საუკუნის ფსადი¹⁴. მახვილეს ხიზლავს საუცხოო ნაღებული ტიმპანი, რომელიც შეკუდიან შეფთოილი სტილიზებული ჯვრით და კარების მომჩარჩოებელი პატარა კოლონების ორი ჯვრუთი. ამირვად, ეკლესიის სამხრეთით მდებარე ეს პატარა ერთნაიანი ეკვდარი უწყნებელია. მისი აღმოსავლეთი ფსადი ერთი მშენებური სარკმლითა და ორი ნიშითაა მორთული.

თორთუმის ჩრდილოეთით, 13 კილომეტრზე მისი შენაკადის ფართო ველი იშლება, რომლის სიღრმეშიც ეოშკანქის (ოშკის) მონასტერი მოჩანს. იგი ზღვის დონიდან 1400 მ. სიმაღლეზეა, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მაღალი კლდეები დასაყურებს. ადგილობრივი კოშკის საუცხოო, მაგრამ მისასვლელი გრძელი, ქვაღორიანი და ძნელად საავალია. მოგზაურის თვალწინ მოულოდნელად აღიმართება ეკლესია, რომლის მახვილწვერიანი გუმბათი შეფთოილი ხეებს ზემოდან დასაყურებს.

ოდესღაც ოშკი ტაოს ყველაზე დიდი მონასტერი იყო, რაზედაც მისი გრანდიოზული ზომები მეტყველებს. იგი



ოშკი

აშენებულ იქნა 958-966 წლებში ბაგრატიანთა და მისი ძმის დავითის (შემდგომში დავით დიდი) მიერ, მათი მამის ადარნასე III კურაპალატის (958—961 წ. წ.) სიციხეებში. XI საუკუნის დასაწყისში, ამ მხარის დროებით მფლობელ ბიზანტიელებს ეკლესიის საბურავი განუხლებიათ.

აქაც, როგორც ეს ქართული არქიტექტურისათვის არის დამახასიათებელი, ეკლესიის გარეგან უზრალოებასა და შინაგან სირთულეს შორის წინააღმდეგობა არსებობს (ბალტრუშაიტი). გარე ხედი წაავსებს დაახლოებით რომანულ ბაზილიკას ტრანსეპტით; ხოლო ინტერიერი წარმოადგენს ტრიკონქს, რომლის თვითული აფსიდის გვერდებზე პარალელურად განლაგებულია ორი მცირე აფსიდი. ექსტერიერში, აფსიდების გაყოფა გამოეწვივია მხოლოდ თითო სამკუთხა ნიშით. წაგრძელებული დასავლეთის მკლავის გვერდებზე განლაგებულია ჩრდილოეთით — ეკვდერი, სამხრეთით — გარეთ გახსნილი სტოა.

სოფლის სიახლოვემ ეკლესიას დიდი ზიანი მიაყენა: გლეხები მას მარცვლეულის შესახებად იყენებდნენ, ხოლო მისი ჩრდილოეთი ნაწილი უხეში კედლებითაა დატანებული, ისე რომ სამხრეთ-დასავლეთ სთავსოში და სამხრეთის გალერეაში შესვლა შეუძლებელია.

ინტერიერი უხვად არის განათებული დასავლეთის მკლავის კამარებისა და აღმოსავლეთის აფსიდის ჩამონგრევით წარმოქმნილი ხერხეობების საშუალებით. გუმბათის კულის საყრდენი შეისრული თაღები კი ჯერ კიდევ უწყნებელია. გუმბათის ყელი უჭირავს ოთხ გვიანტურ ბურჯს, ნიჟარისებური ტრომპების მეშვეობით. ბურჯები ეყრდნობა უზარმაზარ ბაზებს, რომელთა დიამეტრიც 2 მ აღემატება და ურარტული დიანული ტაძრების გვიან-

¹² მამიკონიანები ჭორბოს ზეობის ძველ ბინადარი გვარი იყო.

¹³ ხახულის ადგილზე VII-VIII სს. რაიმე ნაგებობის არსებობის შესახებ ამ ძველის ისეთი ცნობები მკველვარია, როგორც არის ე. თაყაიშვილი — არაფერს ამბობს.

¹⁴ ავად, გ. ჩუბინაშვილის აზრით, ამ კაპელის IX საუკუნის დათარიღება საეკვი. Ars Georica, ტ. V. გვ. 259.


ტურ კოლონებს გვაგონებს. ასეთი შედარება უფრო გამართლებულად მივიჩნევინება ბაზების ორნამენტულ არ-
შაზე დაკვირვების შემდეგ: ხეული და წნული დეკორი
გაუყობილია ნივარების, მარგალიტების, კვერცხისა და
ლოტოსის კვირტებისმავარი მორთულობებით.

1036 წელს შესრულებული საუცხოო ფრესკებიდან,
მხოლოდ რამდენიმე შემინდანის ძლიერ დაზიანებული გა-
მოსახლებუბა შემორჩენილი ავსიდაში. ეს რამდენიმე ფრაგ-
მენტიც კი იძლევა საშუალებას ამ ფრესკების დიდ მხატვ-
რულ ღირსებებზე ვისაუბროთ. ექსტერიერი საცმაოდ
მდიდრულადაა შემკული: აღმოსავლეთის ფასადი ხაზგას-
მული არკატურით, რომელიც გამოყოფს მთავარ აფსიდს,
აფსიდილოებს და მათ შუა მდებარე ნიშებს. ვიწრო სარკმ-
ლებს გარს უდის წნული საბიურ და წითელი და ოქროს-
ფერი ქვების პოლიქრომული სარქმელი ამკობს. დასავლეთ-
ის ფანჯარა, ისეთივე ორმაგი ჭრილით, როგორც ხახულ-
ში — ტაძართაი ქართული არქიტექტურისათვის. მას ორ-
სვე მხარეს თაღებით გაერთიანებული პატარა სვეტები ჩას-
დევს, რომლებიც მორთულია მოძრავი ცხოველების ბარე-
ლიეგებით. დაბოლოს, თაღის ძლიერ წყმორწული ჩამოქტი
ქვის წინ გამოსახულია წმ. სვიმონ მესვეტე. რელიეფი
თაყაიშვილის მოგაზურობის შემდეგ რამდენადმე დაზი-
ანებული არის.

სამხრეთ ფრონტონზე წმ. მიქელი და წმ. გაბრიელია
გამოსახული, მათ ქვემოთ კი არწივი, რომელსაც, ისევე
როგორც ხახულში, ბრჭყალებში ფურჩოები ჰყავს გამო-
წყვედილი (იქნებ ეს დაეთო ტოკლარჯელის პერალდიკუ-
რი ემბლემა?).

აღმოსავლეთ ფასადის მარჯვენა ნაწილზე, დეკორა-
ტიულ თაღებში, ჩასმულია ორი უხეშად თლილი ქვა: ზე-
ვითაზე მშვიდლოსანია გამოქანდაკებული, ქვევითაზე კი
ირემთან მებრძოლი ლომი (თემა და სტილი ისეთივეა, რო-
გორც ხახულში). ჩრდილოეთის სარკმლის გვერდებზე

ოჟიკი



აბასიდურ სტილში შესრულებული ლომისა და ხარის
რელიეფებია. დაბოლოს აღმოსავლეთის ფასადის სამხრეთ
ნაწილზე მოთავსებულია ორნამენტული ლენტის ჩარჩოში
ჩასმული ვედრების სცენა: ქრისტეს მარჯვენა დეკლენსი-
მშობელი, მარცხენა — იოანე-ნათლისმცემელი. ჯგუფის
ორივე მხარეს ეკლესიის მოედლით ხელში ორი ქტიტორია
გამოსახული.

გამოსახული პერსონაჟების ერთ ნაწილს, სამწუხაროდ,
აღვიწივრებიც მცხოვრებთა მინაშენები ფარავს: ჩანს მხო-
ლოდ იოანე და ბაგრატ ერისთავთ ერისთავი ეკლესიის
მოედლით ხელში. ფიგურების თავები მომტერებული აქვთ,
ჩანს ქტიტორის ოთხეუბა შარავანდედი და მისი მდღ-
რული სამართა მოსახამი, რომელიც X-XI სს. ბიზანტიის
იმპერატორთა მოსახამს აჩვენებს.

სამხრეთის გალერეაში ვერ შევედით და ვერ ვნახეთ
თაყაიშვილის მიერ აღწერილი შესანიშნავი სკულპტურე-
ბით მორთული ექვსწახანავა ბურჯი.

1917 წლის შემდეგ მონასტრის ნაგებობანი დიდად
დაზიანდა. ჯერ კიდევ შეიძლება გავარჩიოთ ნახევრად
მიწაში ჩაუხული და მცენარეებით დაფარული ბერების
სატარაპეზო.

ოლიო-ჩაის და თურთუმ-ჩაის შესაყართან იშხნისაკენ
მიმავალ გზას დავედგეთ. იშხანი ძველად ტაოს მნიშვნე-
ლოვანი ქალაქი და ტაო-ქვარაჯეთის მთავარი საეპისკო-
პოსო იყო. მისი საუცხოო, კარგად შენახული კათედრალი
დღეს სოფლებს მერქთანად გადაუქცევიათ.

სოფელი მდებარეობს წყაროებში მდიდარ, ამწვანე-
ბულ ოაზისში, დაახლოებით 1300 მ სიმაღლის პონტოს
ალპების სამხრეთ ფერდობზე. ამ ფერდობზე (700 მეტრი-
ანი ოლიოლორო გზა) ფეხით ასასვლელად სამოლ
სათია საჭირო. იშხანი ოფსიდაც ერუხიმიდან და ოლ-
თუდან არტანუჯისაკენ მიმავალი გზის საყვანძო პუნქტს
წარმოადგენდა. თანამედროვე სოფელი მდებარეობს
მშოფრედი წყაროს მარცხენა ნაპირს, დამცემი მთის
ფერდობებზე, რომელიც ორი ეკლესიით ვიკრავინდება.
აქვე მდებარე ციხე-სიმაგარიდან მხოლოდ უმნიშვნელო
ნანგრევებიადა შემორჩენილი.

იშხნის კათედრალი, ნაკურთხი ღვთისმშობლის, იოანე-
ნათლისმცემლის და სვიმონ საკირველომქმდის სახელ-
ზე, გაღმოცემის თანახმად, აშენებულ იქნა სომეხი პატ-
რიარქის ნერსეს III-ის (544-561 წ. წ.) მიერ. იგი იშხან-
ში დაბადებულია, ბერძნული განათლება მიიღია და, მიუ-
ხედავად იმისა, რომ სომეხი იყო, მხარს ოროლოდასლო-
ბას უჭერდა. ნერსეს III იშხნის კათედრალი აქ თავისი
ეპისკოპოსობის დროს უნდა აეშენებინა. ტაძარს საფუძე-
ლად დაედო მისი ზვარტნოცში განხორციელებული გეგმა,
რომელმაც მას დიდად გაუთქვა სახელი¹⁵, ძველისათვის
არაბების შემოსევა საბედისწერო გამოდგა: IX საუკუნის
ბოლოს იგი ნანგრევებად იქცა და საეპისკოპოსო კათედრა
მისობს. ბაგრატ I კურობალატმა (826-875 წ. წ.) და

¹⁵ როგორც ზემოთ აღნიშნული, იშხანი ზვარტნოცზე ადრეა
აგებული და ადრეად ავტორისული მოსაზრება შემოიპოვებს არ
შეეფერება.

მისმა შვილმა დავითმა, ამ მხარის დაბრუნების შემდეგ, აღადგინეს კათედრალი: პირველი ეპისკოპოსი გრიგოლ ხანძთელის ნათესავი საბა იყო. ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში მოიხსენება სტეფანე ეპისკოპოსი, რომელიც ტრაპიზონში იქნა კურთხეული, რაც მიუთითებს ბიზანტიის სუვერენობაზე¹⁶. XI საუკუნის დასაწყისში სამხრეთის ფსადი მთლიანად გადაკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეში მომდევნო ხანებში ქრისტიანული კერები თანდათანობით ქრებოდა, იმხანში საეპისკოპოსო კათედრამ XVII საუკუნემდე იარსება.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ტაძარი გაპარცვეს და მისი ცნობილი ფრესკები თითქმის მთლიანად დაიღუპა.


ამჟამად ეკლესიის დასავლეთი ფრთა მეჩეთად არის გადაქცეული, და რადგანაც ხიჯა არ იყო, მისი დათვალიერება ვერ შეეძლო. ეკლესიის ყველა დანარჩენი კარები კი ღია დაგვიხვდა.

გვმა გუმბათიანი ბაზილიკის ტიპისაა. ნერსეს III დროინდელი ეკლესიიდან დარჩენილია აფსიდის კოლონადა, რომელიც აღმოსავლეთის სწორი კედლისაგან გარშემოსავლელითაა გამოყოფილი. დანარჩენი სამი აფსიდის კვალიც აღარა ჩანს — შეცვლილია ჯვრის სწორი მკლავებით. ტრანსეპტის მკლავები აღმოსავლეთით მთავარი აფსიდის ორსვე მხარეს მოთავსებულ აფსიდოილებზე იხსნება.

ეკლესიის ჩრდილოეთის და დასავლეთის მკლავებს შორის კუთხე შეგებულია გრძელი დარბაზული ნაგებობით. აქ აღმოჩენილი, მიწაში ჩაფლული ქვევრები, მიუთითებენ, რომ იგი მარნად იყო გამოყენებული¹⁷.

ეკლესიის გუმბათი წარმოადგენს შეისრულ კამარას და ცერძნობა თორმეტწახანგა ყელს¹⁸.

აფსიდის არქაიზებული კოლონადის გამაერთიანებე-



ოშკი

ლი ნაღისებური თაღები როზეტებითა და ბალმეტებით მორთულ მასიურ კაპიტულუმს ეყრდნობა; გუმბათის ყელის საყრდენი უზარმაზარი ბურჯები მოშკანაქნის (ოშკის) ბურჯებს ემსგავსება. ერთმანეთის მგავსადვე არის მორთული მათი ბაზებიც, რომელთა სარტყლები, წაქცეული ლოტოსის კორებით მოჩუქურთმებული, ანტიკურ ტრადიციებს უკავშირდება. აქვე ვხედავთ საეპისკოპოსო ნიშას, რომელიც გამოკვეთილია ჩრდილო-დასავლეთის ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს.

ექსტერიერში, სამხრეთის ფსადის კარ-სარკმლები მონარჩოვებულია დაბალი კეების წნული დეკორით. სამხრეთის კარის ტიმპანზე ვრცელი ქართული ფარწერაა მოთავსებული; ორნამენტული არქივა, რომლითაც მორთულია წარწერა, შეიცავს მეტად თავისებურად ტეხილ ხაზების ზოლს და გარე კრალს, რომლის ერთმანეთთან დაკავშირებული წრეების დეკორატიული მოტივი ფართოდ იყო გავრცელებული სასანიდურ ოქროშეშვლითაში.

X საუკუნის საუცხოო ფრესკებიდან მოხოდნა რამდენიმე ფრაგმენტითაა შემორჩენილი. მხატვრობა შესრულებულია ცისფერ ფონზე. ბიზანტიურ სტილში. ძნელად გასარჩევია „მიძინების“ სცენა სამხრეთის მკლავში, ხოლო გუმბათის ყელში რამდენიმე ფშიდანის გამოსახულება, თვით გუმბათში გარსკვავებით მოქცეულ ცისფერ ფონზე ძვირფასი თვლებით მორთული ბერძნული ჯვარი, ანგელოზებზეც, რომელთაც ეს ჯვარი ეკავათ, ძლიერ დაზიანებულია, ხოლო თაყაიშვილის მიერ აღწერილი ეტლები ამჟამად საერთოდ აღარ არის. თუ შენობას 1917 წელიდან ფაქტობრივად ცვლილება არ განუცვლია, ფრესკები

¹⁶ წარწერა მოთავსებულია ტაძრის ჩრდილო ეკვდრის კედელზე. წარწერის შინაარსი ე. თაყაიშვილი ასე განმარტავს: „აღარასე II მეგვიდარებს იონის მღვდელ-მოაზარე განუწყისებელი სტეფანე და ეს უქანასენელი გაუგზავნათ ტრაპიზონს, სადაც ის უფროსებია ბერძენთა პატრიარქს ბასილს, წარწერის ბოლოში განმარტებული იქნებოდა, თუ სტეფანე რატომ ქართლის ეპისკოპოსი არ გაუხანგეს მცხეთაში საეურთხეველად, მაგრამ ეს ნაწილი, სამწუხაროდ, ავლია წარწერის. თუ ჩვენ მიერ, ახრით აღდგენილი უქანასენელი ორი სიტყვა წარწერის სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს ქართლის კათალიკოსი გარდაცვლილი ყოფილა და ამათი ჯვარ არ ყოფილა არჩეული. მაგრამ ტრაპიზონის თავისი პატრიარქი არ ყოფილა, იგი შედიოდა კონსტანტინუპოლის საპატრიარქოში. იბაღბა კიოხვა, იმხანს წარწერის ავტორმა ტრაპიზონის მიტროპოლიტი ან არქიეპისკოპოსი ზვიდობით პატრიარქად ხომ არ გამოაცხადა?“ (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 16). მიუხედავად საკითხის გაურკვევლობისა, ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ბიზანტიის სუვერენობაზე ზედმეტია ლაპარაკი.

¹⁷ მიწაში ჩაფლული ქვევრები აღმოჩნდა მხოლოდ ხახულის ტაძრის ასოსავლეთი სივარტის, რომლის მიხედვითაც ე. თაყაიშვილი ასკვნი, რომ ეს ეკვდრები, ისევე როგორც ოშკისა და ხახულის ჩრდილო ეკვდრები, მარტო საღაროდ და სურსათის შესანახად ყოფილა გამოყენებული (იხ. დას. ნაშ., გვ. 14).

¹⁸ გუმბათის ყელი აქაც თექვსმეტწახანგა (იხ. ე. თაყაიშვილი, დას. ნაშ., გვ. 18).



სახელი

ძლიერ დაზიანდა, რადგანაც აფსიდის და ტრანსეპტის კამარები არ შეკეთებულა და ეკლესია მუდმივად ღია ცის ქვეშაა.

კათედრალის სამხრეთით არის ერთნაირი პატარა კაპელა, რომელიც 1006 წელს გურგენ „მეფეთ-მეფის“ დროს აუკეთა. ეს პატარა ნაგებობა ძლიერ წააგავს დავით I კაბელას სახელში.

მდ. ჭოროხის ხეობის გავლის შემდეგ ფერდობზე შეფენილი ლამაზი ქალაქი ართვინი გამოჩნდა. აქ ხალხი ზედმიწევნით თავაზიანია. მათ შორის უმრავლესობას მაღალი ტანი, მხიარული სისასი, ფართი შუბლი, ცისფერი თვალები და შევერცხლილი თმები აქვთ. ეშვს გარეშეა, რომ ისინი ქართველები არიან.

ართვინიდან გზა მკვეთრი და ხშირი ზოგჯერგებით მოთხე ადის, თვალწინ იშლება დღემდე უკვლევე ხეობების თავბრუსხვევითი პანორამა. ბოლოს, იმერხევეზე გავლით შევედით ქართული სინაის¹⁹ საუცხოო მთებში, სადაც ჯერ კიდევ ყინულით დაფარული კლდოვანი თხემები აღმართულან ქედებს ზევით. ხეობიდან ბერთას ალპური ევლისაყენ ცუდი მთის. ამ ნაყოფიერ მიწებზე, წაბლის ტყის პირას, მთიელი ფაცხებია გაბნეული. მათი ერთმანეთზე კარგად მორგებული კედლები და, საერთოდ, მშვენიერი არქიტექტურა მიუთითებს იმაზე, რომ მთიელები შესანიშნავი მშენებლები არიან. თითოეული სახლის ფსადის წინ, გამოკვეთილია ტრასები, რომლებიც ნამდვილ გალერეებს გვანან და საუცხოო შობამქდილებს ახ-

დენენ. ამოდ ვეძებდით ბერთას ეკლესიას²⁰, იგი ამკამად აღარ არსებობს და კლდის კეხზე ამ ძველი ძეგლის ადგილას, სოფლის ზემოთ, ახალი მცეთია აშენებული.

აქედან ექვსი კილომეტრის დაშორებით, იმერხევის ერთ-ერთ განშტოებაზე კი, ოპიზას ეკლესია დგას. იგი გზიდან მოჩანს. ეკლესიამდე ფეხით ნახვევრი საათის სავალია. ძეგლი, სამწუხაროდ, ნანგრევებად არის ქცეული, მაგრამ მშვენიერი გუმბათი ჯერ კიდევ უნებნელია. მთების ხაზს ქვემოთ, მწვენიში ჩაფლული სახლების ჯგუფიდან ამოტივტივებული მისი ოქრისფერი თვალწარმატცი სილუეტი აღტაცებას იწვევს შორიდანვე. ოპიზა კლარჯეთის ერთ-ერთი უძველესი მონასტერია. იგი დაუარსებია ოთხ წმინდა ბერს VIII საუკუნის დასაწყისში²¹. ეკლესია ნაკურთხია იოანე ნათლისმცემლის სახელზე. ცნობილი წყაროების მიხედვით, 780 წელს გრიგოლ ხანძთელი მოსულა მონასტერში და ორი ეწლი დაუყვია აქ. მაგრამ, მისი სახელოვნების მიუხედავად, მონასტერი სრულიად იზოლირებული იყო გარე სამყაროსთან. მონასტრის შემოსავლის წყაროს საქონლის მოშენება, ტყე და ვენახი წარმოადგენდა. XVII საუკუნეში აქ ჯერ კიდევ არსებობდა მიღიარის სამონასტრო თემი, რომელსაც ათი სხვა მონასტერი ექვემდებარებოდა (ვახუშტი).

აშოტ I კურაპალატი (786-826 წ. წ.) ძველი ეკლესია აღუდგენია თუ მთლიანად გადაუკეთებია და სამეფო საზარხად უქცევია. იგი შემდეგაც მრავალჯერ იქნა გადაკეთებული, ასე რომ, დღევანდელი ნაგებობა XIII საუკუნეზე აღინიშნავს არ უნდა იყოს (პავლინოვი). ხოლო მიღეს იგი უფრო აღინიშნავდა მიაჩნია.

მონასტრის ეკლესია, კლარჯეთში გავრცელებული იმდროინდელი ჩვეულების მიხედვით, ვარშემორტყმული იყო მრავალრიცხოვანი მინაშენებით. მრავალი მათგანისაგან დღეს მხოლოდ ბალახითა და ხეებით დაფარული უფორმო ნანგრევებია შემორჩა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ შეიძლება ვაგარჩიოთ ბერების სატრაპეზოს ფართი დარბაზი, რომლის კამარა ეუჯინება ბოძების ერთ რიგს და და სამხრეთის კედლის ფორნტიონი იხსნება შეწყვეილებულ ფანჯრით. დაბოლოს, ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით აღსანიშნავია დარბაზი, რომლის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე ჩასახულია ნუმები. ეპიგრაფიკის მიხედვით, მას სამკლოვიარო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

რაც შეეხება თვით ეკლესიას, იგი სავალალო მდგომარეობაშია.

¹⁹ ბერთა დაარსებულ იქნა IX საუკუნის პირველ ნახევარში და კლარჯეთის სხვა მონასტრებს შორის მნიშვნელობით ერთ-ერთი უპირველესობაზე იყო. მეთის სავანე თავის მრავალრიცხოვანი ნაგებობებით ჩვენი საუკუნის დასაწყისებზე საკმაოდ კარგად იყო მოღწეული. 1904 წელს იგი ნ. მარამ დათავალერა და აღწერა (H. Marp, Дневник поездки в Шавшети и Кладзети, Т. P. VI, 1911, გვ. 168-171).


²¹ ოპიზას სავანე (მონასტერი) პირველად დაარსებული ყოფილა V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალის დროს. VIII საუკუნის 30-იან წლებში, კლარჯეთში მურგან ყრუს ლაშქრობის დროს, ოპიზა განადგურებულა და დატოვდა. VIII საუკუნის შუა ხანებში და შემდეგ აშოტ I დროს იგი აღუდგინებულა, რისთვისაც აშოტ I ოპიზის „ამოიერდ მამუნიებელ“ (ე. ი. განმანებლებელი) ეწოდა.

რეზანია — დაფარულია ჯავნარით. თაღები და კედლები
ზემო ნაწილები ჩამონგრეულია.

გეგმა აერთიანებს თავისუფალ ჯვარს ბაზილიკასთან
და ისევე როგორც დასავლეთის ქვეყნებისათვის არის
დამახასიათებელი, დასავლეთის მკლავი უფრო გრძელია.
ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავებზე მიდგმულია პა-
ტარა კვადრატული ეკვდრები. მათი შეისრული კამარები
დაყოფილი და გამაგრებულია საყრდენი თაღებით. ჯერ
კიდევ უფრო მეტი გუმბათი თორმეტწახნაგა გუმბათის ყე-
ლით, აღმართულია ტრომპებით გაერთიანებულ ოთხ
შეისრულ თაღზე. გარედან გუმბათის ყელი შემკულია დე-
კორატიული თაღებით. მისი კონუსური საბურავი საუ-
ცხოო დეკორატიული ფორმის კბილანების სერიით შემკ-
ნილ ტიხილ საფუძველს ეყრდნობა. ეს საკმაოდ დამახა-
სიათებელი მორთულობა ჩვეულებრივად XI საუკუნის შუა
წლების წინა პერიოდში გვხვდება. ეკლესიას საბურავი
მშვენიერი ღია მწვანით მოტიქული გლუვი კრამიტისა
ჰქონდა, რომლის ერთი ნაწილი მიწაზე ყრია.

ოდესღაც ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ ამ
მხატვრობიდან დღემდე აღარავფრია მოღწეული.

ბერთას და ოპიზას დათვალიერების შემდეგ იმერხევის
ხეობა დატოვებთ და ავედით მაღალ ზეგანზე, სადაც რამ-
დენიმე მრგვალოშკიანი ციხე-სიმაგრეა აღმართული. ჩვენ
თვალწინ გადაიშალა ტაო-კლარჯეთის ძველი დედაქალა-
ქის — არტანუჯის ²³ საუცხოო სანახები. ამ პატარა ქალა-
ქის ცენტრში დღესაც დაცულია მნიშვნელოვანი ციხე-
სიმაგრის ნანგრევები, რომელსაც ვარს უგლის ორმაგი
ზღუდე, ქალაქი მდინარის მოსახვევთან მალღობზეა გაშე-
ნებული და მდინარეს დიდი სიმალიდან დაჰყურებს. ად-
ვილად გასაგებია, თუ რაოდენ დიდი სტრატეგიული მნი-
შვნელობა ჰქონდა ამ ქალაქს საშუალო საუკუნეებში. ქა-
ლაქის შენიშობებს შორის გვიანდელი ხანის დიდი ქართული
ეკლესია გამოიყოფა. არტანუჯზე ამჟამად მთავარი გზა
აღარ გადის. რადგანაც ამ მხარის ცენტრმა გადაინაცვლა
15 კილომეტრით ზემოთ თუთუნულში. გზა თანდათან
მაღლა მიიწევს, სოფლები პირქუშად გამოიყურებიან.
უფანჯრო და დაბალი სახლები სუსხიანი ქარებისაგან
ასარიდებლად ნახევრად მიწაშია ჩაშენებული. ათი კილო-
მეტრის გავლის შემდეგ, გადავიდით მტკვარზე, რომელიც
ამ ადგილებში უკვე მოზრდილი მდინარეა. აქედან გზა
ფართო ველზე გავლით მიემართება არდაგანისაკენ, რომე-



ბაულო

ლიც წყლისპირა კლდის ძირშია გაშენებული. კლდის კეხ-
ზე კარგად შენახული ციხე-სიმაგრე დვას, რომლის ოთ-
კუთხა კოშკებს დღესაც აქვს ქონგურები შენარჩუნებული.
ეს ციტადელი ამჟამადაც გამოყენებულია გარნიზონად და
მისი დათვალიერება არ შეიძლება. იგი, ისევე როგორც
ქალაქის სხვა შენობები, მუქი ნაცრისფერია. სახლების
უმრავლესობა უბრალო თავშესაფარს წარმოადგენს, ხო-
ლო ზოგიერთი მშვენიერი გარეგნული იერის მქონე შე-
ნობა უკავშირდება გასულ საუკუნეში რუსეთის მიერ ამ
მხარის ოკუპაციის ხანას; საოცარია, რომ მოსახლეობა
მომთაბარე ცხოვრებას ეწევა და ბარაკებში ცხოვრობს.
ირველვე ყველაფერი გატიალებულია. სახლების ჩამოგ-
ლეჯილი კარები, მერყევი კიბეები, ფაცხების შეითხნი-
ლი კედლები, უაეგლო ოთახები მეტ სევდას გვრის ამ ქა-
ლაქის ნახვით ისედაც სევდამორეულ მოგზაურს. შთაბე-
დილება იქმნება, თითქოს ამ პატარა ქალაქს, ადამინის-
ტრაციული და სამხედრო მნიშვნელობის გარდა, ყოველ-
ველგვარი ინტერესი დაუკარგავს.

არდაგანიდან ჩილდირის ტბით სომხეთის ზეგნებისა-
კენ განვარძებთ ჩვენს მოგზაურობას.

²³ არტანუჯი დედაქალაქად გახდა IX საუკუნის დასაწყისში,
შავშთ-კლარჯეთში აშოტ I-ის გადმოსვლის შემდეგ.

ფრანკულიდან თარგმნეს
მზია მაგალობლიშვილმა და თამაზ სანიკიძემ



ერთხელ კიდევ ზოგადდამიანურისა და ეროვნულის შესახებ

რამაზ კობიძე

ჩვენს მრავალსაუკუნოვან კულტურას მეტად არასა-
ხარბილო შტო ჰქონდა. ჩვენი ხელოვნების უდიდესი ძეგ-
ლები საუკუნეების მანძილზე უცნობი რჩებოდნენ ვანათ-
ლებული კაცობრიობისათვის. ლექსი თუ სიმღერა მხო-
ლოდ მაშინ იძენს ღირებულებას, როცა მას გაეცნობიან,
და ამიტომ ქართული კულტურა საუკუნეების მანძილზე
არც არსებობდა კაცობრიობისათვის. ამ თვალსაზრისით
საწუგეშო მხოლოდ ისა ვგუჯვს, რომ ასეთ დღეში მართო
ჩვენი კულტურა არა ყოფილა.

ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ერის
კულტურულ ღირებულებათა საერთაშორისო გავრცელე-
ბისა და აღიარების თვალსაზრისით ჩვენ, საბჭოთა კავში-
რის სხვა მოძმე ერებთან ერთად, უკვე ვიპოეთ ჩვენს ქვეყა-
ნაში სოციალიზმის გამარჯვების, ახალ საზოგადოებრივ
ურთიერთობათა დამკვიდრების, საბჭოთა სახელმწიფოს
საერთაშორისო ავტორიტეტის განუხრელი ზრდის შედე-
გებს. ქართული ხელოვნების ბევრმა ნაწარმოებმა გადა-
ვალა ერის გეოგრაფიული საზღვრები და ბევრი სხვა ხალ-
ხის კულტურებზეც გახდა. ამით ცხოვრებამ თვითონ გადა-
ჭრა ერთი თეორიული საკითხი, რომელიც უკვე რამდენიმე
წელიწადია, ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობასა და ლიტე-
რატურათმცოდნეობაში დგას — საკითხი ხელოვნების ნა-
წარმოებში ზოგადდამიანური და ნაციონალური მომენ-
ტების არსებობისა და ურთიერთდამოკიდებულების შესა-
ხებ.

ეს საკითხი ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში პირველად
ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცნობილი პოლემი-
კის დროს წამოიჭრა. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ თე-
ორიული თვალსაზრისით ორს ამ ჩვენს სასიქადლო მწე-
რალს ფაქტურად ერთმანეთთან არაფერი ჰქონდათ სა-
დაო. მართალი იყო აკაკი, როცა „ვეფხისტყაოსნის“
საწყისებს ქართულ ნაციონალურ ბუნებაში, ქართული
ხალხურის ხასიათების სპეციფიკაში ეძებდა, და მართალი
იყო ილია, როცა ამტკიცებდა, „ვეფხისტყაოსანი“ ზო-
გადდამიანური, ზოგადკაცობრიული მხატვრული ნაწარ-
მოებიაო. ოღონდ ეს არის: აკაკის არგუმენტაცია „ვეფხის-
ტყაოსნის“ ნაციონალური ბუნების სასარგებლოდ არ გა-
მიიჩრევა განსაკუთრებული მეცნიერულობით. პოეტის
კონკრეტული მოსაზრებანი — ტარიელი ქართულია, აფ-
თანდლი იმერელი და ფრიდონი — ზღინისპირელი, აშკა-
რად გულბერგეილია, და მხოლოდ იმას მოსაწყვებებს, რომ
აკაკიმ — საქართველოს ერთიანობისა, დამოუკიდებლო-

ბისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთმა მეთაურთა-
განმა — თავის პოლიტიკურ საქმიანობაში შოთა რუსთა-
ველის ავტორიტეტი მოიშველია და „ვეფხისტყაოსნის“
გმირთა საბრძოლო ერთიანობა საქართველოს სხვადასხვა
კუთხეთა საბრძოლო ერთიანობის მოწოდებად წარმოსახა.
ამ გზაზე სიარულისას აკაკიმ უგულბერგელო ლიტერატუ-
რული კვლევის მეცნიერული მეთოდები, ხოლო აკაკისთან
პაექრობაში თავის მხრივ ერთი შეცდომა დაუშვა ილია-
მაც — შოთას უკვდავი პოემის ზოგადდამიანური ხასია-
თის მტიყცებისას მან სრულიად არაფერი თქვა პოემის
კონკრეტული ნაციონალური საწყისების შესახებ.

დღეს, ამ პაექრობიდან თითქმის ერთი საუკუნის გას-
ვლის შემდეგ, აღარავინ დაობს იმაზე, რომ ყოველ მხატ-
ვრულ ნაწარმოებში ორგანულადაა გაერთიანებული ზო-
გადდამიანური და ნაციონალური მომენტები. ახლა ეს
საკითხი უფრო კონკრეტულად იმის: რა არის მხატვრულ
ნაწარმოებებში ზოგადდამიანური და რა ნაციონალური?
რომელ ამ მომენტთან განაპირობებს ნაწარმოების
ღირსებებს, შინაარსს, მნიშვნელობას, რა მიმართებაშია ამ
ორი — ზოგადდამიანური და ნაციონალური მომენტები-
სადმი სხვა-სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური,
ეთიკურ-მორალური თუ რელიგიური მომენტები, რომლე-
ბიც ხელოვნების ყოველი ნაწარმოების, ყოველი მხატ-
ვრული სახის აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენენ?

გასაგებია, რომ რაკი ზოგადი — საყოველთაო, ყვე-
ლასათვის საერთოს ნიშნის ზოგადდამიანური მხატვრულ
ნაწარმოებში მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც საერთოა
ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად ამ უკანასკნელის
ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა, საზოგადოებ-
რივი მრწამსისა, მორალისა, ფილოსოფიისა და ასე შემ-
დეგ.

ხელოვნების ყოველი ნაწარმოები, ყოველი მხატვრული
სახე განცდების (გრძობების, ემოციების) და საზოგა-
დოებრივი — ეროვნული, სოციალური, მორალური, ფი-
ლოსოფიური და სხვა იდეების ორგანულ ერთიანობას
წარმოადგენს. ხელოვნების ნაწარმოების შექმნის მიზეზი
ყოველთვის განცდაა, რომელიც ხელოვნაში ამა თუ იმ
მოვლენამ გამოიწვია. ამ მოვლენათა რიგი უსასრულოდ
დღია — დაწყებული ცული ასანთითა, რომლის ანთებაც
არასაგზით არ ხერხდება, და მსოფლიო ომით, ან უდიდესი
რევოლუციებით გათავებული: დაწყებული უმარტოეკსი
ეთიკური მოსაზრებებით და მორალის ფილოსოფიის ურ-

თულეს და ულრმეს საკითხებამდე. ხოლო რიგი განცდათა, რომლებსაც ეს მოვლენები ხელოვანში იწვევენ, გაცილებით უფრო მყარია. გრძობა სიყვარულისა, აღტაცების, სიძულვილისა, ზიზისა, თანაგრძობისა, მშენიერისა, სიმშინჯისა, — აი, ყველა, ამ თითქმის ყველა ის გრძობა, რომელიც ხელოვანში (და ყოველ ადამიანში) ამა თუ იმ მოვლენაში შეიძლება გამოიწვიოს.

მოვლენები, რომლებიც ხელოვანში ამა თუ იმ განცდას იწვევენ, მუდამ განსაზღვრულია ხელოვანის სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობით, პირადი მსოფლგაგებებით, მორალის ნორმებით, რელიგიით. ამიტომ ეს მოვლენები არც შეიძლება იყვნენ ზოგადადამიანური. ხოლო განცდები, რომლებიც ამ მოვლენებმა გამოიწვიეს, ღიახაც ზოგადადამიანური, ყველასთვის საერთო და ნიშნეულია.

ამის დამტკიცება უბრალო მაგალითთა შეიძლება. შექსპირის ჰამლეტი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით დიდებული, უფლისწული და ტახტის მემკვიდრეა. მისი მორალი მეტად მაღალი, სექტაკი და ადამიანური. ჰამლეტს ღმერთი სწამს, ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც რამდენადაც ეს განათლებულს უფლისწულს მოეხოვება. საკუთარი, მტკიცედ ჩამოყალიბებული ფილოსოფია კი ჰამლეტს არ გააჩნია — მთელი მისი სცენური ცხოვრება არის სწორედ ძიება ადამიანის სიყოფილის მთავარი აზრისა. ეს ძიება ჰამლეტის მაღალი ადამიანური თვისებებითა და მორალის სისექტაკით — ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ — უფლისწულის გარშემო მიმდინარე ცხოვრებით, ამ ცხოვრებაში გაბატონებული მდაბალი ზნეობითა გაპირობებული. ჰამლეტი ულრმეს კონფლიქტშია თავის თანამედროვეობასთან, და ამას თვითონაც კარგად ხედავს და ღრმად განიცდის.

(სიტყვამ მოიტანა და ჩვენი შექსპიროლოგების ყუყურადღება უნდა მივაქციოთ ცნობილი რუსი შექსპიროლოგის, პროფესორ მოროზოვის მოსაზრებას, რომელიც მან ამ ბოლო ხანებში გამოაქვეყნა, იმის შესახებ, რომ ჰამლეტის ცნობილი მონოლოგის პირველი სიტყვები არაა სწორად ითარგმნება და უნდა იყოს არა „ყოფნა-არყოფნა“, არამედ — „ვიმოქმედო, თუ არ ვიმოქმედო“. საფიქრებელია, რომ პროფ. მოროზოვის მოსაზრება სწორია).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით, ჰამლეტი ძირფესვიანად განსხვავდება შექსპირის მეორე გმირისაგან, ვოქვათ, ოტელიოსაგან. თავისი სოციალური მდგომარეობით ოტელიო ფაქტიურად თავისკენული ჯარსაკია. იგი რასობრივ დისკრიმინაციას ეპიცდის. ოტელიოს მორალს ჩვენ თითქმისდა, ვერაფერს დავუწუნებთ, ოღონდ ეს არის, რომ ჰამლეტისაგან ყოველდ ვარაუდდებითა ის, რაც ოტელიოსაგან — ქალის გატაცება სახილდან მამისგან ფარულად, ეს განსხვავებანი ჰამლეტისა და ოტელიოს განსხვავებული საზოგადოებრივი და სოციალური მდგომარეობითაა გაპირობებული. ხოლო როგორც მოაზროვნე, — ოტელიო გაცილებით დაბლა დგას ჰამლეტზე. ოტელიო — შეზღუდულია, ე. წ. მხედრული თავმჯობინებით აღსავსე და თავისი ბედით თავისუფალი. იგი ცუდად, ან თითქმის სრულიად არ იცნობს თავის თა-

ნამედროვე საზოგადოებას, და სწორედ ამაშია მისი ბედის საკუთარი კონფლიქტი თანამედროვეობისთან.

და, მიუხედავად ამ ძირფესვიანი განსხვავებისა, დღესავე ნათელია, რომ თავიანთი სცენური ბიოგრაფიების მანძილზე ჰამლეტმა და ოტელიომ სრულიად ერთსა და იმავე გრძობებს განიცდიან, სწორედ რომ ყველა ადამიანისათვის ნიშნეულ გრძობებს — სიყვარულს, შიშს, შემსუფთვებას, ზიზს, მრისხანებას, და ასე შემდეგ. და ამ სახეების ზოგადადამიანური, საყოველთაო და ყველასათვის ნიშნეული ბუნება სწორედ ამ გრძობებსა და განცდებშია.

ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. ნათელია ისიც, რომ ერთგვარი გრძობების ნიშნეული არა მარტო ერთი მწერლის ორს განსაზღვავსა გმირისთვის, არამედ სხვადასხვა ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, განსხვავებული საზოგადოებრივი მრწამსის მწერალთა გმირებისთვისაც. და ნათელია ისიც, რომ სწორედ იგივე, სწორედ საყოველთაო და ზოგადადამიანური გრძობებია ნიშნეული ჩვენი, ქართველი მწერლების გმირებისათვის, და სწორედ ამიტომ ხდებიან და არიან ეს გმირები ვასაგები და ახლობლნი სხვა ხალხებისთვის, ისევე როგორც სხვა ერთა მწერლების გმირები არიან ვასაგები და ახლობლნი ჩვენთვის.

ასე რომ, ხელოვნების ნაწარმოებას, და მხატვრულ სახეში ზოგადადამიანური მომენტის არსებობა შემოქმედლის რაღაც განსაკუთრებული მიღწევა კი არ არის, როგორც ჩვენში არაიშვითად ფიქრობდნენ, არამედ ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნა და არსებობის სრულიად აუცილებელი პირობაა. თუ არ არის გრძობა, განცდა, არ არსებობს ხელოვნების ნაწარმოებიც, განცდები და გრძობები კი გამოუკლებლივ ყველა ადამიანისათვის ნიშნეული მომენტებია.

ხელოვნების ყოველი ნაწარმოების, ყოველი მხატვრული სახის სრულიად აუცილებელი ზოგადადამიანური ბა სულად არ გამოირჩევა ამ ნაწარმოებისა თუ სახის ნაციონალიზმობას. პირიქით, ნაციონალური მომენტი ისევე აუცილებლად ნიშნეულია ხელოვნების ნაწარმოებისათვის, როგორც ზოგადადამიანური.

უპირველეს ყოვლისა, ყოველ შემოქმედს ნაციონალურ გარემოში უხდება ცხოვრება, და ამ გარემოთა გაპირობებული ხელოვნებაში ზოგადადამიანური მომენტის გრძობათა და განცდების გამოიწვევი მიზეზები. მეორე და არაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ შემოქმედის ნაციონალიზმითა განსაზღვრული გრძობათა და ემოციათა გადამოცემა გამოისახელობითი საშუალებანი. მხატვრული ლიტერატურაში ამ თვალსაზრისითი გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენას; მხატვრობასა და ქანდაკებაში — პერსონაჟის გარეგნობას, პერსონის ნაციონალურ თავისებურებებს; მუსიკაში — ტემპერამენტს, სულის ღინამიკის ნაციონალურ სპეციფიკას, და ასე შემდეგ. გამომსახველობითი საშუალებანი ხელოვნებაში მუდამ ნაციონალურია, სხვა საშუალებანი ბუნებაში ასე არსებობს და ამიტომაცაა

ხელოვნების ყოველი ნაწარმოები აუცილებლად ნაციონალური.

ჯერჯერობით ღიად რჩება საკითხი ხელოვნების ნაწარმოების მნიშვნელობის, მასშტაბურობისა და აქტუალობის შესახებ. ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარია თუ ხელოვნების ყოველი ნაწარმოები ზოგადადამიანურია, მას რა ღირებულება აქვს, რომ ერთი ნაწარმოები მეტი რეზონანსით, მეტი აღიარებითა და პოპულარობით სარგებლობს. მეორე კი თითქმის შეუმჩნეველი რჩება?

ხელოვნების ნაწარმოები აუცილებლად დროის პროდუქტია, და მისი მნიშვნელობა, გავრცელება და პოპულარობა, უპირველეს ყოვლისა, იმავთუ და მოკიდებულია, თუ რამდენად, როგორ, რა სიღრმით, აქტუალობითა და ოსტატობით არიან მასში განხორციელებული ეპოქის მთავარი საზოგადოებრივი იდეები. უმთავრესი პოლიტიკური, სოციალური, ფილოსოფიური და მორალური ტენდენციებია. აშკარაა, რომ სოციალური რევოლუციების ეპოქაში ადამიანები ნაკლებად დანტერესდებიან, ვთქვათ, ლირიკული ლექსებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნიც ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებები და ზოგადადამიანური მოვლენებია. ხელოვნების ნაწარმოებებისადმი ინტერესი ადამიანის სხვა სასიცოცხლო ინტერესებითაა განსაზღვრული. სწორედ იქ იჩენს თავს ხელოვნების ნაწარმოების კლასობრივი და პოლიტიკური ბუნება, და ხელოვნების ნაწარმოების შემეცნებითი მნიშვნელობაც. როგორც გრძნობებისა და განცდების — ზოგადადამიანური მომენტების შემეცნელი, ხელოვნების ნაწარმოები ადამიანთა დაახლოვების საშუალებაა, და იმავე დროს, რაკი გრძნობები და განცდები ხელოვნების ნაწარმოებში აუცილებლად საზოგადოებრივ იდეებთან ორგანულ კავშირში იმყოფებიან, ხელოვნების ნაწარმოები აუცილებლად არის კლასობრივი, სოციალური, პოლიტიკური ბრძოლის იარაღიც. ხელოვნების ნაწარმოები, მხატვრული სახე არის ემოციაში განფენილი კლასობრივი, სოციალური პოლიტიკური სიმართლე, აზრი, იდეა და გასაკვება, სწორედ ამიტომაცაა, რომ კაპიტალისტური სამყაროს მესვეურები ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ, გზა გადაუკეტონ საკუთარი ხალხებისაკენ ჩვენს საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და ხელოვნებათმცოდნეობაში ზოგჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დასრულებას

ტურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დასრულებას ჯგუფად: ზოგადადამიანური და ნაციონალური მნიშვნელობის ნაწარმოებებად. ზოგადადამიანური მნიშვნელობის ნაწარმოებებად უმთავრესად იმით თვლიან, რომელთაც გადალახეს ერის გეოგრაფიული საზღვრები, და სხვა ხალხებმაც გაიცნეს. რა თქმა უნდა, ეს თვალსაზრისი სწორი არ არის. ქართველი ადამიანი, ისევე, როგორც ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ყველა სხვა ადამიანი, თავის და მოკიდებულად ატარებს თავის თავში ზოგადადამიანურ მომენტებს — განცდებისა და აზროვნების უნარს, და ყველა მხატვრული ნაწარმოები, რომელიც კი ქართველი ადამიანის განცდებს გადმოგვცემს, აუცილებლად ზოგადადამიანურია, მიუხედავად იმისა, უკვე გაიცნეს ეს ნაწარმოები სხვა ერებმაც, თუ ჯერ არა.

ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ზოგადადამიანური იყო მაშინაც, როცა საქართველოს არსებობაც კი ათიოდე კაცმა თუ იცოდა მსოფლიოში. ერის კულტურულ ღირებულებათა საერთაშორისო ავტორიტეტი და გავრცელება წინათ ერის პოლიტიკურ, ეკონომიურ, ფიზიკურ, ზოგჯერ კი სამხედრო ძლიერებაზეც ყოფილა დამოკიდებული. ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, მაგალითად, დიდი ინგლისური ლიტერატურის ღირსებებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ ყოფილი ბრიტანეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების წყალობით თვით მეორე და მესამეხარისისთვის ინგლისელი მწერლებიც მეტი სახელთა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ მსოფლიოში, ვიდრე ჩვენი, და ბევრი სხვა პატარა და დამორჩილებული ხალხის ბუმბერაზი პოეტები.

დღეს ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას არანაზღაურებელი დარი დაუდგა. ქართველი ხალხის დევნადედი ყოფას და მომავალს ახალი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სოციალური შინაარსი გაანია, ახალი — არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ამიტომ ჩვენი ხელოვნება და ლიტერატურა, სულიერი ფენომენები, რომლებშიც ორგანულად დაკავშირებული ქართველი კაცის გრძნობები და განცდები ახალ, კომუნისტურ საზოგადოებრივ იდეებთან, დიდ, საერთაშორისო მნიშვნელობას იხვევს. თვით ცხოვრება და ლიტერატურისა და თეორიის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი — საკითხი ხელოვნების ნაწარმოების ზოგადადამიანურობის შესახებ — ახლა მხარდამხარ მიამოჯებენ.





სოხუმის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (1950-1953 წ. წ.)

ჯ ა ნ ო ბ ა ბ რ ა ტ ი ო ნ ი

ლილი გვარამაძე

ჯანო ბაგრატიონი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა, რომლის სახელიც განუყოფლად არის დაკავშირებული ქართული ცეკვის განვითარებასა და აღმავლობასთან. საკმარისია ითქვას, რომ ჯანო ბაგრატიონმა გაიარა სცენური ცხოვრების ყველა სტადია — ჯანო მოცეკვავე, ჯანო — ქორეოგრაფი-დამდგმელი, ჯანო — პედაგოგი. მისი არტისტული მოღვაწეობა იყო მეტად საინტერესო და შინაარსიანი. ჯანო ცეკვავედა მრავალ ქართულ ოპერაში. მთ შორის მ. ბალანჩივაძის „დარჯან ცბიერი“; ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“; „დაისი“; დ. არაყიშვილის „თქმულენა შოთა რუსთაველზე“; ვ. დილიძის „ქეთო და კოტე“; ი. ტუსკიას „სამშობლო“; გ. კილაძის „ლალო კეცხოველი“; შ. თაქთაქიშვილის „დებუტატი“ და სხვ. ამ ოპერებში ჯანო ქართული ცეკვის უბადლო შემსრულებლად გვევლინება. და უნდა ითქვას, რომ მისი ცეკვა რაღაც თავისებური — ბაგრატიონისული შესრულების მანერით გამოირჩეოდა. აქ იგი, თითქოს, გვევლინება იმ ტრადიციების გამგრძელებლად, რომელიც მან შთამომავლობის მიიღო მისი ბიძისაგან, ცნობილი მოცეკვავე

გოგინა ბაგრატიონისაგან. საზგასმული ზეიმურობისა და თავდაჭერილი მედიდურობის გრძობა გამოკრთოდა ჯანოს მიერ შესრულებულ ცეკვა „ქართულში“. და როდესაც იკონებთ ამ შესანიშნავი ცეკვის წარმოშობის წყაროებს, უნებლიეთ შეიძლება წარმოიდგინოთ ჯანო „სახიობის“ მონაწილედ. ეს წყვილთა ცეკვაა, რომელსაც იმპროვიზაციულ თანხლებას უკეთებდა ამაღლებული ლექსი. საგულისხმოა, რომ იმ წარსულ დროში სწორედ ასე სრულდებოდა წყვილთა ქართული ცეკვა, გამჭვალული ქალისადმი მოკრძალებული პატივისცემით, მისი უსიტყვო თავგანისცემით.

თავისებურია ჯანო ბაგრატიონის მიერ შესრულებული „კინტორიც“ „ქეთო და კოტედან“. ამ ცეკვაში მას ჰქონდა თავისი ტეხილი, განსაკუთრებული პლასტიკური ხაზი, თავისებური არომატი, რომელიც მოგაგონებს გუდაშვილის ნახატს. მაგრამ მისი შემოქმედების კულმინაციად, საუკეთესო პარტიად უნდა ჩაითვალოს წყვილთა ცეკვა (მთიულური-დავლური) ა. ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღიდან“, რომლის დადგმა ეკუთვნის და. ჯავრიშვილს. ეს ცეკვა შეტანილ იქნა.



ჯანო ბაგრატიონი

ფილმ-კონცერტში „ჯურღალის ფარი“. აქ ჯანო შეუდარებელი იყო. ამაყი, თითქმის გამოკვეთილი ქანდაკებასავით პირველ ნაწილში, სრულიად იცვლებოდა მეორე სწრაფ ნაწილში. როგორც ქარბუქი, ისე ტრიალებდა ჯანო სცენაზე. ხან უეცრად აღმართებოდა წინ თავის თანამოცეკვავს და გზას უღობავდა, ხან კი მოკრძალებით იხვედა უკან ქალის წინაშე. ეს იყო შესანიშნავი ცეკვა! თავადის ქალის მინიქუს სასიძო (ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მოთების გული“, დადგმა ეკუთვნის უკრაინის ხალხსახლხო არტისტს ს. ნ. სერგეევს) ჯანოს შესრულებით წარმოადგენლი იყო, როგორც ძველი ქართველი თავადი, რომელიც გვიხანავს გრავიურებზე ამოკვეთილი ან გაგარინის სურათებში. გულწრფელობითა და უზარბოებით გამოირჩეოდა მისი ახალგაზრდა კოლმუერენ დიტო შ. თაქთაქიშვილის ბალეტიდან „მალთაყა“ (დადგმა ეკუთვნის დ. ჯავრიშვილს, ვ. ლიტვინენოს, ა. თაყაიშვილს).

სამწუხაროა, რომ ჯანო ასე ადრე წავიდა სცენიდან. მართალია, არტიტული მოღვაწეობა მან არანაკლებ საინტერესო სარბიელით შეცვალა, რამაც შესაძლებლობა მისცა მისი ნიჭის განვითარებას. მაგრამ მაინც დასანანია, როცა მსახიობი თავისი სახელისა და შემოქმედებითი მოწოდების ზენიტზე იძულებულია წავიდეს სცენიდან ისე, რომ არ სთქვას ბოლომდე ის, რისი თქმაც მას სურდა თავისი ხელოვნებით.

ჯანო ბაგრატიონმა ადრე დაიწყო დადგმითი და პედაგოგიური მოღვაწეობა. ჯერ კიდევ 1934 წელს იგი თბილისში აცალიბებს მოცეკვავეთა ჯგუფს, რომლის მრავალი მონაწილე დღესაც განაგრძობს მასთან მუშაობას სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში.

იმ პერიოდიდან იხსენება მისი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ფურცელი. იგი ორჯერ აფორმებს საქართველოს ფიზკულტურულთა დელეგაციას საკავშირო ფიზკულტურულ ადლუმზე; იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ცირკის ჩამოყალიბებაში, ხელმძღვანელობდა საცეკვაო ჯგუფს. 1946-1950 წლებში ჯანო ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა ქართულ სახელმწიფო ჯაზს, 1946-1950 წლებში იგი სოხუმის საესტრადო ანსამბლის ხელმძღვანელია, ხოლო 1954-1956 წლებში ჯანო მხატვრულ ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ანსამბლს. 10 წლის მანძილზე ჯანომ თავისი ნიჭი, ფანტაზია და შესაძლებლობანი მოახმარა რთულ საესტრადო ენის და მის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ამ სფეროში ჯანო ჩვეული ენთუზიაზმით მუშაობდა. რამდენი შესანიშნავი ქართული სიმღერა აღადგინა, რამდენი გამოჩინებლობა და გემოვნება ჩააქსოვა საესტრადო ცეკვების დადგაში და, რაც მთავარია, ჯანო ყოველთვის უნარჩუნებდა მათ ქართული კოლორიტის სურნელებას. ხოლო ჯანო კი იყო არა მარტო ხელმძღვანელი-დამდგემლი, არამედ ეპირული სიმღერების ორიგინალური შემსრულებელიც, და ის ყოველთვის დიდი მოწონებით სარგებლობდა. ეს არ არის შემთხვევითი რამ. ბუნებით მომადლებულმა ლირიკულმა ტენორმა და დიდმა მუსიკალობამ, რომელიც მან შთამომავლობით მიიღო შესანიშნავი მომღერალი დედისაგან — ოლგა გიორგის ასულ ამირაჯიბისაგან — ჯანო კონსერვატორიაშიც მიიყვანა, სადაც იგი რამდენიმე ხანს სწავლობდა პროფესორ ე. ა. გროსსესთან ერთ-ერთ კონცერტზე ჯანოს ისე კარგად შესრულებული არაყიშვილის „ურმული“, რომ ალტაცებულ კომპოზიტორის მისთვის უწუქებია „ურმულის“ ნოტიები წარწერით: „შესანიშნავ ტენორს შესანიშნავი შესრულებისათვის, ავტორისაგან“.

მაგრამ ცეკვის სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ ჯანო კონსერვატორიიდან წავიდა ყოველგვარი სინანულის გარეშე. მართალია, ჯანო ბაგრატიონმა საკმაოდ დიდ ხანი დაჰყო საესტრადო ანსამბლში, მაგრამ ეს მუშაობა მის შემოქმედებაში მაინც ეპიზოდური ხასიათისაა. მისი შემოქმედებითი ცხოვრების მჯავსცემა ყოველთვის იყო და არის ქართული ქორეოგრაფია.

1938 წლიდან საესტრადო ანსამბლში მუშაობის პარალელურად იგი არის საცეკვაო ჯგუფის ხელმძღვანელი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, აგრეთვე ახორციელებს ცალკეულ დადგმებს სხვადასხვა თეატრებში, კინოფილმებში, ანსამბლებში — როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. 1934 წლიდან ჯანო ბაგრატიონმა გააფორმა ცეკვები სპექტაკლებში: „ნიწიშვილის გურია“, „შამილი“, „მზის დაბნელება“, „მოკვებითი“, „წვივა“, „რაც გინახავს, ვეღარ ხახავ“, „სვეისბერი ვინაა“, „ხაჯარათი“, „არსენა“, „ორჯინიკიძის ხმალი“, „ჩიკორი“, „სამშობლო“ (ხარკოვში), „ქეთო და

კოტე“ (სვერდლოვსკში). მას აქვს აგრეთვე დადგმები აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში. მგარამ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითადი სიმღერე ჯანოს მიერ შექმნილ მთელ რიგ ქორეოგრაფიულ მინიატურებშია, რომლებიც აღმოცენდნენ ქართულ საცეკვაო ფოლკლორზე. მრავალი მათგანი აღნიშნვის ღირსია და მათ შორის „ფარიაკობა“ (დადგმული 1940 წ. საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში), დუბტი სიმღერაზე „ნეტავე გოგო მე და შენი“ (1941 წ.), ქალთა „სამაია“ (1943 წ.), „საკოლმეურნო ცეკვა“ (1944 წ.). საინტერესო ქორეოგრაფიული ფორმით არის წარმოდგენილი სპორტულ-სატანვარჯიშო თამაში „წყრე-ლახტი“ (შრომითი რეზერვების შემოქმედებითი წრე), (1944 წ.). შესანიშნავ სურათს „საქორწილო“ საფუძვლად დაედო საქორწილო სვლა ამოღებული ხმლები გადაჯვარებით, თეფში გატეხითა და სიმღერა „ვისია, ვისია ქალი ლამაზის“ თანხლებით. თვითონ ცეკვა აგებულია „დავურის“ მოძრაობებზე „ქართულში“ გადასვლით. ეს ქორეოგრაფიული სურათი, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს, დიდგა სომხეთს საესტრადო ანსამბლში 1951 წელს. იქვე იმავე წელს განხორციელდა ქორეოგრაფიული მინიატურები „მარულა“, „ფგებურთი“, „პაემანზე“. თუ „მარულაში“ მიგნებელი მოძრაობები მაყურებელს გადაიყვანს შორეულ საუკუნეებში, უძველესი ქართული ჯირითის ეპოქაში, „ფგებურთი“ მას დღევანდელი დღის სასტადიონო პერიპეტეიზის მოწმედ ხდის. სრულიად სხვა სასიათშია გაკეთებული კომედიურ-ყოფითი სცენა „პაემანზე“. ახალგაზრდა ცერცეტა ჭაბუკი პაემანს უნიშნავს ერთდროულად ერთ ქალიშვილს. ქალიშვილები პირობას შეკრავენ ასწავლონ ჭკუა უსაქმურს. ნაციონალური კოლორიტის წარჩობში სცენა გაკეთებულია ცოცხლად, გინებამახვილურად და დიდი იუმორით.



„მარულა“

მივაკუთვნით ხევსურული სუიტა, (გადამუშავებული მისი აღრინდელი „ფარიაკობა“), ცეკვა „ალვანური“, რომელიც აღბეჭდილია არა მარტო მკაფიო სტილისტური თავისებურებით, არამედ გემოვნებითაც არის თეატრალიზებული. (სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში 1953 წ.). არ შეიძლება განსაკუთრებულად არ გამოვყოთ ჯანო ბაგრატიონის მიერ 1945 წელს დადგმული თავისებური საცეკვაო რეჩიტატივი — „ძველი თბილისი“. მაყურებლის წინაშე აღდგება გაცოცხლებული ფრესკა, ქორეოგრაფიულად წარმოსახული ყარაჩოხელის სახეები მათი პოეტური მსოფლშეგრძნებით, განსაკუთრებული ჩვეულებებითა და მანერებით. და უნებლიეთ მუხსიერებაში ცოცხლდება გრიგოლ ორბელიანის კოლორიტული სტრიქონები, ნიკო ფრონსმანისა და ლადო გუდიაშვილის დაუვიწყარი

ჯანო ბაგრატიონის დიდ ქორეოგრაფიულ ტილოებს უნდა

დავლური





ცეკვა — პაემანზე

ტილობე, მთელი რიგი ფურცლები იხსებ გრიზაშვილის „ლიტერატურული ბოჰემიდან“.

ჯანო ბაგრატიონის შემოქმედება მაყურებლის მიერ დიდად არის შეფასებული, იგი მღელვარე, შთაბეჭდავია და განიჭებული ჭეშმარიტ სიამოვნებას. ამის დამადასტურებელია პრესის მხურვალე გამოხმაურება როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ასახელებს რა ჯანო ბაგრატიონს, როგორც ქართულ ცეკვის შესანიშნავ მცოდნესა და დამდგმელს, გავითი „საღამოს ლენინგრადი“ (1955 წლის 26 ივნისი) აღნიშნავდა: „მაყურებლებს აღაფრთოვანებს ცეკვების შესანიშნავი დადგმა და ვირტუოზული შესრულება“. ვლადივის-ტოკის გაზეთში „წითელი დროსა“ 1957 წლის 29 მარტის ნომერში ნ. დლსკი აღნიშნავს, რომ მოცეკვავეთა ჯგუფი (ქორეოგრაფი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯანო ბაგრატიონი) დიდად უწყობს ხელს კონცერტის წარმატებას. რეჟენზენტის აზრით ქართული ქორეოგრაფიის დამახასიათებელი ნიშნები გვეყარად იყო ჩაქსოვილი ტიმპერამენტულად შესრულებულ მასობრივ და სოლო ცეკვებში — „საქორწილო“, „ფარიკაობა“, ოსურ მასობრივ ცეკვაში. მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვლადივასტოკის მაყურებელზე მოახდინა ცხინოსურ-სპორტულმა ცეკვამ „მარულა“, სატრადოლო-სახუმარო ცეკვამ „პაემანზე“. ყველა ეს ცეკვა, აუდიტორიის მოთხოვნით, განმეორებით შესრულდა. ბაქოს გაზეთი „კიჰეა“ 1957 წლის 3 მარტის ნომერში აღნიშნავდა, რომ „აუდიტორიის მთელი სიმათიები დამსახურა ანსამბლის საცეკვაო ჯგუფმა (ბალეტმისტერი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. ბაგრატიონი)“. საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლოების შესახებ კვიში პ. შანშატოვი წერდა: „საცეკვაო ჯგუფის მსახიობებმა შესძლეს ქართველი ხალხის თავისებური რიტმული ნახაზის მქონე ცეკვების წარმოსახვა. მაყურებლები დაიპყრო ქართულმა ცეკვამ, რომლებშიც ქალები დაჯილდოებულნი არიან განსაკუთრებული გრაციოზულობით, ხოლო მამაკა-

ცები — ცეცხლოვანი ტემპერამენტით (გადაბეჭდილია გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1958 წლის 13 ივლისის ნომერში).

აი რას წერდა ქალაქ გორის ადგილობრივი გაზეთი „პრავდა“ 1959 წლის 3 დეკემბერს ანსამბლის გასტროლოების შესახებ. „ანსამბლის ფართი და მრავალფეროვან პროგრამაში სათუთად ინახება ხალხური ქორეოგრაფიის თვითმყოფლობა. ცეკვების დამდგმელმა გამოჩენილმა ქორეოგრაფმა ჯანო ბაგრატიონმა გამოაშქვანა საცეკვაო ფოკლორის ჭეშმარიტად შემოქმედებითი ვაგება“.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მეორე დეკადაზე 1958 წლის გაზეთ „პრავდაში“ მოცემული იყო ჯანო ბაგრატიონის შემოქმედების ბრწყინვალე დახასიათება. „პროგრამის ყველა ცეკვის შეიძლება ვუწოდოთ ხალხური შემოქმედების მარგალიტი. ანსამბლის მოცეკვაელები კი არ ცეკვავენ „მუსიკასთან“, არამედ მუსიკა ცოცხლობს ყოველ მათ მოძრაობაში; ამას ისინი გამოხატავენ როგორც ნარჩნ ლირიკულ, ისე მწვეფარე და მღელვარე ცეკვებში და განსაკუთრებით მკაფიოდ, ტემპების ზრდის პროცესში. საცეკვაო ხელოვნების კულმინაციურ მწვერვალს (დადგმა ჯ. ბაგრატიონისა) წარმოადგენდა ოსური ცეკვა „სიმღა“. შეიძლება კიდევ უამრავი აღტაცებული ტონის რეცენზიის მოყვანა, რომლებშიც სათანადოდ არის შეფასებული საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფიული დადგმები და, მასწავლებელი, ჯანო ბაგრატიონის შემოქმედება.

თუ გადავფურცლავთ ჯანო ბაგრატიონის შემოქმედებითი ცხოვრების წიგნს, მის საუკეთესო ფურცლებს მივაკეთებთ ჯანოს პედაგოგიურ მოღვაწეობას. რამდენი გამოჩენილი მოცეკვავე გამოურჩიდა მას. მრავალი მოცეკვავის ნიჭის განვითარება და დახვეწა ჯანომ ცეკვის ანბანიდან დაიწყო. მანო ბაგრატიონის მოცეკვავის სახელია დაკავშირებული ჯანო ბაგრატიონთან. მათ შორის აღსანიშნავია მოცეკვაე ქალები — ნ. გუნია, ლ. თათიშვილი, ნ. ბაგრატიონი, ლ. კელაპატრიშვილი, ტ. ჩხაიძე, ლ. თარხანიშვილი, თ. ჯომართელი, ც. გელოვანი, ი. ქვათაძე, ნ. გელდაშვილი ნ. მუხრინიშვილი. მოცეკვავე მამაკაცები — ნ. დვებავიძე, ვ. გუნაშვილი, გ. კოჯორაშვილი, ლ. ბალიშვილი, გ. სვიმინიშვილი, ვ. ნინიძე, ზ. ქველიძე, და ბასილაშვილი, ზ. იაშვილი, რ. ბულია, გ. ბიბილური, შ. შვირილაძე, ან. შობედაძე, გ. ბედუკიძე. ამ აღზრდილებიდან დღესაც განაგრძობს ასისტენტობას ქორეოგრაფიულ ჯგუფში გივი კოჯორაშვილი! სიამაყის გრძობით შეიძლება ამ სიას მივუბნოთ ისეთი გამოჩენილი ქორეოგრაფების სახელები, როგორიცაა — დამდგმელი და პედაგოგი ს. ციმაკურიძე, ა. თათარაძე, გ. სალუქვაძე, რ. ჭიხონელიძე, გ. დარახვილიძე, კ. მანჯალაძე, მ. შუბაშუკელი, მ. რაქვიანიშვილი.

ყოველთვის მეოცნებე, მაძიებელი და შეუპოვარი — აი ასეთად წარმოუდგება ჯანო ყველა იმათ, ვინც მას იცნობს, მასთან მუშაობს.

ვუსურვოთ მას, ქართული საცეკვაო ხელოვნების ერთგულ მსახურს, ახალი წარმატებას, ხანგრძლივი შემოქმედებითი წვა.





ბ. ბერძენიშვილი

სვანეთის პეიზაჟი

კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავის გამო

მგზნებარე ტალანტის რეჟისორი-ნოვატორი

სერგეი იუტკევიჩი

ეს მოხდა 1919 წელს, როდესაც წითელმა არმიამ ის-ის იყო გაათავისუფლა კიევი გერმანულ ოკუპანტთან და გეტ-მან სკორპადის ხელისუფლებიდან.

ილიაში ამოჩრილი მქონდა ჩემი თეატრალური ესკიზებით გამოტენილი პორტფელი და სოლოვეკევის დრამატული თეატრისაკენ მიმავალ ვიწრო გზას ვადგე. ძალზე ველადე — სწორედ შუადღეს უნდა შევხვედროდი და გაცნობოდი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილს, რომელიც იმ-ხანად უკვე სახელმწიფო რეჟისორი იყო და, ვითარცა სახელმწიფო თეატრალური განყოფილების გამგე, მთელი უკრაინის თეატრალურ ცხოვრებას განაგებდა.

მარჯანიშვილი! ეს სახელი გუგუშორდებოდა მის ლევენდარულ სემქტაკლს — „პერ-ჟუენს“ — მოსკოვის სამხატვრო თეატრში, „თავისუფალი თეატრის“ ჩამოყალიბებას მოსკოვში და ოსკარ უაილდის ტრავედიების აღდგენის ცდას ტრიოციის თეატრის სცენაზე პეტროგრადში. მოკლედ, იგი გუთვნოდა რეჟისორ-ნოვატორთა იმ პლუადას, რომელიც მარად აღაგზნებს იმ ჭაბუკთა წარმოსახვას, რომელიც თავიანთი ხელის ხეულეებში ასევე ოცნებობენ ახალი თეატრის შექმნაზე.

ამ გაზაფხულის მშვენიერ დღეს, კიევის ქუჩაზე მიმავალი ჭაბუკის ცხოვრების მიღმა, არაფერი იყო გარდა ბლოკისა და მაიაკოვსკის პოეზიის მგზნებარე სიყვარულისა, სხვადასხვა მხატვრებთან ფერწერის შესწავლის რამდენიმე წლისა და იმ შემოქმედებითი „გადარევისა“, რომელიც გააბედინა მას თავისი მრავალრიცხოვანი ესკიზები, ბლოკის „ლირიკული დრამების“, მაიაკოვსკის „მისტერია-ბუფის“ თეატრალური აღდგმის პროექტები და დოსტოევსკის „იდიოტის“, ბლოკის „თორმეტისა“ ილუსტრაციები გულმოდგინედ შევეროვებინა, ჩაეწყო პორტფელში და დასდგმოდა მარჯანიშვილისაკენ მიმავალ გზას.

სახელგანთქმულ რეჟისორთან ამ ჭაბუკის შეხვედრის სიმძიმეს აღსტუქვებდა ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 1917 წელს ხარკოვში ჩამოყალიბებული იყო ე. წ. „მხატვრული ცეხი“, რომელიც რეჟისორ პ. ილინის ხელმძღვანელობით აერთიანებდა სტუდოიო თეატრს და სხვადასხვა სახელოსნოს. ერთ-ერთ სახელოსნოში მხატვარ ე. შტიგენბერგთან ფერწერას სწავლობდა ამ სტუდიონების ატორები.

პ. ილინი მოწინავე იდებოდა კაცი იყო. თავის ციკუნა თეატრში, მის მოწოდებებთან შემდგარი დასით (მათ შორის იყო უნიჭიერები დიმიტრი ორლოვი) ბრწყინვალედ დგამდა სერვანტესის ინტერმედიებს (მათგან სასუეთსო იყო „სალამან-

კის გამოქვაბული“) და რემიზოვის ნაკლებად ცნობილ პიესას „ტრაგედია იუდა პრინც ისკარიოტელზე“, ბლოკის მან გაბედა სისრულეში მოყვანა სტანისლავსკის განუზოციტელებული ოცნება ა. ბლოკის დრამის „ვარდის და ვერის“ სცენური ხორცშესხმის შესახებ. უკვე მაშინ, თეატრის მაგივით მოზიზ-ლული ჩვენი ჭაბუკი ყველა ამ სემქტაკლში ღებულობდა მონაწილეობას, ხან როგორც რეჟისორის თანაშემწე, ხან როგორც საყველ-პური საქმეების შემსრულებელი, ვინაიდან, აქ იგი იძულებულია აღიაროს, — მაშინ იგი მხოლოდ თითხმბეტი წლისა თუ იქნებოდა.

დღევანდელ მკითხველს დაე ნუ გააკვირვებს ამ სტრიქონების ატორის ის მიერ ასაკი, რთაც მან ფეხი შედგა ხელოვნებაში. არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი თაობის ხედე-რი იყო ასეთი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იყო წლები დიდი რევოლუციისა, წლები, როცა ახალგაზრდა საბჭოთა ხელი-სუფლებამ ფართოდ გაუღო კარი რევოლუციაში, ცხოვრებაში, ხელოვნებაში შეყვარებულ, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრ-დობას, — წლები, როცა ასე ბევრი იყო ძველი დაბნეული ინ-ტელიგენციის წარმომადგენელთა გაქცევის ან ახალ ხელი-სუფლებასთან თანამშრომლობის სურვილის არქონის შედეგად წარმოქმნილი თავისუფალი „ვაკანსიები“.

ჩვენი თაობისა და მისი მასწავლებლის მაიაკოვსკისათვის არ არსებობდა პრობლემა საბჭოთა ხელისუფლების „იქნობა, არ იქნობისა“. ეს ხელისუფლება იყო ჩვენი, თუმც ბევრი ჩვენ-თავანი წარმომბოთა და აღზრდით წერილობრუჯაუხული ინ-ტელიგენციის ოჯახებს ეკუთვნოდა.

მოვლენათა ბუნებრივი განვითარების შედეგად პ. ილინი კ. მარჯანიშვილის უახლოეს თანამოსაგრედ და თანაშემწედ იქცა. იგი სცვილია მას როგორც თეატრალური საზოგადოების საქმიანობაში, ასევე დევან-ტორცივის კერძო ანტრეპრისოს სა-ნაცვლელ ჩამოყალიბებული ერთადერთი რუსული თეატრის დასის ხელმძღვანელობაში. თვით ანტრეპრენიორი ფერ-ხორ-ცი თსახე, ვეება კაცი, თავისი ახალგაზრდა ქალიშვილით, რომელიც კარგ მსახიობად გახდომის იმედს იძუოდა, დასში დარჩა. ეს დასი შედგებოდა ისეთი დიდი და ძალზე პოპ-ულარული მსახიობებისაგან, როგორებიც იყვნენ ე. იურტენვა, ნ. სოსნინი, ნ. სვეტლოვიდოვი, მათ გვერდით კი თამამად იდ-ვა ახალგაზრდობა, რომელიც შედგა კ. მარჯანიშვილი მთელ თავის იმედებს ამყარებდა.

მარჯანიშვილს მგზნებარედ უყვარდა ახალგაზრდობა და იგიც, თავის მხრივ საბავიეროს მიუხედავად მას. ეს არ ნიშნავ-და იმას თითქმის მარჯანიშვილი ახალგაზრდობას ოსტატათა

უფროს თაობას უპირისპირებდა. არა, იგი ცდილობდა მათ შეერთებას, მაგრამ მისი რწმენა ახალგაზრდობის შემოქმედებითი შესაძლებლობების მიმართ თითქმის თანატოლს ესაზღვრებოდა. მისი ნდობა უნაპირო იყო. ეს ჩვენ საკუთარ თავზე გამოვიტყა. აი, რატომ არ იყო არაფერი საკვირველი იმაში, რომ მე, გაზაფხულის იმ დღეს, სახელგანთქმულ ოსტატთან შესახვედრად მივიშურებოდი. საკმარისი იყო პ. ილინს ერთსულ იქნება, რომ ქალაქში ცხოვრობს ახალგაზრდა მსატყვარი, რომ მარჯანიშვილს მამინეფ ეთხოვა: „მოიყვანეთ იგი ჩემთან“.

მე შევედი მზის სხივებით გაკაშკაშებულ თეატრის დიდ ფოიეში. ეტყობა, ის-ის იყო დამთავრდა გრძელ მაგიდასთან მიმდინარე რეპეტიციები, ფოიეს კუბურებში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ადრელებული, რაღაც განსაკუთრებული, მხოლოდ შემეფიქვთებისაგან მოგვრილი სისარბოებით სსხეგაწყწიხებული, თვალაბრეულ ახალგაზრდა მსახიობები. მაგიდის ბოლოში კი იჯდა სასეებით გაჭაღარავებული კაცი, რომლის შავი, ცნობისწავლითი ალსავსე, მაგნიტური თვალებით ისეთ შუქს აფრქვევდა, რომ მე, უნებლიეთ შევკრიბე და გავჩერდი. ჩემი უხერხულუნა იმიამაც გაძლიერდა, რომ ამ ჭაღარა კაცის წინ მაგიდაზე უკვე წყუო ვიღაცის ფერადი ესკიზები და მის მახლობლად კი იჯდა ჩემი კბილა ჭაბუკი, თითქმის ჩემი ორეული, სწორედ ისეთი პორტფოლით ხელში, როგორც მე მეჭირა.

— აი, კიდევ ერთიც მოვიდა — წამოიძახა ილინმა, ერთ-ერთმა ნაწილმა კაცმა დარბაზში. — ნუ მოხმობ — მითხრა მას, ხელი წამოვიდა და მაგიდასთან მიმოვიყვანა.

— ძალიან კარგი — სთქვა ჭაღარა კაცმა — მამუ ახლა ორი ჭაბუკი იქნება ჩვენთან. გაიცანით — ეს გრიშო კოხინცივაია — ახალგაზრდა მსატყვარი.

ჩვენ ერთმანეთს უხერხულად ჩამოვართეთ მღელვარებისაგან გაოფლილი ხელები, ამასობაში ილინმა გამომართვა პორტფოლი და მაგიდაზე გადმოაპირქვევა. ესკიზებიც კი ჩემი ახალი ნაწილობის ნამუშევრებს მიაგავდა. მარჯანიშვილმა ისინი საითითად, კმაყოფილებით მოჭუტული თვალებით დაათვალიერა და ზოგიერთი მათგანი განზე გადასდო. დაუფარავი საიმომუნებით ურევდა იგი ხელს ამ ჭაბუკური, კადნიერი ჩანაფიქრების ჭრელ გროვას.

— ჩინებულია — სთქვა მან და წამოადგა. — მე თქვენ ორივეს დაგვაუბნებ ჩემი ახალი სპექტაკლის გამოქმენას. გამოიკეთეთ დეკორაციები და კოსტუმები ოპერეტასთვის „წითელი მუც“ (იგივე „მასკოტა“). თუ ესმენიათ რაიმე მის გარშემო! მე დიდი ხანია ვცდილობ მის დადგმაზე. შესანიშნავი რამაა, ხოლო ნატალია ტამარას ასევე დიდი ხანია სწავდია მასკოტას როლის თამაში.

შემდეგ პირდაპირ მოვემართა — აბა, თანახმა ხართ თუ არა?

საოცარი იყო, რომ იგი გვესაუბრებოდა ყოველგვარი გულმონყავლების გარეშე, საესვებით სერიოზულად, ისე, თითქოს მისი ტოლები გყოფილიყავით და მსატყვარაშიც სახელობებეჭილინი. მას, როგორც ჩანდა, მოეწონა ჩვენი ნამუშევრები და ამიტომ მისთვის უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ჩვენ, ორივენი ერთად, ოცდაათი წლისაც ძლივს თუ ვიქნებოდით. როგორც შემდეგ დავრწმუნდი, იგი ამგვარად

ელაპარაკებოდა სხვებსაც. თუ ვინმეს ატყობდა ნიჭის რაიმე ელმანს, მისთვის მერე სულერთი იყო ასაკი და მუშაობის სტაფი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ყოველი მასთან მოსულის სიტაბუკე სიფიქსეს მატებდა მას, უღვიძებდა ახალ, განსაკუთრებულ მიდრეკილებებს, უსლებდა მასას ყველი ახალი, თამაში, უკვლი გზებისადმი. მას თითქოს განსაკუთრებულ სიამოვნებას ეპყობდა თავისებურად გაერისკა და ხშირად მოულტინულად წამოყვევებინა ახალგაზრდა მსახიობთა კანდიდატურები ამა თუ იმ როლებზე, ახალგაზრდა მსატყვარებია — ამა თუ იმ დადგმებზე, რომელიმე პიესის ახალგაზრდა ავტორები.

— თეატრის კარები თქვენთვის ყოველთვის ღიაა. მობრძანდით, როცა გენებოთ. გვიყურეთ როგორ ემუშავებთ თქვენ და ხანდახან იქნებ მოვეგმვართო კიდევ.

შემდეგ გულბოლად და მოალერსედ გაიღიმა, რაღაც თან ენისი, წმინდა, მარჯანიშვილისეული“ კეთილი, ემშაკური შემოხედვა შემოგვაგება და უცებ სწრაფად (როგორც საერთოდ სჩვეოდა მას) გავვიცალა, სადაც თეატრის მაცურებელთა დარბაზის სიბრეშეში შეიჭრა მორიგი რეპეტიციის ჩასატარებლად და ჩვენ ორნი, ორი ბიჭი, ერთმანეთის პირისპირ დაგეტკვა ამ უკაცრიელ, ვეება ფოიეში, სადაც ერთი ჯალსნური წუთის გავლენით შესანიშნავი რეჟისორის მოწოდებლად და თვით (პოი, საოტრებაჟ!) მისი მომავალი დადგმის მსატყვარებადაც კი ვიქცით.

ჩვენ ჩამოვსვენით რაფაზე, არტისტული შესასვლელის კიბეებზე, მოვარდნილი სისარბულსაგან აღტაცებულნი ერთმანეთს არ ვაღლიდით ლაპარაკს (როგორც ეს პატარა ბიჭებს სჩვეოდა), სწრაფად მივადრეთ შემოქმედებითი პრინციპების თანხამიერებას და დამეგობრდით ისე, როგორც ეს მხოლოდ ჭაბუკობის ბედნიერ ხანაშია შესაძლებელი.

თეატრში მუშაობის პირობები ჩვენთვის მით უფრო კარგი შეიქნა, რომ თავისი პირველი დადგმის ოლაზე დე კვას „უსუნტეფ ოფუსუნას“ („ესენის წყაროს“) მსატყვარი მოვარდნილმა მარჯანიშვილმა ასევე ახალგაზრდა მსატყვარი ისაკა რაბინოვიჩი არაჩინა.

ეს მაღალი, ჩამოსხმული, შავთმიანი, ბიბლიური სილამაზით გამორჩეული ახალგაზრდა მსატყვარი, რომელსაც კვივის სამსატყვარო სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა, ჩვენზე შეიდი წლით უფროსი იყო და თუმცა ევრონოვის ერთაქტიანი პიესების შემთხვევით დადგმებში მონაწილეობდა, მაინც უკვე უნარადლება იქცევდა თავისი რამდენიმე თვალსაჩინო და თამაში დეკორატული ძიებით.

მარჯანიშვილმა თავისი შემუშვდარი გუმანის კარნახით, რომლითაც იგი საერთოდ ახალგაზრდობის მიმართ მოქმედებდა, აღმოაჩინა რაბინოვიჩის ტალანტი და დიდი ექსანელი დრამატულის ტრაგედიის გაფორმება მიანდო მას.

თუმცა მიანცდამაინც არ გვახასიათებდა ვისიმეს ავტორიტეტის წინ ქედმოდრევა, ჩემთვის და კოხინცივისთვის რაბინოვიჩი იქცა უფროს ამხანაგად, მასწავლებლადაც კი. ნიჭიერება ამ მსატყვარისა, რომელსაც დიდი ადამიანური და შემოქმედებითი მომხიბველობა ახასიათებდა, ძალზე ახლობელი იყო ჩვენთვის.

ჩვენ ხალსით დავდიოდით თეატრში, ვინაიდან არა მხო-

ლო ყოველდღიურად ვესწრებოდი მარჯანიშვილის ყველა რეპეტიციას, არამედ საკუთარი საქმეც გავიჩინეთ იქ. ვუმარებოდით რაბინოვის ღვთაობის დამაზღაბში, საქუსრების ხატვის საიდუმლოებს ვწვდებოდით, ვაფხვანთ კოსტუმებისათვის საჭირო ქსოვილებს, ერთი სიტყვით, თხემამდე ჩავიყურებოდა ვითარებული კულისების ჯადოსნურ და გადარეულ მსაყაროში.

ჩვეს თვალწინ იმდებოდა საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი საკეთესო სპექტაკლი, და როცა ასე ახლოდან ვუთვალთვალედი ამ შემოქმედებით პროცესს, მე პირველად მივხვდი, თუ რა არის ტექნიკური თეატრალური რეჟისურა.

თავისი ბუნებით მარჯანიშვილი არ იყო „კაბინეტური“ ტიპის რეჟისორი. ჩვენ მისგან არასოდეს არა გვემინა გრძელგრძელი თეორიული ტირადები. მის შემოქმედებაში ბევრი რამ მოვლენილი იყო გულუხვი და მძაბრი იმპროვიზაციის წიაღიდან. იგი იწყოდა რეპეტიციებზე, არასოდეს ურჩავდა არ იჯდა საბჭოთაო მაგიდასთან და მუდამ სცენასა და პარტერს შორის დასჭირდა. იგი სპექტაკლებს „თვალდათვალი“ ქმნიდა, იქვე, უცებ გაოცებული და გაოგნებული მოსწავლეების თვალწინ. როგორც ეტყობოდა, იგი ძალზე ენდობოდა თავის რეჟისორულ ინტუიციას და თავისი არტისტული ტემპერამენტის თვისებებს. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას დაეცვა რეჟისორული შემოქმედების ძირითადი კანონი, — რომელიც გულისხმობს საერთო დადგმის განმსაზღვრელი ჩანაფიქრის, სპექტაკლის წინასწარი რეჟისორული ხილვის, იმ საბოლოო მიზნის არსებობას, რომლისკენაც იგი მიიღობოდა შექმნის ამ პროცესში. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ მარჯანიშვილი რეპეტიციებზე მოუშადადებელი მოდიოდა, რომ მისი იმპროვიზაციების ნაკადი ყოველთვის არბის გარეშე მოედინებოდა. იგი შეიძლება შემცდარიყო თავისი ჩანაფიქრში, მაგრამ თუ შინაგანად იწამებდა მას, მაშინ იგი თანამიმდევარი და მტკიცე იყო მის რეალიზაციაში.

ასე დაიბადა „ფუნტეც ოუენხას“ უჩვეულო და საინტერესო გადაწყვეტის შემცველი რაბინოვის შესანიშნავი მაკეტი. მე, ახლა, არ ძალმიძს იმის თქმა თუ სახელდობრ ვის ეკუთვნის ამ მაკეტის იდეა. ვვარძებ, ეს მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არცაა. მე ვიყავი კოტე მარჯანიშვილისა და ისაკა რაბინოვის ერთობლივი მოუპობის მოწვეუ სამი სპექტაკლის დადგმაზე და დაერწმუნდი, რომ მათი თანამშრომლობა უაღრესად ორგანული იყო. ისინი ურთიერთს კარგად ავსებდნენ, უთქვამდაც ესმოდან ერთმანეთისა და მე ვფიქრობ, რომ ის მაკეტი უპრობოქმნა საერთო შემოქმედებითი აზრების ნიადაგზე. აქ რეჟისორი განუყოფელი მხატვრისაგან.

კ. მარჯანიშვილი არ იყო უფარდი თეატრის მომხრე. იგი არ ცდილობდა რამის მოსაპაბს, არ მიიხტობდა გარეგნული სცენური ჰიასლისაკენ, რაც მავალიდაც, მაშინ თავის გამოხატულებას მყურებელთა დარბაზთან და მსახიობთა გამოსვლაში პაპოვებდა. სცენური ილუზიონერობა მას თეატრალური გამოხატულების ერთ-ერთ ხერხად მიაჩნდა და მთელ თავის ყურადღებას თვით სცენური მოედნის და მისი სივრცის გადაწყვეტისაკენ წარმართავდა.

მაკეტი მთლიანად ესპანური სოფლის საერთო სახეს წარმოგვიდგინა, მაგრამ იგი გამოხატული იყო არა ნატურალისტურად,

არამედ განზოგადებული ფორმებით. წინა პლანზე თითქოს მზის ფუნჯით დახატული დაიდი, არქიტექტურულად ლაკონური ყვითელ-მწვანული ფერის კომპეები აღმართულიყო, სიღრმეში მოჩანდა ასევე განზოგადებული ფორმებში მინიშნებული მთა მწკვერ ნახევარწრები და სოფლის სახლების შავი კვადრატები.

სახალსო პლანზედაც თითქოს მთორე სცენის ხარობა წარმოადგენდა. მარჯანეა კულისიდან სცენის მთელ სიღრმეზე გადასროლილი იყო ხიღური, რომელსაც ორივე მხარეს მისდევდა, მთორე დიდი ფარდი დაფარული, ქინკურთა ნახევარწრები, ეს ფარდა, სოფლის მცხუნვარე ყვითელ-მწვანული კოლორატის საპირისპიროდ, შესრულებული იყო ცივ მოლურჯო-მოთავა-მოფერცხლისფრო გამბაში. ამ მთორე სცენაზე მარჯანიშვილი გადაიტანა სახალსო კარის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, რომლებსაც, როგორც ცნობილია, ლოზე დე ვეგა მხარად სცვლიდა სახალსო სცენებით. რეჟისორის ჩანაფიქრის მიხედვით სამეფო სახალსო და სოფელ ფუნტეც ოუენხასს მთლიან შორის არსებული კონფლიქტი ფერების მექანიზმითაც უნდა ყოფილიყო ხაზგასმული.

ამას გარდა, „ამა ქვეყნის ძლიერია“ ყველა სცენა მარჯანიშვილმა მართონეტულ პლანში წამოადგინა. დიდებულია წარმომსახველი მსახიობები მომწყვდეული იყვნენ პირობითი სტილიზებული თამაშის ჩარჩოებში, რომელსაც უპირისპირდებოდა სისხლსავსედ, ტემპერამენტურ, რეალისტურად წარმოდგენილი სოფლის გლეხობა, სცენის მარჯანეა მხარეს რომ ბობოქრობდა. როცა ფარდა იხსნებოდა, სცენის მარჯანეა მხარეს წარმოქმნებოდა ცერემონიალისა და ეტიკეტის, მღალა წრის პირობითი მანერების სალტებში ჩაქუდილი სისზარეული, ცრუ, მოგუნებითი, ფარისევლური საყარო.

ცივი განსჯით, თეორიულად, თითქოსდა, შესაძლებელია ამ ხერხის პირინადმდე გაღაშქრება, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ სპექტაკლში იგი არ აღიქმებოდა ვითარც გამოგონილი თეატრალური „ატრაქციონი“ და თვით ეფილისმბილევულ მყურებელთა შორისაც არ აღძრავდა უკუის ნატამალსაც კი. თავისი ტრანატისა და ინტუიციის ძალით მარჯანიშვილმა სწორად იპოვა ის ზღვარი, გროტესკულობის ის ტონი, რომელიც აუცილებელი იყო მისი იდეური ჩანაფიქრის ზუსტი გამოხატვისათვის.

მთორე სცენის აღმართვით მარჯანიშვილი თითქოს აგრძელებდა შექმნარის თეატრის „გლობუსის“ არქიტექტურულ ტრადიციებს და თან ამის მიუხეობით არასად არ სწყვეტდა სცენურ მოქმედებას, რაც ასე აუცილებელია ლოზე დე ვეგას ტრადიციისთვის.

ყველა თაობის მსახიობი იყო სპექტაკლში დაკავებული. ლაურენსის როლი მარჯანიშვილმა მოულოდნელად მისცა იუზენებს, რომელიც უკვე მაშინ ერთობ პოპულარული მსახიობი იყო და დაოსტაკებული „კამბი“—დიაცის მაცდუნებელი, ისტერიული, ალმოდებული, ქალბების, ლიონიდ ანდრევის („კატერინა ივანოვნა“) და ვინჩინკოს („შავი ავასა“) პიესათა გმირების მსგავსი პერსონაჟების გამოსახვაში. მარჯანიშვილმა ირწუნეს იუზენებს უტყუარი ტლანტი, და, როგორც ჩანდა, სახალსო გმირის, გლეხი ქალის როლის მიცემით სურდა დაემსტერა მისი ტრადიციული ამბულა. ლაურენსისა

როლზე მუშაობა მსახიობისათვის მეორე შემოქმედებით დაბადება იქცა. მან ჩინებულად ითამაშა ამ სპექტაკლში. მსახიობი ქალისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული, ოდნავ განზიდული მანერა მეტყველებისა, მოძრაობის ხასიათი მისი პოსტირება, (ვითომდე მის თანამედროვეთა „მარადი ქალურობის“ გადმოსაცემად მიხმობილი) ერთის სიტყვით, ყველაფერი, ის, რაც, ზოგჯერ პრეტენზიული იყო და ძნელად მისათმენი დეკადენტურ დრამებში, ახლა შესანიშნავად მთავრობ შრომითა და მზის მცხუნვარებით განაწამები ესპანელი გლეხი ქალის თავისებურ და სასებით რეალისტურად მოხაზულ როლს, რთმელიც მკვეთრად გადაიღოდა მხიარული აფეთქებიდან ტრაგიკულ თავდავიწყებამდე.

ურთვევას, სეტილუდოებისა და სოსნინის ევოლუციონით სპექტაკლში თეატრის მეთლი ახალგაზრდობა იყო დაკავებული. მარჯანიშვილი ზოგს როლები მისცა, მეორენი სასალბო სცენებში გამოიყვანა, ვინაიდან, მისი ჩანაფიქრით, არა მხოლოდ პიესის მთავარი პერსონაჟები, არამედ სოფელ ფუნტე ვიხრუანს ყოველი მოსახლე უნდა ქვეყლიყო სპექტაკლის გმირად. აქ მარჯანიშვილს, ცხადია, გამოადგა მოსკოვის სამხატვრო თეატრში მიღებული გამოცდილება. მან შემოქმედებითი ფუნქცია გაუღვიძრა ყველას, უსიტკვეთ როლების შემსრულებელ მსახიობებსაც კი, ყოველ პერსონაჟს შეუქმნა საკუთარი მიორგავია, შეინარჩუნა თვითეული მათგანის ინდივიდუალური სახე და ჩამოქნა ისინი ერთიანი მიჯანსცენის ნახატსა და რიტმში.

საერთოდ, რიტმსა და ტემპს კოტე მარჯანიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. შესალოა სწორედ აქ იჩინა თავი მისი ტალღატის ნაციონალურმა თავისებურებებმა.

მე არასოდეს არ მიმუშავია ვახტანგოვთან, მაგრამ მინახავს ყველა მისი დადგმა. მათი ცინეზალი სახით – გენერალურ რეჟეტიციონებზე თუ პრემიერებზე, მის მრავალ მოწაფეს ვემეგობრობდი და როგორც ვთავი ნათქვამიდან, ასევე საკუთარი შეგრძნებით ვიცი, რომ მიუხედავად განსხვავებისა იგი რაღაცით ენათესავებოდა კოტე მარჯანიშვილს. თუმცე თავის შემოქმედებით მისწრაფებებში ვახტანგოვი უპირატესად ფილოსოფიური განზოგადებისაკენ იხრებოდა, მაგრამ როგორც მარჯანიშვილი, ასევე იგიც; ალბათ იმიტომ, რომ ერთი საქართველოა, ხოლო მეორე სომხეთის შეილი იყო, თავიანთი ტალღატის წყობით იმპულსური, მოტორული, ტემპერამენტისა და ამდენიველიც იყვნენ. აზროვნების რაციონალურ, რამდენადმე აბსტირაქტურ მიდრეკილებას, რაც მიერიზობდასა და თაირის სუსტიანობათა, მარჯანიშვილი და ვახტანგოვი უპირისპირებდნენ ბობოქარ, ინტიტურ დამოიდებულებას თავიანთი თეატრალური სიმალდის „ეკიპაჟის“ მიმართ. მასთან თანაშემოქმედებაში ქმნიდნენ ისინი ზოგჯერ დაბერძნულ, ზოგჯერ არალოგიურ სპექტაკლებსაც კი, მაგრამ ყოველივის მომხიბლავსა და მოუვიერებელი ძალის დადგმებს, რომლებიც გატყუებდით არა იმდენად ჩანაფიქრის ლოგიკის ძალით, რამდენადც გულწრფილი და წმინდა ტალღატის აუციენელი გავლენით.

მათ ორივეს ახასიათებდათ მოტოლა ტრაგიკულია და სასაცილოს კონტრასტებისაკენ. ამიტომ ჰპოვებდა ალბათ ვახტანგოვი განსაკუთრებულ სიხარულს, როცა ერთდროულად მუშაობდა „გაღობუქსა“ და „პირინესა ტურანდოტზე“, ხო-

ლო მარჯანიშვილი — „სალომესა“ და „ოთხ არმიყზე“. იოივეს მათ ახასიათებდათ თეატრალური სტილის „სამხრეთული“ ნიშნები, რიტმის კონტრასტები, ფრთა ელვავება, სანცენლოდ აკავარებული ფუნჯის ნატივი ხაზისა დეკორატიული ფერწერის მსუვე მონასმები, დრამატულ მოქმედებაში ორგანულად ჩაქნული მუსიკისა და ცეკვის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული. რა არამეცნიერულად არ უნდა გამოიყვანო ბოდნენ ეს მიხედვით, მარჯანიშვილი და ვახტანგოვი იქნენ ჭაბუკურ მესხიერებაში მაინც დარჩნენ როგორც სამხრეთის მზითი გამსჭვალული შემოქმედნი.

კოტე მარჯანიშვილი სკულპტორივით ძერწავდა მიჯანსცენებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სტატიურობა უყვარდა, პირიქით, იგი თავს არასოდეს არ აძლევდა ნებას რეჟისორული ნატაკლის სინატტივით ეცეკვუნა. როცა მთელს ჯგუფს გამოაქანდაცებდა, პაუზში მას გააჩერებდა სწორედ იმდენ ხანს, რამდენსაც სცენური მოქმედების აზრი და რიტმი მოითხოვდა, შემდეგ მალევე თითვე შლიდა მას, სცვლიდა, ურევდა, კეცვდა, როგორც თიხის მოქანდაკე და შემდეგ კვლავ ჰკრებდა მას და ცოცხალი ადამიანური მასალის ამ დამუშავებაში ამოუწურავ გამომონებლობას ავლენდა. მისი მიჯანსცენები ერთდროულად ქმედითიც იყო და პლასტიურად გამომხატველიც.

მიჯანსცენების მარჯანიშვილისეული მეთოდი პრინციპულად განსხვავდებოდა კამერული თეატრის მეთოდისაგან, სადაც თქვენ ყოველივის იგრძნობდით ფორმის წინასწარგანსაზღვრულობას, სადაც მოქმედი პირის ხასიათი ხშირად პოზირებით იცვლებოდა და მიჯანსცენების წარმორჩეული ნახატი ზოგჯერ არ ემთხვეოდა დრამატულ მოქმედებას და აგეტორის სტილისტიკას. ვ. ურენევას ჩანაწერებში საუკეთესოდაა აღწერილი მარჯანიშვილის სპექტაკული და მაყურებელთა შობამუხედობა.

ლომე და გვიკას მიხედვით, გლეხებს საჩუქარი ურმებით მოაქვთ. ძღვენის გადაცემა მარჯანიშვილმა გონებაშახილურად და ერთბაშე ცოცხლად დადგა. გლეხები წრუილად იდგნენ, ხელით ამობრავდნენ ბაწრს, რომელზედაც თანაბარი ინტერვალებით იყო ჩამოკოწალებული ლორი და საარაკო სიდიდის ზოგა თუ სასამთრო. თვალისმიმჭრელად თეთრ ბატებს მკრა ნისკარტები მოსთვრებდა ძირს. ყურძნის აკიდობებს, ვარდისფერ გოშებს ვერცხლიყვანდა მზხინავი თევზები და წითელი ვაშლები სცვლიდნენ. მუსიკის თანხლებით მოძრაობდა სანჯაზე ეს გულუხვი ძღვენი, რომელიც თავისი რაოდენობითა და ზებუნებრივი ფორმების სილამაზით მაყურებელს აოცებდა და მასში სიცილის ეულკანებს წარმოქმნიდა.

აქ კი მთელი ბრწყინვალეობით გამოჩნდნენ სოლოცევის თეატრის ბუტეფორიები.

სპექტაკლის ყველაზე ძლიერი მომენტი იყო გამარჯვებულ გლეხთა საზეიმო ცეკვა. არაჩვეულებრივად კარგად დადგა აგრეთვე მარჯანიშვილმა კომანდორის მოკვლის წინარე სცენა. უსასრულო პაუზად გვეყვენებოდა ჩამოგარდნილი მღერმარება. სირუმეს ხანდისხან თუ გააწარვად კენესა და მუდარება. დამნაშავენი გარბიან, თავს შევილიან, ვიროხებივნი აწყედვიან აქეთ-იქით. შურისმგებელნი მათ კუთხებში იმყუდრვენ და ბორტმოქმედნი სამართლიან დარტყმებსა და დამსაზურებულ სიკვდილს ჰპოვებენ.

მტრები დახრილია, მოზიემე ლაურენსია ჰყვირის: „ადარ არიან ტირანები“, ისერის მახვილს (იგი ისე იყო გაკეთებული, რომ ადვილად იმსხვრებდა შუაზე) და სხვათადაც აღსაყვებელ ხალხს ცეკვავს, თითქმის ელექტრონული ნაბრწყალი გადაის-როლებს მაყურებელთა დარბაზში. ყველანი ფეხზე დგები-ნენ. ხალხი ყვიროდა, ფეხებს აბრახუნებდა, ჩვენთან ერთად ზეიმობდა. ეს დღელი მომენტი ჩვენ ორმოცჯერ განვიცადეთ! სპექტაკლი ყოველდღე მერადგობდა, — ორმოცი საღამოს გან-მავლობაში ზედიზედ გამოვიდიოდით წითელარმიელთა წი-ნაშუ.

... ერთმა კრიტიკოსმა პროფესიული გულაზიზობით და დაწუნებით უთხრა მარჯანიშვილს: „უკანასკნელი სცენა ნა-კლებ მხატვრულია. — ამ სცენაში კი მიუღი მოქმედი პირნი რამისისაქენ მოქმედებენ მხიარული ყვირით: „გაუბარებს ფუნქციონირებს“ დარბაზში ინთფორმა სინალოდ და რაც უფრო უახლოვდებიან მსახიობები რამბას, მით უფრო მ-ტვრულდება სინალოდ. მარჯანიშვილმა დააგალო კრიტიკოსს დაუხრებლენია თავისი სათქმელი და შემდეგ შთაბრძნობით უთხრა: „მე მიხდა, რომ მას შემდეგ, როცა მსახიობები რამ-ბიკენ დაიძვრებინ, მაყურებლები დაიძვრნ ფრონტისაკენ!“

მარჯანიშვილის ეს განზრახვა ახდა. ყოველთვის, როცა დარბაზს ანათებდნენ, ჩვენ წინ ასეთი სურათი იშლებოდა: წითელარმიელთა ფარავების რუხი ზღვა, თავდაპირველ ჯარისკაცთა გაბრწყინებული, მშთი გარკვეული სახეები. თუ-ატრს პირველად ავსებდა არა შემთხვევითი, არამედ ორგანი-ზებული მაყურებელი.

თეატრალური შთაბეჭდილებისაგან წაურყვევლი ახალი მაყურებელი ხარბად შესქეპროდა სცენას და პიესის ამბებსა და განცდებს გულწრფელად ერწყმოდა.

...ყოველი სპექტაკლის შემდეგ კვივის ღამულ ქუჩებს აზნაურებდა „ინტერნაციონალი“, — რომელსაც თეატრიდან გამოსული მაყურებელი მღეროდა.

„ცხერის წყარო“ პოლიტიკურ მოვლენად იქცა. ხელოვნება მოქმედებდა ცხოვრებაზე, ჭაბუკური თავისუფლებისათვის ბრძოლისაქენ მოუწოდებდა.“

თავისი მეორე დადგმისათვის კ. მარჯანიშვილმა ოსკარ უაილის ტრაგედია „სალომე“ აირჩია. ამ პიესას იგი მეო-რედ დაგმავდა. პირველი რედაქცია მან განახორციელა 1917 წელს ტრიტიკოს თეატრის სცენაზე ლენინგრადში. პიესის არჩევანი აჰყარდა მარცხინი იყო. იგი აბსოლუტურად უცხო აღმოჩნდა იმ ახალი აუდიტორიისათვის, რომელიც ასე აღტა-ცებული შეგებება ლოკე დე ვეგას პიესის რეკლუციურ პათოსს და მერე რეჟისორის ვერჯითარმა სიმარჯვემ ვერ აქცია იგი ციხეში და საჭირო დადგმად.

სპექტაკლის მხატვარი კვლავ ისააკ რაბინოვიჩი იყო. რეჟისორთან ერთად მან ააგო გიგანტური კიბე, რომელიც რამბიდან იწყებდა, სცენის სირამებისაქენ მიგრამებოდა და თითქმის უკან კედლებ ეფხინებოდა. მუქ, თითქმის შავ ტონებში შეღებილ კიბეს, რომელიც ხან შივარის, ხან ლურჯი სინათლი ნათდებოდა, ალაგ-ალაგ სწყვეტდა მცირე მოედ-ნები. გვერდებზე ყვიდა სტილიზებული ეკობარისაქენ პეი-კონსუები, რომლებიც აქ ა. ექსტრის დეკორაციების და ი. ანესსიის „ფამირ კივარდის“ (კამერული თეატრი) აშ-

კარა გავლენით გაჩნდნენ. სალომეას როლი კ. მარჯანიშვილმა მიანდო სავსებით ახალგაზრდა მსახიობს, სტუდიელ გოგონას, რომელსაც საინტერესო სცენური მოსაყვებები ჰქონდა, მაგრამ ჯერ გაუბედავი და გამოუცდელი იყო.

სპექტაკლს წარმატება არ რგებდა და ორი თუ სამი წარ-მოდგენის შემდეგ მოიხსნა.

ამავე დროს კ. მარჯანიშვილი კ. მიკლაშვიცის ბუფონადა „...ის არმიეზე“ მუშაობდა. იტალიური კომედია დელარატეს მკოდნემ, პროფესიით მსახიობმა კ. მიკლაშვიცემ ეს ბუფო-ნადა შეიხსნა. იტალიური ხალხური კომედიის ტრადიციებზე დაყრდნობით, მაგარამ, სამწუხაროდ, მას რესტავრაციული მიზნები უფრო აინტერესებდა. ტრადიციული არლოვანდის კანონიკური შენობა მან საჭირობოტო შენარსით ვერ ადაგეს და მივიღეთ სტილიზებული არარაობა.

რაბინოვიჩმა თავის მაკეტზე გაიმეორა ამგვარი სანახაო-ბისათვის დამხასიათებელი სიმეტრიული განლაგება ორი სახლისა, მაგრამ ავტორის საპირისპიროდ მან ძველი იტალი-ური გრაეიურის ყაიდაზე კი არ მოახდინა განცდების სტი-ლიზაცია, არამედ საპაზრო თეატრის სულიკვეთების შესაბა-მისად, თავისუფლად შეღება იგი და კუხიანი ხიდი გადა-ტყორცნა ამ ორ სახელ შორის.

ეს კონსტრუქცია აღმართული იყო ელვარე-ლურჯი ჰორი-ზონტის ფონზე. ერთი სიტყვით მან შექმნა ძალზე მოსა-ხერხებელი მოედანი და ხალისიანი სცენური ატმოსფერო.

კ. მარჯანიშვილმა და მსახიობებმა ყველა ღონე იხარეს ამ სტილიზებული არარაობის გასაცოცხლებლად. სცენაზე ბევრს ზოდნენ, კოტორალოზდნენ, იცინოდნენ და ასრულბე-დნენ ყველა ამ „ლაიკების“, რომელიც აუცილებელია იტალი-ური კომედიის მსახიობისათვის, მაგრამ მხიარულება რამბას ვერ სივლდებოდა და მაყურებელთა დარბაზი ცივად სდებდა.

მარჯანიშვილისათვის ეს სპექტაკლი შეიძლება ქვეულიყო იმად, რაც ვახტანგოვისათვის იყო „პრინციეს ტურანდოტი“. მაგრამ ავტორის მიმართ მცდარი პიეტეტის გამო ტექსტს არ შეხებია იგი, არ გაუთანამედროვეებია. სპექტაკლს აკლდა მეორე პლანი, ის ირონია, რითაც მესამე სტატუსში ვახტან-გოვი მოცვდა გვიცს პიესას.

მარჯანიშვილის მოთხვე დადგმასაც (ე. კამენსკის პიესა-პოემას „სიტყვა რაზინს“) არ რგებია წარმატება. მელიდი-ური ლექსებით საყუე პიესა თეატრალურად არასრულყოფილი იყო. ანარქიული, სტიქიური პოზიციებიდან იყო დასაფუტო რაზინის მსლბედილი, იდგურ-პოლიტიკური ჩანაფიქრი ერთბ ზერულე და საკამათო გახლდათ. რეჟისორი, ეტყობა, მოხიბლდა კამენსკის პოეტურმა ტემპერამენტმა. მას ეგონა, რომ ამ მასალაზე ხელმეორედ შექმნადა სახალხო ტრაგედია. და მართლაც მარჯანიშვილის მიერ შესანიშნავად დადგმული ზოგადი მასობრივი სცენა ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ მოლიანად სპექტაკლმა განიცადა მარცხი, როგორც დრამატული მასალის არასრულყოფის, ასევე იმ მცდარი იდეის გამოც, რაც საფუძვლად ედო რეჟისორის ჩანა-ფიქრს. მხატვრად კ. მარჯანიშვილმა მოიწვია მეორეხარის-ხოვანი დეკორატორი, რომელმაც შესთავაზა სპექტაკლი გაე-ფორმებინათ ძველი რუსული... ხატმწერების ყაიდაზე. ეს იყო აბსურდული აზრი. კამენსკის დინამიკური სიტყვა არაფ-

რით არ ეწყოზოდა ბიზანტიელი ხატმწერებისგან ნასესხებ სტილით ებუღ სტატკას. ამასთან, ყველაფერი ეს შესრულებული იყო ებული მანერით, იმ დროს პოპულარულ მხატვარ — „მირისკუნისიას“ სტელეცის დეკორაციების წაბაძით.

სპექტაკლი „სტენკა რაზინი“ ის იყო უნდა გამოეშვა მარჯანიშვილს, რომ ფრონტებზე მთელიდგენილად გარეულდა სამხედრო ვითარება. დენიკინელები და პეტლურელთა ბანაკები კვივს მოაწოდებდნენ. სპექტაკლების გამართვა შეუწყდა. მარჯანიშვილთან ერთად დასის დიდმა ნაწილმა ჩრდილოეთისაკენ წაიწია. „წითელი შვის“ დადგმა განხორციელებულ ოცნებად დარჩა. მაგრამ ახალგაზრდობისადმი მარჯანიშვილის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ ერთი ეპიზოდი უნდა აღეწერათ აქ.

მე და კოზინცევა ბევრი რამ ვისწავლეთ თეატრში ყოფნისას, მაგრამ თავისუფალი დრო მაინც ბევრი გექნოდა. ამასთან, ბუნებრივია, ჩვენ დასოვიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობისაკენ მივიწერავოდით. მარჯანიშვილის სპექტაკლებში შეძლებადგვარად ჩვენი მონაწილეობის პირობებურად ჩაბოძებული პატიარ მოთარე თეატრს. ჯერ აქ მხოლოდ თოჯინები გვყავდა. პირველი კდისათვის ჩვენ ავარჩიეთ „ზღაპარი მღვდელსზე და მის შინაჟამ ბაღდასზე“. ჩვენ თითონ დავამზადეთ პეტრუშკას ყაიდის საინტერესო თოჯინები, ხოლო თეჯირი მხიარული და ბრჭყაილა ნახატებით მივრთეთ. თეჯირის წინ იჯდომებოდა ამ სტიქიონების თეჯირი — „წამყვანის“ როლის შემსრულებელი, მის უკან ათრინებს ამობრავებდნენ კოზინცევი და ა. კაპლერი, მაშინ ჯერ ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც მომავალი კინოდრამატურგის პროფესიაზე სრულიადაც არ ფიქრობდა. მოხდა ისიც, რომ ჩვენ უცებ ვიპოვეთ ამ წარმოდგენების მაყურებელიც.

პოეტი ილია ერენბურგი (რომელიც მაშინ არც პროზას და არც პუბლიცისტიკას არ მისდებდა), რომლის ლექსებით ჩვენ ძალზე გატაცებულნი ვიყავით, იმხანად სახალხო განათლების კომისარიატში ბავშვთა მხატვრული აღზრდის განყოფილება განაგებდა. მისი საგზურებით ჩვენ მოვიარეთ მთელი კვივის საბავშვო სახლები და ბაღები. აღტაცებულნი, კმაყოფილი ბავშვების წინაშე ვაგმართეთ სპექტაკლები. სხვათაშორის, ერთხელ საპირველმისო ზვიმის დღეს ჩვენ გაბეგვეთ და პირდაპირ საბარგო ავტომობილის ძარიდან უწვევით თოჯინების სპექტაკლები მოვადანზე თავმოყრილ ხალხს.

წარმატებამ ფრთები შეგვასხა და ერთხელ მარჯანიშვილის კაბინეტში (სახალხო კომისარიატის თეატრალურ განყოფილებაში) ჩვენ წარვსდგით, როგორც ოფიციალური მისოვნელები. მღვლარებისგან გამოწვეული ენისბორძიკით გაავანდა მარჯანიშვილს (რომელიც როგორც ყოველთვის, დიდი ხალხით შემოგვეგვება) ჩვენი სანუკარის სურვილი საკუთარი ექსპერიმენტული თეატრის შექმნისა. მოკლე „მოსხენებით ბარათში“ საპიპეტარო გეგმა იყო წარმოდგენილი. მასში შედიოდა მიაკოფსკის ტრაგედია „კლადიმერ მიაკოფსკი“, ა. ბლოკის ლირიკული დრამა „ბალაგანჩიკი“ და აღმოსავლური ზღაპრის „ოლდინის ჯადოსნური ღამბარისი“ ინსცენირება. გეგმას თან ახლდა მომავალი დადგმათა ესკიზები. რა საოცრადაც არ უნდა გეჩვენოთ ეს, მარჯანიშვილმა დაუყოვნებლივ გასაც განაკარგუ-

ლება მოეცათ ჩვენთვის ერთი სარდაფი, სადაც ამახმე თეატრი-კაბარე „კოლხ ჯიმი“ მბრძანებლობდა, შემდეგ, ფონდთან გამოვეყო პირველი სპექტაკლისათვის საჭირო ოდენობის ტილო, საღებავი და ფანერები.

იმ დროის მიღის კარნახით დასავლურქმულ ჩვენმა თეატრმა „არლკინმა“ არსებობა ასაწყო ფაქტურად და იურიდიულად. ჩვენი დასი ალბათ მთელ მსოფლიოში ყველაზე მცირერიცხოვანი იყო. იგი მხოლოდ ხუთი კაცისაგან შედგებოდა, ჩვენ სამს დავავსებთ აქამდე სცენაზე გამოუსვლელი ახალგაზრდა პოეტი სოკოლოვი, და არა ნაკლებ ახალგაზრდა მოცეკვავე ქალი, ბრინისდავა ნიფინსკიასი (სახელგანთქმული მოცეკვაის და) საბალეტო სტუდიის მისწავლელ ელენა კრინსკიასი.

ნახევრად ბნელი სარდაფის ციქნა სცენაზე დავიწყეთ მაიაკოფსკის ტრაგედიის რეპეტიციები. ვინაიდან მცირენი ვიყავით, თითოეული ჩვენათგან იმა-სამი როლი შეგვხვდა. ჩვენ აღტაცებულნი, აზარტით ვკითხულობდით სულის სიღრმეშიდ შემხრავ მიაკოფსკის ეგზიანლურ სტრუქტურებს, მაგრამ, ცხადია, ამ უროულესი და თავისებური პიესის დადგმა ჩვენს ძალეებს აღემატებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იძულებული გავხდით მუწხარდ გველიარებინა ჩვენი მარცხი. მაგრამ ჩვენ თავზარს გვეცმდა, გვაცუნებდა არა იმდენად ჩვენს შემოქმედებით სურფელსა და ვეღამელობებს შორის არსებულ ნაპრალი, რამდენადაც იმის შეგნება, რომ სადღაც „ვუმტკუნეთ“ მარჯანიშვილს, ვერ გავუმართოვდი ნიღბა იმ დიდ.

მასშობს ერთი ვაგლან რეპეტიციის შემდეგ როგორ ჩამოესხედით მე და კოზინცევი საპირიგო ნათურით მკრთალად განათებულ პატარა სცენაზე, და თითქმის ავტორიდი ჩვენი უშწეობის, ოცნების სინამდვილეში გადაყვანის შეუძლებლობის გამო.

მაშინ ბნელი კუთხიდან გამოტყვრა კუხიანი მხატვარი, რომელიც ადრე „კოლხ ჯიმი“ მსახურობდა და ახლა იქვე, თეატრალური დარბაზის ვეგვრდით მდებარე საკანიით თოახნი ცხოვრობდა. იგი კეთილი კაცი იყო და გულმოწყალედ გვიდებოდა ჩვენს ფანტასტიკურ ზრახვებს. მან გვითხრა — „წადით მარჯისთან!“ ასე სიყვარულით ეძახობა ყველა კონსტანტინე მარჯანიშვილს). წადით მარჯისთან, იგი გიშველით თქვენი!

ვძლიეთ შიშსა და უხერხულობას, ცკვავ მიემართეთ მარჯანიშვილს, მან ყოველმხრივ გავგამხნევა, ბრძნელი რჩევა მოგვცა, არ მოგვადებოდით გვზომ როლუ ამოცანას. სულიერად აღმსდგარნი დაგებუნდით მისგან, კოზინცევა რამდენიმე დღეში შეთხზა სცენაზე ერთი უმარტივესი „მაგრამ საკავოდ კანდირი პიესისა, რომელიც „თხი კლოუნის ბალაგანური წარმოდგენის“ სახელით მონაწილა. პიესა დაწერილი იყო მძაფრი სტილით — მოედნის თეატრის ყაიდაზე და ამგვარად, აგრძელებდა პირველი თოჯინური სპექტაკლით დაწყებულ ხაზს.

აღვლიობივ ცირქში მაშინ საგასტროლოდ ჩამოსული იყვენწ შესანიშნავი უსახენი კლოუნები ფერნანდელი და ფრიკო, რომელთა „ანტრეპითი“ და პანტომიმებით ჩვენ გატაცებულნი ვიყავით, ვინაიდან ექვიმუბანელი აქტორული ოსტატობით ასრულებდნენ კლასიკური კლოუნადის ნორმებს. შემდგომ, როცა ჩაბლინის შემოქმედება შევისწავლედ და

ვეროპული ვარიეტების სცენაზე დაუჭერიდი სახელგანთქმული გროვისა და ძმები ფრატელინების ნამუშევრებს, ჩემს თავს დავედასტურე მათი შემოქმედების წყაროთა ერთი სათავეს არსებობა და თითქოს განვლილი დროის საზომი შევამოწმე ამ ესპანელი კლოუნების ჭეშმარიტი ნიჭიერება.

ამ კლოუნების ერთი უჩვეულო წინადადებით მივმართეთ — ვთხოვეთ ჩვენი წარმოდგენებისათვის თავისი გარდერობიდან მოეცათ დულუ-კოსტუმები. ესპანელებმა სიამოვნებით დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა, და თუ აქამდე მე და კონსენციე „თეთრი კლოუნების“ როლივ გამოვდიოდით, ახლა მიდრეული, ათასფრად აელვარებული ატლასის კოსტუმებში გამოვიტოვებთ.

კაპლერმა ხალასი კომიკური ნიჭიერებით შეასრულა „მწითური კომიკის“ როლი, მთელი თავისი ტრადიციული ატრიბუტებით — დაწყებული ყალბე შემდგარი წითელი თოხი და გათავებული ნესტოდან ცეცხლის ფრქვევით; სოკოლონი იყო პიეროს ტიპის ნაღვლიანი კომიკი, ხოლო კვივისნ-სკაია მკვირცხლად პანტომიმირებდა ვაშლებით მოვაჭრე ქალს, რომელიც იგივე ტრადიციული კოლუმბინა იყო, რომლის გამოც მხიარული და უჩვეულო ამბები სხდებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღეც. სპექტაკლს ვაბარებდით მარჯანიშვილს და ახლო მეგობრებს. ცხადია, ყველაფერი ეს ბავშვურად გულუბრყვილო და მოუწიფებელი იყო, მაგრამ, როგორც ჩანდა ჭაბუკურმა სიყისკასემ და თეატრის მაგივრი ჭეშმარიტად გატაცების მარცვლებმა ამ გაუბედავ ცდას თავისებური მომხიბვლელობა მიანიჭეს. მარჯანიშვილმა შეგვაქო ჩვენ და ამით თეატრმა სიცოცხლის უფლება მოიპოვა.

მაგრამ, ვაკლავს, ეს წარმოდგენა პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა. დაიწყო ის ამბები, რაც მე შემოთ ვახსენე, თეატრისათვის აღარვის სცხელდა.

თეორი ბანდები უკრაინის დედაქალაქს ემუქრებოდნენ. ამ დაუწეწყარი კივეური დღეებიდან განვლო წელიწად-ნახევარმა და მე კვლავ შევხვდი კ. მარჯანიშვილს ლენინგრადში. ამ დროს იგი ხელმძღვანელობდა კომიკური ოპერის თეატრს (ყოფილი „აპლასის“ თეატრის შენობაში) და ოპერეტებს დგამდა. ერთ-ერთი მათგანი — „გეიში“ მე ვნახე 1921 წლის ზაფხულში ყოფილი თეატრის „ბუფ“—ის ღია სცენაზე. რეჟისორული ოსტატობის, მუსიკალობისა და ხალასი მხიარულების თვალსაზრისით, ეს სრულიად გამონაკლისი სპექტაკლი იყო. თითქოს რის გაკეთება შეიძლებოდა იმ დროისათვის უკვე გაცვეთილი, არაფერი განსაკუთრებული ღირსებებით დაჯილდოვებული ოპერეტისაგან?! მაგრამ იგი იმდენად გარდაქ-

მნა მარჯანიშვილის ნიჭმა, რომ მე მას დღემდე ვიგონებ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და ნათელ თეატრალურ შთაბეჭდილებას. ამჯერად მარჯანიშვილმა სცენით არ შეიზღუდა თავი, მან მოქმედება გააანია მაყურებელთა დარბაზში, ბენუარის ოლეების ადგილზე ააგო ფანტასტიკურ ჩინურ სტილში შესრულებული ორი ფანატიური, მესამე ფანატიური თეატრის თლის ქვეშ, მაყურებელთა დარბაზის ცენტრს ზევით ჩამოაქიდა. სცენა და სამივე ეს ფანატიური მან ჭრელი ზაფხუბით და ფერადი ფარებით შეაერთა, ცენტრალურ შემოსასვლელში აღმართა იაპონური თეატრის „კაბუკის“ არსნალი-დან წამოღებული რილაც „ხანამიტის“ — „ყვავილთა გზის“ მსგავსი რამ, და ამგვარად, სცენური მოქმედების ალყაში მოაქცია მაყურებელი.

სპექტაკლის სული და გული მ. იარონი იყო, რომელმაც გან-ჩნის როლი ისე დახვეწილად, ისეთის ბრწყინვალეობით ელასტიკურობით, მუსიკალურობითა და მოუგერიებელი მხარულებით შესარულა, რომ ეს როლი ამ მასიობის საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. ბოლოს მარჯანიშვილის არ მორიდება ფინალში ისე დაეშვა ფარდა, რომ წესსწყვეთი დაეფარა სცენის მთელ სივრცეზე გამჭრელებული მასიობები და აეძულებინა ისინი ეცეკვათ მხიარული კანკანი. ყველაფერი ეს ჩინებულად ერწყმოდა ჟანრის იმ ტრადიციებს, ტემპერამენტული, მხიარულების ნაპერწკლებით გაჩირადნებულ-ის სანახაობა უნდა იყოს.

მე ბედნიერი ვარ, რომ მარჯანიშვილის გვერდით მომიხდა ყოფნა მისი ტალანტის აყვავების ხანაში, როცა შესალებლობა მქონდა დავეკვირეოდი მის მუშაობას სცენური წარმოსახვის სრულიად სხვადასხვა სფეროებში: — ტრაგედიებში, სახალხო დრამაში, ბუფონადას და მუსიკალურ სპექტაკლებში. მისი ცდების საფუძველზე გავიგე მე, თუ რა არის რეჟისორის შემოქმედება, სადაღმომ ჩანაფიქრი, თუ რას ნიშნავს აქტორის სტილიის სწორი წვდომა და სადამდე მივყავართ სპექტაკლის ფორმისა და შინაარსის არათანაზმებერებას, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს რეჟისორის შემოქმედებაში ფანტაზია და წარმოსახვა, რა არის ჭეშმარიტი რეჟისორული ტემპერამენტი, როგორ უნდა გავყარდეს და აფასებდე ახალგაზრდულ ტალანტს.

აი რატომაც, რომ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილის, ჩემი პირველი მასწავლებლის, შესანიშნავი საბჭოთა შემოქმედის და უკეთესობილესი დამაინის სახე მარად დარჩება ჩემს მესსიერებაში, და ასევე შეურყვეველი იქნება ჩემი მადლიერების გრძნობა მის მიმართ.



მიკალოუს ჩიურლენისი

ნანა მამაცაშვილი

მომედი ლიტველმა ხალხმა მსოფლიოს მისცა ჭეშმარიტად ორიგინალური ტალანტი მხატვრისა და კომპოზიტორის მიკალოუს კონსტანტინას ჩიურლენისის სახით.

მ. ჩიურლენისი 1875 წელს დაიბადა ვარენაში (სამხრეთ ლიტვა), სწავლობდა ლეიპციგში, ბერის მოგზაურობდა. საქართველოში ყოფნისას დარიალის ხეობას ესტუმრა, რომლის ბუნებამ აღადგინა მხატვარი. თავის ძმას იგი წერდა: „მე მზის ჩასვლისას ვნახე დარიალის ხეობა, მონაცრისფრო-მომწვანა და მოწითალო ველურ კლდეებს შორის. ჩვენ ფეხით მივდიოდით და ეს გზა, როგორც სიზმარი, სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. გზა თერგის ნაპირების გასწვრივ მიემართებოდა, ჩვენ კი ყაზბეგზე ავდიოდით. ბოლოს შევეჩერდით ერთ დეგილზე, სადაც ისეთი მყუდროება იყო, რომ საკმაო იყო ტაში შემოგვკრა — კლდეთა ნამტვრევები ცვენას იწყებდნენ და უფსკრულიასკენ მიემართებოდნენ...“

მხატვრის შემოქმედებითი მოღვაწეობის წლები დაემთხვა რაკეტის წლებს, როცა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ინტელიგენციის ფენებში იდეური და პოლიტიკური დაბნეულობა სუფევდა. ამ წლების ხელოვნება და ლიტერატურა, როგორც დასავლეთში, ისე რუსეთში სიმბოლიზმის და

მოდერნიზმის გავლენის ქვეშ მოექცა. ამას ვერ გაეცქერა ჩიურლენისიც, რომელიც მკაფიო ინდივიდუალობით და აზროვნების თავისებურებით გამოირჩეოდა.

მხატვრები ფანტაზიის, სიმბოლოებისა და ალეგორიების სამყაროსაკენ ისწრაფვოდნენ. ამ პერიოდს მიეკუთვნება სეველიანი მოტივებით აღსავსე ნაწარმოებები. ციკლში „დასაფლავება“ ტრაგიზმი, გამოუვლობა, იდეალების კრახი ელერს.

მაგრამ ჩიურლენისის ხელოვნება მაინც გამსჭვალულია ღრმა აზრით და აღამიანური გრძნობებით.

მხატვარმა ბევრი გააკეთა ერთნული ხელოვნების განვითარებისათვის: აწყობდა სამხატვრო გამოფენებს, შექმნა გუნდი, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. სურდა კონსერვატორიის ჩამოყალიბება, მაგრამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა ამ დიდი ღონისძიებას.

1909 წელს იგი გადავიდა პეტერბურგში, სადაც გულთბილად მიიღო რუსმა ინტელიგენციამ.

მისი ნაწარმოებები ექსპონირებული იყო გამოფენებზე, მხატვარი აღიარებული იქნა როგორც ორიგინალური და მაღალნიჭიერი შემოქმედი.

1911 წელს, 36 წლის ასაკში მხატვარი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობით.

ჩიურლენისის ხელოვნება ძალზე თავისებურია. მას არ ჰყავს წინამორბედები და მისი უჩვეულობის გამო — არც მიმდევრები.

მხატვრის შემოქმედებაში ძირითადი — ეს არის მუსიკოსის შეჭრა ფერწერაში, მისი განსაკუთრებული მხატვრული სახეობითა და წარმოდგენებით.


კომპოზიტორის მუსიკალური აზროვნების განყენებულობა განსაკუთრებულ ბეჭედს აძლავს მხატვრის ფერწერას. ამიტომაც იყო, რომ დიდხანს მისი ხელოვნება მიჩნეული იყო ანსტრაქციონიზმის ზღაბრებით შემოტილად, რაც, რასაკვირველია, მცდარია.

ჩიურლენისი მოაზროვნე მხატვარია, თანამედროვეობით გატაცებული. იგი ისწრაფვის კომპიური სივრცეებისაკენ, მისი შეცნობისაკენ. განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ თავის განუყოფლობასთან ერთად იგი ღრმად ნაცნობალური მხატვარია.

ამაზე მჭიდრომეტყველურად ლაპარაკობს მხატვრის პეიზაჟები, რომლებიც აღსავსენი არიან ლიტვის ბუნების თავისებური სიმშვენირით.

ჩიურლენისი საკუთარი მანერითა და აზროვნებით ხსნის ლევენდებისა და ზღაპრების სამყაროს. „სასახლის ზღაპარი“, „მეფეთა ზღაპარი“, „დედოფალი“ — ეს არის ლიტველი ხალხის წარსულისა და აწმყოს უდიდესი სიყვარულით შთა-

მზის სონატა



გონებულები მოტივები. მისი ნამუშევრები გვაფიქრებენ, აღვივებენ წარმოდგენას, ფერადოვანი გადასვლების პარმონია სურათს მუსიკასთან აახლოვებს. მართლაც, თავისი წყობითა და ჩანაფიქრით სურათების ციკლი („ვარსკვლავების სონატა“, „შის სონატა“ და სხვ.) მუსიკალურ ნაწარმოებებს ებმანება და ნაწილებისაგან შედგება — ალფერო, ანდანტე, სკერცო, ფინალი. როგორც მუსიკალურ ქმნილებას ასახიანებს ერთიანი მუსიკალური აზრის, ლეიტმოტივის განმეორება, სხვადასხვა ვარიაციით სახის შეცვლა, ისე ჩიურლენისი თავის ფერწერაში ქმნის სრულიად ახალ, მაგრამ მუსიკალურ აზროვნებასთან ახლო მდგომ კომპოზიციებს.

მხატვარი ტემპერით მუშაობას არჩევს, ეს მასალა მას საშუალებას აძლევს გადმოსცეს ფერთა გადასვლების უნაწესი ნუანსები და შეინარჩუნოს ტონალობის მითლიანობა.

„გაზაფხულის სონატა“, „ზღვის სონატა“, „მედრის პრელუდია“ და „ფუგა“ გვაოცებს ბრწყინვალე კომპოზიციით სურათში „სიმეურნეო“ ადამიანს უცხედ და გულგრილად უკმერქნ ბუნების თვალში. კლდე ფართოდ გადაშლილა და რომელიღაც მსუქს მოგვაგონებს.

მხატვარი არ ასახავს ყოველდღიურ ყოფას, მის ხელოვნებაში ეხედავთ რომანტიკას, ოცნებას, ფანტაზიას. ფერადოვანი სიანობის მრავალფეროვნება მსჭვალავს მის ფერწერას.

მკვსიმ გორჯი აღტაცებით ლაპარაკობდა ჩიურლენისის ნაწარმოებზე: „...ჩიურლენისი მოშწონს იმით, რომ იგი მაიძულებს დაფიქრდ, როგორც ლიტერატორი“...

რომენ როლანი ჩიურლენისის შემოქმედების დიდი თავყვანისმკემელი იყო, ძნელა გაუმეხატო — ამბობდა იგი — როგორ მალეღვებს ეს შესანიშნავი ხელოვნება, რომელმაც



ემეპიტისკის ჯგერბე

